

ქართულ მართლმსაჯულებაში კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო A4



შვეიცარიაში რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დააკავეს A5



"შანელი" გამოფენას აწყობს B8



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 5 მაისი, 2005 წელი. №99 (959)

ფასი 50 თეთრი


© გაზეთი 24 საათი

## ამბები

### კახეთში სტიქია კვლავ ბობოქრობს



*ორდღიანმა გადაუღებელმა წვიმებმა კახეთის რეგიონი დიდად აზარალა. ლაგოდეხის რაიონის მსგავსად, ამჯერად სტიქია უკვე ახმეტის და ყვარლის რაიონებშიც მძვინვარებს.*

A4

## უცხოეთი

### ტერორისტთა სამიზნე - ქურთები



ტერაქტების რიცხვი ერაყში, ომის ოფიციალურად დასრულებიდან მეორე წელს არათუ შემცირდა, არამედ, უკანასკნელ ხანებში, კიდევ უფრო გაიზარდა.

A5


**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A7


## ამინდი

| | 5/5 | 6/5 | 7/5 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 22 | 24 | 27 |
| ქუთაისი | 13 | 25 | 27 |
| ბათუმი | 11 | 23 | 23 |
| სოხუმი | 11 | 23 | 22 |
| ფოთი | 12 | 24 | 24 |
| თელავი | 21 | 23 | 26 |
| ზუგდიდი | 13 | 24 | 27 |
| გორი | 12 | 21 | 24 |
| ახმეტა | 22 | 24 | 27 |
| ჭიათურა | 12 | 23 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8200 |
| ევრო | 2.3556 |
| ბირთანეთის სტერლ. | 3.4562 |
| რუბლი | 0.0655 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ბრიტანულ-ქართული სამხედრო გაკვეთილები

გიორგი ასანიშვილი

ბრიტანელი სამხედრო ინსტრუქტორები ქართველ მეომრებს სამშვიდობო ოპერაციებისთვის ამზადებენ. უკვე მესამე კვირაა, მაიორი საიმონდ კარპენტერი, ხუთ თანამემამულესთან ერთად, "კომანდოს ბატალიონისა" და მესაზღვრეების ბაზაზე დაკომპლექტებულ 36-კაციან ჯგუფს ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ავარჯიშებს.

"მასწავლებლებს" საბრძოლო გამოცდილება ნამდვილად არ დაეწუნებათ: ექვსივე მათგანს სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის პრაქტიკა სხვადასხვა ცხელ წერტილში - ჩრდილოეთ ირლანდიაში, ბოსნიაში, ერაყში - აქვს მიღებული...

სასწავლო კურსი, რომლის პირობითი სახელწოდებაა "ლიდერობა, მართვა, მეთაურობა", რამდენიმე დღეში დასრულდება, რის შემდეგაც შემაჯამებელი მეცადინეობა გაიმართება.

**"ჩვენი მიზანია, ქართველ სამხედროებს რთულ სიტუაციებში დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარ-ჩვევები გამოვუმუშაოთ. მათ ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფად ფიქრი და აზროვნება უნდა შეეძლოთ,"** -

გაგრძელება A3 გვერდზე



იური მეჩითოვის ფოტო

*ქართველი სამხედროები რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღებას სწავლობენ.*

# დიდი საპრივატიზაციო შერკინება

## ქართული საწარმოებისთვის 28 კომპანია იბრძვის

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გუშინ, თითქმის ერთი საათის განმავლობაში, 28 დალუქულ კონვერტს საჯაროდ ხსნიდნენ. ეს იმ 28 კომპანიის მიერ წარმოდგენილი განაცხადებია, რომლებიც პრეტენზიას ოთხი მსხვილი სახელმწიფო საწარმოს პრივატიზაციაზე აცხადებენ. ინვესტორების ვინაობა და სამინისტროსთვის შეთავაზებული თანხის მოცულობა გუშინ მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა ჟურნალისტებს თავად გაუმხილა.*

მარიამ ჭაჭვაძე

### "აზოტში" 100 მილიონ დოლარს იხდიან

როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული ინტერესი სს "აზოტის" მიმართ დაფიქსირდა. დაინტერესებული შვიდი კომპანიიდან სამი ქართული წარმოშობისაა, ორი - რუსული, ერთი - ბრიტანული და ერთიც - ყაზახური. მათ შორის ყველაზე ბევრს საზოგადოებრივი მოძრაობის - "შევუნარჩუნოთ აზოტი საქართველოს" - საინიციატივო ჯგუფი იხდის. ეს უკანასკნელი მზად არის, "აზოტში" 100 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადოს და საწარმოში დამატებით რამდენიმე მილიონის ინვესტიცია განახორციელოს. ამ საინიციატივო ჯგუფის მიერ დასახელებული მაღალი ფასის მიუხედავად, ადვილი შესაძლებელია, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ არჩევანი სხვა კომპანიაზე გააკეთოს. მაგალითად, რუსული წარმოშობის "იტერაზე", რომელიც "აზოტში" მხოლოდ 5 მილიონ აშშ დოლარს იხდის. სამაგიეროდ, რუსული კომპანია ქართული მხარის მიერ დაგროვილ დავალიანებას, მათ შორის - "თბილგაზის" და "თბილსრესის" ვალებს, ბოლო თეთრამდე ჩამოწერს. ცნობისათვის "იტერას" მიმართ დავალიანება ამ დროისთვის 125 მილიონ ლარს აღწევს.

"აზოტში" 120 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციების განხორციელების პირობას დებს ბრიტანული კომპანია "ფრანკ ოილი", რომლის სათავო ოფისი ლონდონშია განთავსებული.

ქართული "ენერჯი ინვესტი", რომელიც რუსული "ვნეშტორბანკის" მხარდაჭერით მოქმედებს, "აზოტის" საწყის ფასად 20 მილიონ დოლარს ასახელებს. 10 მილიონით ნაკლებს იხდის "ენერჯ ინვესტის" ერთ-ერთი კონკურენტი, ქართული წარმოშობის შპს "მუხტი". ცნობილი რუსული კომპანია "სელედი" კი საქართველოს ხელისუფლებას "აზოტში" 6 მილიონ დოლარს და ამ საწარმოს ყველა ვალდებულების გასტუმრებას სთავაზობს. წარმოდგენილი წინადადების მიხედვით, "აზოტში" ყველაზე ცოტას - 1 მილიონ დოლარს, ყაზახური კომპანია "დალა-ტრანსი" იხდის.

გაგრძელება A6 გვერდზე

# ქუთაისში სტიქიისგან მიყენებულმა ზარალმა მილიონს გადააჭარბა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ბოლო დღეებში ქუთაისში კვლავაც გადაუღებლად წვიმს. შესაბამისად, ქალაქში სტიქიური მოვლენების განმეორებას ვარაუდობენ. მანამდე კი ადგილობრივი მთავრობა აპრილის ბოლოს მომხდარი წყალდიდობისგან გამოწვეულ ზარალს ითვლის. ქუთაისის მერის განკარგულებით შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ მოკვლევა უკვე დაასრულა. სტიქიით მიყენებულმა ზარალმა 1 მილიონ 500 ათასი ლარი შეადგინა.

**"ამ თანხაში შედის სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების რემონტი, ჯებირებისა და კედლების გასამაგრებლად საჭირო თანხა, ასევე - დატბორილი მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის რაოდენობა,"** - აცხადებს კომისიის თავმჯდომარე მერაბ მეშველიანი "24 საათთან" საუბარში.

წყალდიდობის შედეგად ქუთაისში სამი ხიდი დაზიანდა. "თეთრი ხიდის", "ჯაჭვის ხიდისა" და "წითელი ხიდის" საყრდენი ნაწილების გასამაგრებლად 150 000 ლარია საჭირო. სტიქიის გამო დაზიანებულია ქალაქის მთაგორიანი უბნების საყრდენი კედლები, რომელთა ჩამონგრევაც

გაგრძელება A3 გვერდზე



თორნიკე ტურაბელიძის ფოტო

*ქუთაისის ხელისუფლება დაზარალებულებს დახმარებას თავად ურიგებს.*

# "ათასწლეულის გამოწვევისაგან" გამჭვირვალობას ითხოვენ

### სად წავა 200 მილიონი?

თამარ მაისურაძე

*"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ქვეყნის ხელისუფლებისგან "ათასწლეულის გამოწვევის" ფარგლებში მისაღები თანხების გამოყენების გამჭვირვალობას მოითხოვს და დელიკატურად შეახსენებს წარსულში საქართველოში დამკვიდრებული სახსრების არამიზნობრივად ხარჯვის პრაქტიკის შესახებ.*

"ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში" აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2002 წლის მარტში შექმნა, განვითარებადი ქვეყნების ფინანსური მხარდაჭერის, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის. "ანგარიშის" ადმინისტრირების მიზნით "კორპორაცია ათასწლეულის გამოწვევა" შეიქმნა. არასამთავრობო ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" გამგეობის თავმჯდომარე მარკ მალენი "ანგარიშს" ბუშის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მემკვიდრეობად აფასებს და საქართველოში მის განმახორციელებლებს გამჭვირვალე საქმიანობისკენ მოუწოდებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ბუშის ტურნე

დევიდ ჯ. სმითი

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ნაცისტურ გერმანიაზე მოკავშირეთა გამარჯვების 60 წლისთავის აღსანიშნავად მოსკოვში მიემგზავრება. ეს მოგზაურობა - ლატვიასა და საქართველოში შეჩერებებით - შესანიშნავი შესაძლებლობაა, არა მხოლოდ ილაპარაკო თავისუფლებაზე, არამედ საქმით მიაგო პატივი მათ, ვინც თავისუფლებისთვის იბრძოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპელებმა ვლადიმირ პუტინის მიპატიჟება არაერთმნიშვნელოვნად აღიქვეს (თუნდაც იმის გამო, რომ 1945 წლის 9 მაისი მათთვის მეორე მსოფლიო ომის დასრულებასთან ერთად სტალინისტურ ოკუპაციასთანაც ასოცირდება), ჯორჯ ბუშმა სწორი ნაბიჯი გადადგა, რომ მიწვევაზე დათანხმდა - ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება ხომ ყველგან მძლავრი სტიმული იყო თავისუფლებისთვის. სამწუხაროდ, გრანდიოზული ბრძოლა, თუმცა სხვა ფორმით, კომუნიზმთან შემდგომშიც გაგრძელდა. ამერიკა წამყვან როლს ასრულებდა ორივე ბრძოლაში და რა გასაკვირია, რომ ჩვენი პრეზიდენტი მოსკოვში მიდის, რათა მეგობრობის ხელი გაუწოდოს და კიდევ ერთხელ გამოხატოს თავისუფლებისადმი მხარდაჭერა.

ასევე, მართალი იყო სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, როცა განაცხადა, რომ ბუშის ჩასვლა ლატვიასა და საქართველოში, არ ნიშნავს იმას, თითქოს აშშ რუსეთსა და მის მეზობლებს შორის დავაში რომელიმეს ემხრობა.

ბალტიისპირეთის ქვეყნები - ესტონეთი, ლატვია და ლიტვა - ნატოსა და ევროკავშირს გასულ წელს შეუერთდნენ, თუმცა, ამავდროულად, კარგი ურთიერთობები შეინარჩუნეს რუსეთთანაც. საქართველოს დედაქალაქში, თბილისში ჩასვლისას ბუშს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხმამაღლა განუცხადებს, რომ მის ქვეყანასაც ანალოგიური მისწრაფება აქვს. მართალია, 21-ე საუკუნეში ასეთი არჩევანი ძნელად თუ მოვა წინააღმდეგობაში რუსეთის ინტერესებთან, თუმცა, რუსეთში ჯერ კიდევ ასე ფიქრობენ. საქართველო კი ამერიკისგან მხარდაჭერას მოელის.

გაგრძელება A5 გვერდზე

# რეფორმები გალის რაიონში

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

აფხაზეთის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის ინიციატივით, 26 აპრილს გაიმართა შეხვედრა, სადაც გალის რაიონში არსებულ პრობლემები განიხილებოდა. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ეს იყო პირველი წარმომადგენლობითი თავყრილობა, სადაც მთელი რიგი სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღეს, რაც თავისთავად იმის დემონსტრირება გახლდათ, რომ აფხაზეთის ხელისუფლება მზადაა, რაიონის პრობლემები გადაწყვიტოს.

აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი ანქვაბი, ვიცე-პრეზიდენტი ხაჯიმბა, ორივე ვიცე-პრემიერი, ყველა ძალოვანი უწყების ხელმძღვანელი და სხვა მაღალჩინოსნები, მათ შორის - გალის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. შეხვედრას ასევე დაესწრო არასამთავრობო ორგანიზაცია "ნაციონალური რესურსების" ხელმძღვანელი ციზა გუმბა, რომელმაც რეგიონში არსებული ვითარების ანალიზი წარმოადგინა.

ბაგაფშმა განსაკუთრებული ყურადღება გალის რაიონში შექმნილ კრიმინოგენულ სიტუაციაზე გაამახვილა. გალში კრიმინალური აქტივობის დონე სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე აფხაზეთის სხვა რეგიონებში. სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, განსაკუთრებით ხშირია შეიარაღებული თავდასხმები, ყაჩაღობა, ავტოტრანსპორტის გატაცება.

ბაგაფშის თქმით, ბოროტმოქმედთა დასაკავებლად და არარეგისტრირებული იარაღის კონფისკაციის მიზნით, გალში რეიდების მთელი სერია უნდა განხორციელდეს. ეს ნიშნავს იმას, რომ მთავრობა რეგიონში ანტიკრიმინალური ოპერაციის ჩატარების იდეას უბრუნდება.

განსაკუთრებით დიდი დრო რეგიონის ეკონომიკურ პრობლემებს დაეთმო. გალის ეკონომიკაზე, ძირითადად, კრიმინალებთან ბრძოლის კონტექსტში საუბრობდნენ. შეხვედრაზე ითქვა, რომ საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე გაჩაღებული ჩრდილოვანი აღებ-მიცემობა პირდაპირ კავშირშია კრიმინალთან. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ ამ ჩრდილოვან ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები არიან ჩარეულნი. როგორც შეხვედრაზე განაცხადეს, "ან საერთოდ უნდა ჩაიკეტოს საზღვარი, ან აქ მიმდინარე ეკონომიკური პროცესებით სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა იხეიროს". აქვე გაიჟღერა ინფორმაციამ, რეგიონში მომუშავე ძალოვანი და სხვა სახელმწიფო უწყებების ზოგიერთი წარმომადგენლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა რეგიონში სახელმწიფო დაცვის სამსახურის ყველა თანამშრომელი. გათავისუფლებული არიან მთელი რიგი სხვა სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები.

ამიერიდან, ენგურის ხიდთან ვერც ერთი უწყების წარმომადგენლები ვერ დადგებიან, გარდა აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროს სასაზღვრო რაზმისა. ხოლო გალში ერთიანი საბაჟო ტერმინალი შეიქმნება, სადაც გაფორმდება თითოეული ტვირთი, რომელიც საზღვარს გადაკვეთს. შეხვედრის მონაწილეთა აზრით, ეს აფხაზეთის ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, საზღვარზე მიმდინარე ტვირთბრუნვა ეფექტურად აკონტროლოს.

დასახული ამოცანების განსახორციელებლად ბაგაფშმა თავის ხელქვეითებს ერთთვიანი ვადა მისცა. შემდგომი შეხვედრა 26 მაისს გაიმართება.

შეხვედრაზე არ განხილულა სოციალური პრობლემები, რასაც ყველაზე მწვავედ გალის რაიონი განიცდის. ეს არის განათლება და სხვა საკითხები. როგორც აღმოჩნდა, ამ ეტაპზე სოციალურმა თემებმა აფხაზეთის ხელისუფლება არ დააინტერესა.

# ქველმოქმედება უხმაუროდ

უკვე მესამე დღეა, ისანი-სამგორის რაიონში სააღდგომო საქველმოქმედო აქცია ეწყობა. გამგეობის ხელმძღვანელობა, სპონსორების დახმარებით, რაიონის განსაკუთრებით გაჭირვებულ მაცხოვრებლებს სააღდგომო ნუგბარს ურიგებს. სხვათა შორის, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სპონსორები საკუთარი ვინაობის აფიშირებას ერიდებიან და გაჭირვებული თანაქალაქელების დახმარებას უანგაროდ არჩევენ. მართალია, მათი საჩუქრები (კვერცხი, პასკები, ფუნთუშები, ლიმონათი და კარაქი) სააღდგომოდ დაგეგმილი სხვა საქველმოქმედო აქციების დამფინანსებელთა საჩუქრებისგან დიდად არ განსხვავდება, მაგრამ უხმაუროდ გაკეთებულ სიკეთეს მეტი ფასი აქვს.

აქციის პირველ დღეს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახები დაასაჩუქრეს. 180 შაოსან დედას ფულადი დახმარება, პასკები და კვერცხი გადასცეს. იმ ქალბატონებმა, ვისაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში ერთი შვილი დაეღუპა, 80 ლარი მიიღეს, ორი დაღუპული შვილის დედებმა - 160 ლარი, ორზე მეტის - 200 ლარი.

გუშინ გამგეობის ხელმძღვანელობამ რაიონში მოქმედი ოთხი უფასო სასადილო მოინახულა და 1200 ადამიანს, ვინც ამ სასადილოებში იკვებება, სააღდგომო ნუგბარი გადასცა.

დღეს კი მიუსაფარ ბავშვთა სახლების ჯერია. კვერცხს, პასკასა და ტკბილეულს ბავშვთა 7 სახლის, სადღეღამისო ბაგა-ბაღებისა და ინტერნატების მობინადრენიც მიიღებენ.

*24 საათი*

**საქართველოს საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა სახელმწიფო საატესტაციო კომისიის**

**განცხადება**

კომისია აცნობებს საქართველოს სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომ სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულების შესაბამისად გრძელდება საატესტაციო დოკუმენტების მიღება დებულების მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დოკუმენტების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 16 ივლისი.

2005 წლის 28 აპრილისთვის კომისიაში წარმოდგენილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 49, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 9 და სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განაცხადი და საატესტაციო დოკუმენტები. ექსპერტთა შეფასება ჩაუტარდა 13 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას..

საატესტაციო კომისიის მასალების გაცნობა შეიძლება კომისიის ვებ-გვერდზე: htpp://w/comisia/sarchevi.htm

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ საატესტაციო კომისიის სამდივნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში (რუსთაველის გამზ., 52, II სართული, ოთახი N203; ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 14 საათამდე; ტელ: 99-86-28).

*საატესტაციო კომისია*

# ქუთაისში სტიქიისგან მიყენებულმა ზარალმა მილიონს გადააჭარბა

პირველი გვერდიდან

საფრთხეს უქმნის როგორც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, ისე - დამაკავშირებელ გზებს.

წყალდიდობის შედეგად ქუთაისში 50 ოჯახი დაიტბორა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში კი ვარლამიშვილის ქუჩაზე მცხოვრები ორი ოჯახი აღმოჩნდა. ბაბლუანებისა და ირემაძეების სახლები მთლიანად ამორტიზებულია. ისინი მთავრობამ დროებით სასტუმრო "ქუთაისში" შეასახლა. ასევე, პირველადი დახმარების სახით, მერიის სარეზერვო ფონდიდან მათ 500-500 ლარი დაურიგდათ.

**"დატბორილი ოჯახებისთვის 90 000 ლარი გამოიყოფა. ამაში შედის ეს ორი ოჯახიც, რომლებსაც გადაუდებლად სჭირდებათ დახმარება. ამ ოჯახებს ჩვენ ვთავაზობთ სხვა ადგილზე საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, თუ ისინი გადაწყვეტენ თავიანთი სახლების დატოვებას. თუ არა და, ხვალიდან ჩვენ გავალთ რეზერვისტებთან ერთად, გავწმინდთ მათ სახლებს სილისგან, შევაკეთებთ და მდინარესთან ჩავდგამთ ჯებირებს, რომ კვლავაც არ მოხდეს დატბორვა,"** - აცხადებს მერაბ მეშველიანი.



*მოშიმშილე ლევან ბაბლუანი დაზიანებული სახლის რემონტსაც ითხოვს და ერთოთახიან ბინასაც.*

ხელისუფლების შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა დაზარალებული ბაბლუანების ოჯახისთვის. ლევან ბაბლუანმა მერიის შენობის წინ უვადო შიმშილობა გამოაცხადა.

**"შიმშილობას მანამდე გავაგრძელებ, სანამ მოთხოვნებს არ დაგვიკმაყოფილებენ. მოვითხოვთ, მოგვცენ ერთოთახიანი ბინა და იმავდროულად შეგვიკეთონ ჩვენი კუთვნილი სახლებიც, რომლებიც სტიქიამ დააზიანა,"** - აცხადებს ლევან ბაბლუანი "24 საათთან" საუბარში.

ქუთაისის მთავრობაში შიმშილობის აქციას გარე ძალებისგან მართულს უწოდებენ და აცხადებენ, რომ დაზარალებულებს საბოლოოდ მაინც არჩევანის გაკეთება მოუწევთ, რადგან ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილების ფინანსური საშუალება ქალაქს არ გააჩნია. მითუმეტეს, ადგილობრივ ხელისუფლებაში ჯერ-ჯერობით არც ის იციან გარკვევით, თუ ვინ აანაზღაურებს ზარალის თანხას. ყოველი შემთხვევისთვის, სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, 1 მილიონ 500 ათას ლარზე, ქუთაისის ხელისუფლებამ ქვეყნის მთავრობას უკვე გაუგზავნა. დედაქალაქიდან კი ფულადი დახმარება ჯერ არ ჩანს. სამაგიეროდ, მმართველი პარტიიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ინტესიურად იგზავნება მეორადი მოხმარების ტანსაცმელი, ლეიბები, სურსათი და სხვა ტიპის ჰუმანიტარული ტვირთი, რომლის დანიშნულებისამებრ განაწილება-დარიგებასაც ადგილობრივი მთავრობა უზრუნველყოფს.

# კახეთში სტიქია კვლავ ბობოქრობს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ორდღიანმა გადაუღებელმა წვიმებმა კახეთის რეგიონი დიდად აზარალა. ლაგოდეხის რაიონის მსგავსად, ამჯერად სტიქია უკვე ახმეტის და ყვარლის რაიონებშიც მძვინვარებს. გურჯაანის რაიონში ადიდებულმა მდინარე ჭერემის ხევმა კი, სოფელი ჭერემი გარესამყაროს მოსწყვიტა, წაიღო მდინარის პირას მშენებარე მიკროელექტროსადგურიც, დაზიანებულია სოფელ ველისციხის სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, რომლის აღდგენას სიფი ახორციელებდა. მოვარდნილმა მდინარე ალაზანმა კი, სოფელ აფენის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაუტბორა.*



ზვიად რუაძის ფოტო

*სტიქიასთან ბრძოლაში ზოგჯერ ტექნიკაც უძლურია.*

გადაუღებელმა წვიმებმა კახეთში არსებული ყველა მდინარის ადიდება გამოიწვია. ლაგოდეხის რაიონში მდინარე კაბალი არ ცხრება, რომლემაც ამჯერად უკვე სოფელი უზუნთალასთან დამაკავშირებელის ხიდი მოშალა და ათეულობით ჰექტარი ჭიაურის ტყის მასივი დატბორა.

ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე ალაზანიც, რომლემაც საფრთხე აფენს და ჭაბუკიანს შეუქმნა. მოვარდნილმა მდინარემ მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენებული ფერმები მოშალა და საქონელი გაიტაცა. დატბორილია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიც.

გუშინ დილიდან გურჯაანის რაიონში ადიდდა მდინარე ჭერმის ხევიც, რომელმაც მთიანი სოფელი ჭერემი გარესამყაროს მოსწყვიტა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიდარა, სოფელს მეწყერის საშიშროებაც ემუქრება. ამ დროისთვის კი ჭერემთან ვერ ხერხდება სატელეფონო კავშირიც.

სტიქიამ არც ახმეტის რაიონი დაინდო. მდინარე ილტომ სოფელებთან ნადუქნართან, ჭარტალასთან, შახვეტილასთან და დაბა მთიანეთთან დამაკავშირებელი საგზაო მაგისტრალი მოშალა. თუმცა, როგორც რაიონის ხელმძღვანელობა აცხადებს, ჯერჯერობით მდინარის პირას მიმდებარე სოფლებს წყალდიდობის საშიშროება არ ემუქრება.

გახშირებული წვიმების განსაკუთრებით ყვარლელებს ეშინიათ. ბოლო წლებია რაც აქაურ მოსახელობას საშიშროებას მდინარე დურუჯი უქმნის. თუმცა ამჯერად რაიონს პრობლემები მდინარე შორიხევისგან დაემუქრა. ადიდებულმა წყალმა სოფლის მოსახლეობის სასოფლო სამეურნეო ნაკვეთების 40 ჰექტარი დატბორა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ყველა მდინარეზე მობილიზებულია სამაშველო ტექნიკა, სტიქიის წინააღმდეგ რეგიონის ხელმძღვანელობა მაინც უძლურია, რის გამოც უბედურების თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა საკუთარ ძალ-ღონეს არ იშურებს და მდინარის დამბების გამაგრებას თავადაც ცდილობს.

ამ დროისთვის კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში შექმნილია კომისია, რომელიც სტიქიისგან მიყენებულ ზარალს ითვლის.

# "მემარჯვენეებმა" ამჯერად სტიქიის თემა აიტაცეს

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი, ონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით საგანელიძე აცხადებს, რომ წყალდიდობით დაზარალებული რაჭის მოსახლეობის პრობლემები ხელისუფლებას საერთოდ იგნორირებული აქვს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საგანელიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა. იგი მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, წყალდიდობით დაზარალებულ ონის რაიონის მოსახლეობას დახმარება პრეზიდენტის ფონდიდან გამოუყოს.

საგანელიძის განცხადებით, რაიონი, რომელიც სტიქიამ განსაკუთრებულად დააზარალა, საქართველოს ხელისუფლებას ჯერჯერობით არც კი გახსენებია.

**"თუ საქართველოს პრეზიდენტი რომელიმე რეგიონის მოსანახულებლად ვერტმფრენით მიდის, მთავრობის წევრები მასში ჩაჯდომას ერთმანეთს ასწრებენ. სხვა შემთხვევაში კი, ისინი იქ წასვლას არც ფიქრობენ,"** - აღნიშნა მან.

მისი განცხადებით, წყალდიდობით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები არასაკმარისია.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ოთარ სირაძე პოლიტიკურ გაერთიანება "ახალ მემარჯვენეებს" პოპულისტური, ცრუ პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მათ მიზანს ხალხის უმძიმესი მდგომარეობის ხარჯზე პოლიტიკური ქულების მოპოვება წარმოადგენს.

როგორც ოთარ სირაძემ განაცხადა, "ახლების" წევრი და ონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით საგანელიძე პირადად ესწრებოდა იმ რამდენიმე ათეული ტონა ტვირთის განაწილებას, რომელიც სტიქიის ზონაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონისა და ლაგოდეხის რაიონის მოსახლეობის ინიციატივით გაიგზავნა.

**"საგანელიძის განცხადებები, თითქოს ონის რაიონი მთავრობას მიტოვებული აქვს, ტყუილი და ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა. ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრმა ვერ მოახერხა ონში ასვლა, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მთავრობა დაზარალებულებზე არ ზრუნავს. აღწერა ჩატარებულია, ხვალ დილით ზურაბ ნოღაიდელთან გაიგზავნება ინფორმაცია, თუ რომელ რაიონს რა ზიანი მიადგა, სად რომელი სახლი ან ხიდია დანგრეული. ამის შემდეგ დაისახება კონკტერული ღონისძიებების გეგმა,"** - განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და პარლამენტის წევრებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ქართველი თანამემამულეების ხსოვნისთვის პატივის მისაგებად გუშინ ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე გაემგზავრა.

როგორც საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცნობეს, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტი არაოფიციალურ ხასიათს ატარებს და ოფიციალური შეხვედრები გათვალისწინებული არ არის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს, შესაძლოა, ლიტვის მხარე ჩაენაცვლოს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივა თავად ლიტვის მხარეს ეკუთვნის. გუშინ თბილისს ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სასაზღვრო უწყების წარმომადგენელთა დელეგაცია ეწვია, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კახა სიხარულიძეს შეხვდება. დელეგაციას, მოგვიანებით, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ბადრი ბიწაძე მიიღებს. პრესსამსახურის წინასწარი ინფორმაციით, შეხვედრების მთავარი თემა სწორედ ეუთოს მონიტორინგის ჩანაცვლების საკითხი იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი მომავალ კვირას ევროკავშირისა და საქართველოს სამოქმედო გეგმის განხილვის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას განცხადებით გამოეხმაურება.

სამოქმედო გეგმის განხილვის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს.

ევროკავშირთან სამოქმედო გეგმის განხილვა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს. როგორც საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ევროკავშირთან ურთიერთობების პრიორიტეტები განისაზღვრება და საქართველო ევროსტრუქტურებს პრიორიტეტების მიხედვით დაუახლოვდება. ევროკავშირთან სამოქმედო გეგმის განხორციელება 3-წლიან პერიოდზე იქნება გათვლილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავის აღნიშვნა საქართველოს 200 000 ლარი დაუჯდება. საქართველოს მთავრობის განკარგულებით, აღნიშნული თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა და კონკრეტულ ღონისძიებებს მოხმარდება.

ფაშიზმზე გამარჯვების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებათა გეგმა მთავრობამ უკვე დაამტკიცა. საქართველოდან მოსკოვში 9 მაისს დაგეგმილ საზეიმო სამხედრო აღლუმებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ომის ვეტერანები და ომის წლებში ზურგის მუშაკები გაიგზავნებიან.

კუნძულ ტექსელზე ვეტერანებისა და სამთავრობო დელეგაციის გამგზავრება სახელმწიფოს 30 ათასი ლარი დაუჯდა, ხოლო ქერჩში ვეტერანებისა და საქართველოს საპატრიარქოს ბორჯომის ეპარქიის მრევლის გამგზავრება - 40 ათასი ლარი.

ქვეყნის ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საზეიმო სხდომისა ქვეყნის სხვადასხვა რაიონსა და ქალაქებში ასევე სხდომების ორგანიზებისთვის 28 ათასი ლარი დაიხარჯება, ომის ვეტერანთა ჰოსპიტალისთვის - 5 000 ლარი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ძარცვისათვის ძებნილი, 28 წლის ვეფხვია ნაკაშია.

დაკავებულია აგრეთვე სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისათვის ძებნილი, 21 წლის მალხაზ ედიბერიძე. ხოლო გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს იარაღის უკანონო შენახვისათვის ძებნილი, 21 წლის გიორგი არობელიძე. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიმინალური დეპარტამენტის ძებნის სამმართველოსა და კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს სამტრედიის შს რაიგანყოფილების მიერ ძარცვისათვის ძებნილი, მრავალჯერ ნასამართლევი, 27 წლის პოლიკარპე ჩაჩუა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს სენაკის რაიონის სოფელ სორტაში მცხოვრები, ნასამართლევი, 45 წლის ზურაბ რურუა, რომელმაც დანით მუცელში დაჭრა თანასოფლელი, 36 წლის იგორ ესებუა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სტუდენტების დაპირისპირება

თამარ დვალი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც 20 მაისს უნდა ჩატარებულიყო, შემოდგომამდე გადაიდო. არჩევნების გადადების მთავარ მიზეზად სტუდენტურ გაერთიანებებს შორის დაპირისპირება და საარჩევნო დებულების ცალკეული მუხლების გაუმართაობა სახელდება. "სტუდენტური ალტერნატივისა" და "სტუდენტური კლუბის" წევრები ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და არჩევნების მაისში ჩატარებას ითხოვენ.*

**"ჩვენს გაერთიანებას თითოეულ ფაკულტეტზე თავისი კანდიდატი ჰყავს და არჩევნებისთვისაც მზად არის. არჩევნების ჩატარებას "ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" ეწინააღმდეგება, რადგან მათ საჭირო რაოდენობის მხარდამჭერთა შეგროვება უჭირთ. ამ მოძრაობაში ის სტუდენტები არიან გაერთიანებულნი, რომლებიც მეტრეველის რექტორობის დროსაც კარგად იყვნენ. ეს ადამიანები ვითომ ემხრობოდნენ რეფორმებს, სინამდვილეში კი ცვლილებები არ უნდათ. მთავარია, რექტორატმა მოაწეროს დოკუმენტს ხელი, რადგან სტუდენტების უმრავლესობას არჩევნების მაისში ჩატარება სურს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას "სტუდენტური ალტერნატივის" წარმომადგენელმა ლაშა ბლიაძემ.

სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე ტარდება, სადაც სტუდენტები თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ანუ დელეგატებს ირჩევენ. არჩევნებიდან ერთ კვირაში, დელეგატები საკუთარი რიგებიდან თვითმმართველობის თავმჯდომარეს გამოავლენენ. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში ძირითადი კონკურენტები რამდენიმე ორგანიზაციის - "სტუდენტური კლუბის", "სტუდენტური ალტერნატივისა" და "ერთიანი სტუდენტური მოძრაობის" წარმომადგენლები იქნებიან. უნივერსიტეტის სტუდენტებს იმ თვითმმართველობის არჩევა მოუწევთ, რომლის სტრუქტურა და დებულება ჯერჯერობით არ არსებობს.

გუშინ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედმა სტუდენტურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან ვერ თანხმდებიან, დახმარებისთვის განათლების მინისტრს კახა ლომაიას მიმართეს.

**"სტუდენტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა ხშირ შემთხვევაში პირად დაპირისპირებასა და ანგარიშსწორებაში გადადის. სწორედ ასეთი სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის პირველი არჩევნების პრინციპები და პროცესუალური საკითხები, რაც სტუდენტობაში დიდი დავის საგნად იქცა, კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული და დარეგულირებული,"** - ნათქვამია "სტუდენტური კლუბის" მიმართვაში.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ სტუდენტების უმრავლესობა არჩევნების მაისში ჩატარების მოთხოვნით გამოდიოდა, არჩევნები მაინც გადაიდო. როგორც უნივერსიტეტის სტუდენტთა მომსახურებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელმა ლევან ჭითანავამ განაცხადა, "ერთიანმა სტუდენტურმა მოძრაობამ" არჩევნების მომავალი სასწავლო წლისთვის გადადება და მისი საუნივერსიტეტო რეფორმის დასრულების შემდეგ ჩატარება მოითხოვა. ამას დაემატა საარჩევნო დებულების ცალკეული მუხლების გაუმართაობაც, რაც არჩევნების გადადების მიზეზად იქცა. ჭითანავას თქმით, თვითმმართველობის სტრუქტურასა და დებულებას 2005 წლის ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე დელეგატებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია შეიმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიური ტიპის არჩევნები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბოლოს, 2001 წლის 26 აპრილს ჩატარდა, თუმცა, სტუდკავშირმა დაკისრებულ ფუნქციებს თავი ვერ გაართვა და მალევე ლიკვიდირებულად გამოცხადდა.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.





### ყვითელი პრესა დამნაშავედ გამოცხადდა

| | |
|---|---|
| მოსამართლე | ქეთევან კორძახია |
| პროკურორი | დიმიტრი ბაბუნია, ადვოკატი: ყვითელი პრესა არასწორი ფაქტების და მოვლენების გაშუქებაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში კონკრეტული პირების პატივის და ღირსების შელახვას იწვევს. ამიტომ ყვითელი პრესა ასაკრძალია. |
| ადვოკატი | მერაბ სანაია, ჟურნალის „სარკის" რედაქტორი: ჩვენთან ყვითელ პრესას უძახიან იმ ბეჭდვით მედიას, რომელიც აქვეყნებს ინფორმაციას ცნობილი და პოპულარული პირების ცხოვრების შესახებ, მათი საქმიანობისა და ინტერესების შესახებ. მაგრამ ეს არ არის ყვითელი პრესა. საქართველოში არ იციან რას ნიშნავს ყვითელი პრესა. ყვითელი პრესა ნიშნავს ფაქტების დამახინჯებას, შეკვეთილ კამპანიას რომელიმე საჯარო, ცნობილი პიროვნების წინააღმდეგ. |
| ვერდიქტი | რვა ხმით ოთხის წინააღმდეგ ყვითელი პრესა დამნაშავედ ცნეს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.ქეთი ბაქრაძე | (დამნაშავეა) | 7.ანონიმი | (უდანაშაულოა) |
| 2.ალეკო | (დამნაშავეა) | 8.მანანა კორძახია | (დამნაშავეა) |
| 3.თამუნა კიკნაძე | (დამნაშავეა) | 9.კონსტანტინე ჩოგოვაძე | (უდანაშაულოა) |
| 4.გიორგი | (უდანაშაულოა) | 10.ვერა | (უდანაშაულოა) |
| 5.მანანა ჩიკვაიძე | (დამნაშავეა) | 11.ზვიადი | (დამნაშავეა) |
| 6.ლელა | (დამნაშავეა) | 12.მარიკა ნაპირელი | (დამნაშავეა) |

# "ათასწლეულის გამოწვევისაგან" გამჭვირვალობას ითხოვენ

პირველი გვერდიდან

გუშინდელ პრესკონფერენციას, მართალია, რეკომენდაცია ეწოდა, თუმცა, შეხვედრა "ათასწლეულის გამოწვევის" გაფრთხილებას უფრო ჰგავდა.

**"2003 წლის ნოემბრის რევოლუციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველოს ხალხმა უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას. სახელმწიფო ბიუჯეტის, დონორი ორგანიზაციების გრანტებისა თუ სესხების მითვისება უცხო არ იყო წინა ხელისუფლებისთვის. კორუფციამ სახელი შეულახა სახელმწიფო პროექტების განხორციელებას და ხალხში მთავრობისადმი უნდობლობა დანერგა,"** - განაცხადა მარკ მალენმა.

იმისთვის, რომ ახალმა მთავრობამ უცხოური პროექტების განხორციელებას "საფრთხე" არ შეუქმნას, პარალელურად კი მოსახლეობის ნდობითაც ისარგებლოს, ორგანიზაციის "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში" წევრებს სურთ, რომ "მილენიუმის" პროგრამასთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ფლობდნენ, რაც ასევე მოსახლეობისთვისაც ცნობილი იქნება.

"საერთაშორისო გამჭვირვალობამ" საქმეში გარკვევა ისურვა, თუმცა ინფორმაციის მოპოვებაზე "ათასწლეულის გამოწვევისგან" უარი მიიღო. **"ჩვენ წერილობით მივმართეთ ვაშინგტონის ოფისს, სადაც გვიპასუხეს, რომ ინფორმაციის მოპოვებაზე თანხმობა საქართველოს წარმომადგენლებისგან უნდა მივიღოთ,"** - განაცხადა მარკ მალენმა, რომლისთვისაც მათთვის ნათქვამი უარის მიზეზი გაუგებარია.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა" ფონდს ოპერაციების საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას ურჩევს. კერძოდ, 24 საათის განმავლობაში ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, როგორიცაა ანგარიშსწორების თარიღი, თანხაგადახდის კურსი, თანხის მიმღები და ანგარიშსწორების აღწერილობა.

"მილენიუმის" ხელშეკრულებას ხელი, სავარაუდოდ, ზაფხულში უნდა მოეწეროს. "საერთაშორისო გამჭვირვალობის" წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ საქართველო 200 მილიონ დოლარს მიიღებს. ასევე ვარაუდის დონეზეა ცნობილი ოთხი პროექტიც, რომლის თანახმადაც, უნდა განხორციელდეს თბილისისა და სამცხე-ჯავახეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ინტეგრირების მიზნით; საქართველოს განვითარების ფონდის შექმნა, საქართველოში ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის მიზნით; ინფრასტრუქტურის განვითარების ფონდის შექმნა, რეგიონებში ინფრასტრუქტურული განვითარების მხარდაჭერის მიზნით; ელექტროენერგიის მოხმარების რეგულირება და სტრატეგიული ჰესების შეკეთება ენერგოსექტორის რეაბილიტაციის მიზნით.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს"-ს წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ საქართველოში "მილენიუმის" პროგრამა გამჭვირვალედ განხორციელდება.

# შორია ოლიანკამდე?..

თამარ მაისურაძე

*პროექტი სახელად "ბავშვი და ოჯახი საქართველოში სოციალური და დემოგრაფიული საკითხების მოგვარებას ისახავს მიზნად და წალკის რაიონში მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ჩასახლებასა და დასაქმებას გულისხმობს.*

პროექტის ავტორების განცხადებით, საქართველოში დაახლოებით 5 ათასი მიუსაფარი ბავშვია, ხოლო 2 ათას 500 ქუჩის მაწანწალაა. ხშირ შემთხვევაში, მშობლებისგან მიტოვებული, ბავშვთა სახლში გაზრდილი ბავშვები ზრდასრული ასაკის მიღწევის შემდეგ ქუჩაში რჩებიან.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საპატრიარქოს ახლაგაზრდული ცენტრის, ფონდ "Child & Family"-ს და არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ეროვნული განვითარების ინსტიტუტის" ერთობლივი პროექტი ამ კონტინგენტის წალკის რაიონში, სოფელ ოლიანკაში ჩასახლებას გულისხმობს.

რატომ წალკა? როგორც პროექტის ერთ-ერთმა წევრმა კონსტანტინე სვანაძემ განგვიმარტა, მოსახლეობის მიგრაციის შედეგად, ოლიანკაში ბერძენი ეროვნების მხოლოდ 20 ოჯახი ცხოვრობს. ამდენად, ამ ტერიტორიაზე აუცილებელია ხალხის ჩასახლება. პროექტის ფარგლებში წალკაში მზრუნველობას მოკლებული 120 ბავშვის ჩასახლება და დასაქმებაა დაგეგმილი. მათი შერჩევა განათლების სამინისტროს პრეროგატივაა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული ბიზნეს-გეგმის საფუძველზე, ახალმოსახლეებს სოფლის მეურნეობაში დაასაქმებენ. ეს უკანასკნელნი გერმანული და ჰოლანდიური კარტოფილის მოყვანით დაკავდებიან.

პროექტის განხორციელებისთვის 1 მილიონ 800 ათასი დოლარია საჭირო, თუმცა, მისი ავტორების თქმით, 2006 წლიდან პროექტი თვითდაფინანსებაზე გადავა, რის შემდეგაც ბავშვებს ყოველწლიურად ჯერ ოლიანკაში, შემდეგ კი წალკის რაიონის სხვადასხვა სოფლებში ჩაასახლებენ.

დაგეგმილია ადგილობრივი სკოლის ამოქმედებაც. გაძარცული სკოლის აღდგენისთვის საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა 75 ათასი დოლარი გამოყო. მართალია, ეს ფული სკოლის აღდგენისთვის საკმარისი არ არის, თუმცა დანარჩენ თანხას პროექტის დაფინანსების შემდეგ გამოინახება

ოლიანკაში ჩასახლებული მოსახლეობა 950 ჰექტარ მიწას დაამუშავებს. პროექტის ავტორები, ოლიანკური მოსავლით ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა გამოკვებას ფიქრობენ და იმედი აქვთ, რომ მათ მოსაზრებას სახელმწიფოს წარმომადგენლებიც მოიწონებენ.

განათლების სამინისტროს მიერ შერჩეული კონტინგენტის დასაბინავებლად, მრავალი წლის წინ, იქაური მოსახლეობის მიერ მიტოვებული სახლების შეძენაა დაგეგმილი. თითოეულ მათგანში 3 ათასი დოლარის გადახდას ვარაუდობენ.

პროექტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია საბერძნეთის ელჩმა საქართველოში კონსტანტინა მაკროსკულიდუმაც დააფიქსირა: **"პროექტი კარგია, როგორც დასაქმების, ისე მოსახლეობის სწავლების თვალსაზრისით"**. თუმცა, მისი აზრით, **"პირველ რიგში, დაცული უნდა იყოს იქ მცხოვრები მოსახლეობის უფლებები. ამ პროექტის რეალიზაციამდე უნდა გვქონდეს იქ მცხოვრები მოსახლეობის თანხმობა, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას მწვავე რეაქცია აქვს, როდესაც მათ მიერ მიტოვებულ სახლებში სხვები შედიან"**.

**"ვფიქრობ, რომ პროექტის პრეზენტაცია წალკაში, ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც უნდა მოხდეს და იმედს ვიტოვებ, რომ მისი განხორციელებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები იურიდიულად დაცული იქნება"** - განაცხადა მან.

პროექტის ფულადი შემოსავლების დინამიკას თუ გადავხედავთ, რომელიც მის ავტორებს 2009 წლის ჩათვლით აქვთ გათვლილი, ვნახავთ, რომ წელს ადგილზე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან 778 340 დოლარის შემოსავალს ელიან, ხოლო 2009 წლისთვის - 1 552 900-ს. იმავე გათვლებით, 2009 წელს ოლიანკას მოსახლეობა 620 მკვიდრს უნდა შეადგენდეს. აღსანიშნავია დასაქმების საკითხიც, რომლის მიხედვით პირველ ეტაპზე რეგულარული შემოსავლით 315 ადამიანი იქნება უზრუნველყოფილი, მათ შორის - ჩასახლებულებიც და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც. ამის შედეგად კი, დასაქმების მიზეზით გამოწვეული მიგრაციის პრობლემაც მოიხსნება.

# ბრიტანულ-ქართული სამხედრო გაკვეთილები



*ბრიტანელ ინსტრუქტორებს გამოცდილება არ დაეწუნებათ.*

პირველი გვერდიდან

აცხადებს მაიორი კარპენტერი, რომელიც გუშინ ქართველ ჯარისკაცებს პრაქტიკულად ასწავლიდა, როგორ იმოქმედონ იმ შემთხვევაში, თუ მათ საბრძოლო მანქანას ჩასაფრებული მოწინააღმდეგე დაესხმება თავს.

მისივე განმარტებით, ვაზიანში მიმდინარე სწავლება, მართალია, ინსტრუქტორთა კურსებს არ წარმოადგენს, მაგრამ ვინც მას წარმატებით გაივლის, ნება დაერთვება, ერაყში წამსვლელებს გარკვეული ინსტრუქციები ჩაუტაროს. მით უმეტეს, სწავლებაში მონაწილე ქართველ "კომანდოსთა" ნაწილს ერაყის "სკოლა" უკვე გავლილი აქვს.

# რუსეთის თავდაცვის მინისტრი ბაზების გასაყვანად 4 წელს ითხოვს

საქართველოდან რუსეთის ბაზების გასაყვანად 4 წელია საჭირო და ამისთვის აუცილებელი თანხები, ჯერჯერობით, რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტში ჩადებული არ არის.

ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა "Российская газета" -სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსული მხარე საქართველოდან ბაზების გაყვანას პრიორიტეტულ საკითხად არ განიხილავს და ის საერთო რიგის წესით გადაწყდება.

**"დამატებითი დაფინანსება 2006 წელზე ადრე ვერ დაიწყება,"** - აღნიშნა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა.

მისი მტკიცებით, თავად ტექნიკის გაყვანაც რთული ოპერაციაა, **"ესეც ფულთან და სატრანსპორტო პრობლემებთან არის დაკავშირებული"**.

ამასთანავე, ივანოვის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამხედროების გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის პრობლემაა. რუსული მხარე ასევე არ აპირებს ყურადღება მიაქციოს ბაზებზე მომუშავე ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლო პროტესტებს. **"ყოველივე ეს ჩვენი საქმე არ არის, მათი პრობლემაა,"** - განაცხადა სერგეი ივანოვმა.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე მიიჩნევს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების ჩაშლით არის დაინტერესებული.

მისი თქმით, სერგეი ივანოვი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დესტრუქციულ როლს თამაშობს და აუცილებელია, ეს რუსეთმაც იცოდეს.

როგორც თარგამაძემ აღნიშნა, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მიერ გუშინ გაკეთებული განცხადებიდან ჩანს, რომ **"ივანოვი ფულზე ვაჭრობს და აქცენტი დაფინანსებაზე გადააქვს"**. პარლამენტარის განცხადებით, ოფიციალურ მოსკოვს საქართველოს ხელისუფლებისთვის არ წარმოუდგენია საკუთარი გათვლები რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის ვადებთან დაკავშირებით. **"ქართულ მხარეს კი დათვლილი აქვს და შეუძლია დაასაბუთოს, რომ ტექნიკურად შესაძლებელია, რუსული ბაზები საქართველოს ტერიტორიიდან ერთ თვეში ან, თუნდაც, 15-დღეში გავიდეს,"** - განაცხადა თარგამაძემ.

მისი ინფორმაციით, ქართული მხარე საკუთარ თავზე იღებს რუსული ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გაყვანის დაფინანსებას. თარგამაძის თქმით, საქართველო ასევე უზრუნველყოფს ბაზების გაყვანის უსაფრთხოებასაც.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, რუსეთი ზუსტად 8 მაისამდე დარწმუნდება, რომ საქმე აქვს საქართველოს ახალ ხელისუფლებასთან, რომელიც შევარდნაძისდროინდელი მმართველობისგან თვისობრივად განსხვავდება.

*ინტერ-პრესი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები
თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:
- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...
„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:
ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):
დროის წამობრივი აღრიცხვა
აშშ
რუსეთი
ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)
მხოლოდ 30თ.
8-10
ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები
ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ქართულ მართლმსაჯულებაში კიდევ ერთი ახალი ეტაპი დაიწყო

*წლების წინ დაწყებული სასამართლო რეფორმის დასკვნითი ეტაპის განხორციელება იწყება. თბილისში რამდენიმე რაიონული სასამართლოს ნაცვლად ახალი საქალაქო სასამართლო იმუშავებს და მოსახლეობას მართლმსაჯულების განხორციელების ახალ წესს შესთავაზებენ.*



გოგიტა ბახაიძის ფოტო

თამარ კაციტაძე

საქართველოს პრეზიდენტის 12 აპრილის ბრძანებულებით, რომელიც 5 მაისიდან შევიდა ძალაში, თბილისის ხუთი რაიონული სასამართლოს ლიკვიდაციის ხარჯზე დედაქალაქში საქალაქო სასამართლო შეიქმნება.

საქალაქო სასამართლო სამი - სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეთა - კოლეგიით დაკომპლექტდა. თბილისელებს დღეიდან სამოქალაქო საქმეთა განსახილველად მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს უკვე ყოფილ შენობაში, ავლაბარში მოუწევთ მისვლა. ადმინისტრაციული საქმეების განსახილველად გლდანი-ნაძალადევის რაიონის სასამართლოს უნდა მიაკითხონ, ხოლო სისხლის სამართლის საქმეები, ჯერჯერობით, უზენასი სასამართლოს შენობაში განიხილება.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ვალერი ცერცვაძის განცხადებით, უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის კოლეგია დროებით განთავსდება, შემოდგომაზე კი იგი ვარკეთილში, ახალ შენობაში გადაინაცვლებს, სადაც ამჟამად სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

**"ახალი, საქალაქო სასამართლო იქნება იმის გარანტი, რომ მოქალაქეებს ობიექტური, პროფესიონალი და კონკრეტული დარგის სპეციალისტი მოსამართლეები პატიოსნად და დროულად მოემსახურებიან. ამასთან მოწესრიგდება საორგანიზაციო საკითხები, კერძოდ, ფოსტის მოძრაობა და პატიმართა დროული ბადრაგირება, რაც დღემდე მოუგვარებელ პრობლემად რჩებოდა, "** - განაცხადა ჩვენთან საუბარში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა.

საქალაქო სასამართლოებში საქმის განხილვას გააადვილებს მოსამართლეთა გაზრდილი რაოდენობაც. თუ დღემდე თბილისის რაიონულ სასამართლოებში სულ ორმოცი მოსამართლე მუშაობდა, დღეიდან მათი რიცხვი ორმოცდაათამდე გაიზრდება და, როგორც ვალერი ცერცვაძე ვარაუდობს, შემოდგომისთვის მათ კიდევ ათი მოსამართლე დაემატება. საქალაქო სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებისთვის ამ ეტაპზე დანიშნულია კონკურსი, რომელიც ერთ თვეში დასრულდება. ამჟამად კი, კანონის ძალაში შესვლის გამო, მოსამართლეთა შერჩევა თავად იუსტიციის საბჭომ იტვირთა. დღევანდელი საქალაქო სასამართლო დაკომპლექტებულია უკვე მოქმედი რაიონული მოსამართლეებით, რომლებიც პროფესიონალიზმით და პატიოსნებით გამოირჩევიან, თუმცა, შევხვდებით ახალ სახეებსაც.

**"იმ მოსამართლეებს, რომლებიც საქალაქო სასამართლოში ვერ მოხვდნენ, შევთავაზეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების სასამართლოებში წასულიყვნენ სამუშაოდ, ზოგი დაგვთანხმდა. ხოლო ისინი, ვინც უარი თქვა შეთავაზებაზე, რეზერვში გადავიდნენ და მოსამართლეობის ვადის გასვლამდე მიიღებენ არსებულ ხელფასს, "** - აცხადებს ვალერი ცერცვაძე.

საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა სტიმულად გაზრდილი ხელფასი იქცევა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თქმით, 2006 წლიდან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასი 2500 ლარი იქნება, აქედან გამომდინარე, განისაზღვრება ქვემდგომი სასამართლოების მოსამართლეების ხელფასებიც. ხელფასები 500-დან 800 ლარამდე გაეზრდებათ სასამართლოს აპარატის თანამშრომლებსაც, რომლებიც ახალ სასამართლო სისტემაში ასევე კონკურსის წესით შეირჩევიან.

დედაქალაქში დაწყებული სასამართლო ცვლილებები უახლოეს მომავალში მთელ საქართველოში გავრცელდება. როგორც ცნობილია, რეგიონებში მოხდება სასამართლოების გამსხვილება, ანუ სამ-ოთხ რაიონში შეიქმნება ერთი საქალაქო ტიპის სასამართლო. ცალკეულ რაიონებში კი იმუშავებენ მხოლოდ მაგისტრი მოსამართლეები, რომლებიც ნაკლებად მძიმე საქმეების განხილვით დაკავდებიან.

# საქართველოსა და ლიტვის იუსტიციის მინისტრები თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ

ორდღიანი სამუშაო ვიზიტით თბილისს ამჯერად ლიტვის იუსტიციის მინისტრი გინტუტას ბუზინსკასი სტუმრობს. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ გუშინ, ლიტველ კოლეგასთან ერთად, ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერა ხელი. ურთიერთგაგების მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას სასჯელაღსრულების, პრობაციის, საჯარო და სამოქალაქო რეესტრის რეფორმასა და ჩამოყალიბებაში.

**"ლიტვა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა და შესაბამისად, ამ ქვეყნის იუსტიციის მინისტრის საქართველოში ჩამოსვლა მნიშვნელოვანი მოვლენაა, ვინაიდან ეს ნიშნავს იმ რეფორმების მხარდაჭერას, რომელიც ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს. ლიტვაში უკვე რამდენიმე წელია, რაც რეფორმები გატარდა იუსტიციის, პროკურატურის, მართლმსაჯულების, ადვოკატურის სისტემებში და ჩვენთვის ეს გამოცდილება უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ლიტვის იუსტიციის მინისტრთან სწორედ იმაზე ვისაუბრეთ, რომ საქართველომ რეფორმების გატარებისას ექსპერიმენტებზე დრო არ დაკარგოს, მეგობარი ქვეყნის გამოცდილება გაიზიაროს და უკვე აპრობირებული მეთოდებით ისარგებლოს"**, - ასე აფასებს იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია ლიტველი კოლეგის საქართველოში სტუმრობას.

**"საქართველოს იუსტიციის მინისტრთან უკვე ვისაუბრეთ იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც ორი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროებს შორის თანამშრომლობისას იქნება დასახული"**, - აცხადებს გინტაუტას ბუზინსკასი, რომელიც შეხვედრებს გამართავს საქართველოში ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისიის ხელმძღვანელ სილვიო პანცთან, საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძესთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანთან დავით კერესელიძესთან და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან კოტე კუბლაშვილთან.

*24 საათი*

# ქართველმა გერმანიის მოქალაქეებს ყალბი ხელშეკრულებით ფული გამოსძალა

ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ გერმანიის მოქალაქეებისთვის დიდი ოდენობით ფულის გამოძალვის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ბოლქვაძე ამხილა. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, გიორგი ბოლქვაძის მიმართ მითვისებისა და თაღლითობის მუხლებით სისხლის სამართლის საქმე გერმანიის მოქალაქის ნანა ვულფქულეს განცხადების საფუძველზე აღიძრა.

**"მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გიორგი ბოლქვაძემ, როგორც ოჯახის მეგობარმა, 130 ათასი დოლარი მოტყუებით გამოსძალა ნანა ვულფქულეს მეუღლეს, ასევე გერმანიის მოქალაქეს ჰორსტ ვულქფქულეს. ბოლქვაძე გერმანელ მეგობრებს ერთობლივი ბიზნესის წარმოებას - აშშ-დან კომპიუტერული ტექნიკის, ავტომანქანების ჩამოყვანას და საქართველოში რეალიზაციას ჰპირდებოდა"**, - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. პოლიციისვე განმარტებით, ბოლქვაძემ, შეთავაზება უფრო სანდო რომ ყოფილიყო, უცხოელ მეგობრებს USAID-თან გაფორმებული ხელშეკრულება გაუგზავნა. თუმცა, როგორც გაირკვა, USAID-თან დადებული ხელშეკრულება, რის საფუძველზეც ბოლქვაძის ანგარიშზე გერმანიიდან ფული ჩაირიცხა, ყალბია.

*24 საათი*


სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის მაინის ფრანკფურტის რეკონსტრუქციის ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ***ბაღდათის რაიონის სოფელ როკითის განვითარების სათემო კავშირთან "დიდველა"***, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ***სათემო კავშირი "დიდველა"*** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, ბაღდათის რაიონი,***

***სოფელი როკითი, გამგეობის შენობა***

***საკონტაქტო პირი: ლავროსი ჭუმბურიძე, სათემო კავშირი "დიდველა"-O თავმჯდომარე***

**2005** წლის **10** მაისიდან **10**-დან **18** საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

***საქართველო, ბაღდათის რაიონი,***

***სოფელი როკითი, გამგეობის შენობა***

***საკონტაქტო პირი: ლავროსი ჭუმბურიძე, სათემო კავშირი "დიდველა"-ს თავმჯდომარე***

***2005 წლის 10 ივნისის 15:00 საათამდე.***

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით სიღნაღის რაიონის სოფ. ძველი ანაგის სკოლის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ წითელწყაროს განვითარების სათემო კავშირთან "ძველი ანაგა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ძველი ანაგა" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სიღნაღის რაიონი,

სოფ. ძველი ანაგის, გამგეობის შენობა

საკონტაქტო პირი ტარიელ ღვედაშვილი -სათემო კავშირი "ძველი ანაგა"-ს თავჯდომარე

2005 წლის 5 მაისი 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1900 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, სიღნაღის რაიონი,

სოფ. ძველი ანაგის, გამგეობის შენობა საკონტაქტო პირი ტარიელ ღვედაშვილი -სათემო კავშირი "ძველი ანაგა"-ს თავჯდომარე 2005 წლის 6 ივნისის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03

## პროფესიული განვითარების შესაძლებლობები BP საქართველო

bp

BP, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგოკომპანია, საქართველოში უმსხვილეს ინვესტორთა შორისაა წარმოდგენილი. 1999 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ექსპლუატაციას და მალე დავასრულებთ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მშენებლობას. ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც მიმართულია საქართველოს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყნის როლის გაფართოებისაკენ აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოდერეფანში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტები უზრუნველყოფს კასპიის ენერგორესურსების წარმატებულ ტრანსპორტირებას მსოფლიო ბაზარზე და რეგიონში ენერგომომარაგების ალტერნატიულ წყაროს წარმოადგენს.

BP-მ აიღო ვალდებულება წარმატებით განახორციელოს ამ მნიშვნელოვანი პროექტების ექსპლუატაცია და ჩამოაყალიბოს ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა საქართველოსა და მის ხალხთან. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვესაჭიროება განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მენეჯმენტი და კადრები. ამიტომ ვაცხადებთ კონკურსს გამორჩეული შესაძლებლობების მქონე მცირერიცხოვანი კანდიდატების სამუშაოზე მისაღებად, რომლებიც პერსპექტივაში დაიკავებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს ჩვენს ორგანიზაციაში.

წარმატებულ კანდიდატებს უნდა გააჩნდეთ განათლების შესაბამისი დონე და დოკუმენტურად დადასტურებული სამსახურებრივი მიღწევები, იქნება ეს კერძო, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორებში.

BP მსურველებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ჩამოყალიბებულ პროგრამას საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელსაც საჭიროებისამებრ ახლავს ფორმალური ტრენინგების კურსი. გამარჯვებულ კანდიდატებს BP წაუყენებს უმაღლეს მოთხოვნებს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მხრივ, მაგრამ სანაცვლოდ სთავაზობს ანაზღაურების მიმზიდველ პაკეტს და წამყვან საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციაში სამსახურებრივი წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობებს.

სავარაუდო ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

გამოცდილების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების მიზნების მიხედვით, წარმატებული კანდიდატები დაიკავებენ თანამდებობებს სხვადასხვა დეპარტამენტში, როგორიცაა ექსპლუატაცია; ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემოს დაცვა (HSE); კომუნიკაციის და საგარეო საქმეთა; ბიზნეს-სერვისები და უშიშროება.

**საქმიანობის სახეებს მიეკუთვნება:**

- საქაჩ სადგურზე ან თბილისში განთავსებული ექსპლუატაციის ჯგუფთან მუშაობა
- ურთიერთობის წარმართვა სამთავრობო უწყებებთან, საზოგადოებასთამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მას-მედიასთან.
- BP-ს მუშაობის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ტექნიკური, იურიდიული, კომერციული ან HSE სფეროებში; ამ სტანდარტების სიღრმისეული ცოდნის განვითარება .
- პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზი და ანგარიშგება.
- შესყიდვების, კონტრაქტების, ლოგისტიკის ან ბიზნეს-სერვისების სხვა დამხმარე სფეროების მართვა.

შესრულებული სამუშაო სისტემატურად შემოწმდება და მოხდება მისი შედარება ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღწევებთან. გარდა ამისა მოხდება სამსახურებრივი წინსვლის მიზნების პერიოდული მოდიფიცირება კანდიდატების გრძელვადიანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით.

**ძირითადი უნარები და კვალიფიკაცია**

- ინიციატივიანი, შემოქმედებითი და თვითჩამოყალიბების გამოკვეთილი უნარი;
- მონაცემთა გაანალიზების, პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომების მოძებნის და სალი გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- კომუნიკაციის და პიროვნებათაშორისი ურთიერთობის კარგად განვითარებული უნარი;
- ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვის დადასტურებული უნარი, რთული ამოცანების დასახულ ვადებში შესრულების უნარი;
- საერთო მიზნის მისაღწევად გუნდური მუშაობის გამოცდილება;
- ხელმძღვანელის თვისებების გამომჟღავნების დადასტურებული უნარი.

**პროფესიული გამოცდილება**

წარმატებულ კანდიდატს სასურველია გააჩნდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება ბიზნესისი სფეროში, სამთავრობო უწყებებში, დიპლომატიურ სამსახურში, მსხვილ დონორ ორგანიზაციაში ან არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*აუცილებელია:*

- მინიმუმ ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება არჩეულ სფეროში სწრაფი სამსახურებრივი წინსვლის დემონსტრირებით.

*სასურველია:*

- საერთაშორისო ბიზნესში მუშაობის ან მასთან ინტენსიური კონტაქტის გამოცდილება.

**განათლება**

- უმაღლესი განათლების დიპლომი ან სამეცნიერო ხარისხი ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების, იურიდულ, სამშენებლო საინჟინრო ან მანქანათმშენებლობის, ან სხვა შესაფერის დარგში. სასურველია საზღვარგარეთ სწავლის გამოცდილება.
- აუცილებელია ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა,.

*განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2005 წლის 10 მაისი.*

**როგორ მოგვმართოთ/დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

თუ თვლით, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უნარ-ჩვევები და გამოცდილება აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი ჩV-ის ასლი და შეავსოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე არსებული განცხადების ფორმა. განაცხადების მიღების ბოლო დღეა სამშაბათი 10 მაისი, 2005 წელი.

**ყველა მიღებული განაცხადი დადასტურდება, მაგრამ ეს იმის ნიშანი არ იქნება, რომ კანდიდატი მიწვეულია ინტერვიუზე ან მიღებულია სამუშაოზე.**

**კადრების დეპარტამენტი**
**ბპ საქართველო**
**საბურთალოს ქუჩა 38**
**თბილისი, საქართველო**


## მოკლედ

### კონტრაბანდულმა ტვირთმა რუსი სამშვიდობოების საგუშაგოები უპრობლემოდ გაიარა

გუშინ, გამთენიისას წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიასთან სამართალდამცველებმა დააკავეს აფხაზეთიდან მომავალი "კამაზის" მარკის ავტომანქანა, რომლის საბარგულზეც კონტრაბანდული სიგარეტის მსხვილი პარტია აღმოჩნდა.

როგორც გაირკვა, სოხუმის თამბაქოს ქარხანაში დამზადებული 250 ათასი კოლოფი უაქციზო "მალბორო ლაითი" კონტრაბანდისტებს აფხაზეთიდან აფხაზურნომრიანი ავტომანქანით გადმოქონდათ. საქმე ისაა, რომ კონტრაბანდულმა ტვირთმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუს სამშვიდობოთა რამდენიმე საგუშაგო დაუბრკოლებლად და პრობლემის გარეშე გაიარა.

როგორ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, "კამაზს" აცილებდა მსუბუქი ავტომანქანა. მას შემდეგ, რაც კონტრაბანდისტები არ დაემორჩილნენ პოლიციას, პოლიციამ ცეცხლი გახსნა და "კამაზის" მძღოლი და თანმხლები მანქანა მიიმალნენ. **"ეს პირველი შემთხვევაა, როცა მაღალი კლასის სიგარეტის ასეთი დიდი პარტია დავაკავეთ"**, - აცხადებენ სამართალდამცველები.

*პრაიმ-ნიუსი*

### მარეგულირებელ სააგენტოში დანაშაული აღმოაჩინეს

სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე ეხება საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოში ჩადენილი დანაშაულის ფაქტს.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, დადგინდა, რომ სააგენტოს ყოფილი ხელმძღვანელები უკანონოდ გასცემდნენ ლიცენზიებს და რიგ შემთხვევებში ლიცენზიის გარეშე საქმიანობაში ხელს უწყობდნენ ნავთობგადამამუშავებელ საწარმოებს.

მარეგულირებელ სააგენტოს 2004 წლის 25 მარტამდე ითონიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდის განმავლობაში ნავთობის გადამუშავებაზე ლიცენზია რვა საწარმოზეა გაცემული.

**"ფინანსური პოლიციის მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ ყველა შემთხვევაში ლიცენზია ისეა გაცემული, რომ პრეტენდენტს ან საჭირო დოკუმენტები აკლდა, ან შესაბამისი დასკვნები და ნებართვები იყო ვადაგასული"**, - განმარტავენ პოლიციაში. დამტკიცების შემთხვევაში, მოქმედი კანონით, დანაშაული 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*24 საათი*

### ექსპერტები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტზე მსჯელობენ

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტზე საქართველოს, ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციების წარმომადგენლები სასტუმრო "თბილისი მარიოტში" გამართულ ორდღიან კონფერენციაზე იმსჯელებენ.

ღონისძიება ევროსაბჭოს ეგიდით მიმდინარეობს და მასში მონაწილეობას საქართველოს, ჰოლანდიის, ხორვატიის, ჩეხეთისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციების წევრები იღებენ.

შეგახსენებთ, რომ ახლად დაფუძნებულ ადვოკატთა ასოციაციაში ქვეყნის მასშტაბით 1200-ზე მეტი იურისტია გაწევრიანებული.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2003-2004 წლებში სისხლის და სამოქალაქო სამართალში ჩატარებული ტესტირების შედეგად ადვოკატად მუშაობის უფლება სულ 2061-მა იურისტმა მოიპოვა.

როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი კახა ასლანიშვილი აცხადებს, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი იმ სავალდებულო ქცევის წესებს ადგენს, რასაც ზნეობრივი კრიტერიუმიდან გამომდინარე, ადვოკატი პროფესიული საქმიანობის დროს გამოიყენებს. მისივე თქმით, შეხვედრის მიზანია საქართველოში არსებული საადვოკატო პრაქტიკის ევროპულ და ამერიკულ საადვოკატო ქცევის წესებთან დაახლოება, რისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება უცხოელ ექსპერტთა გამოცდილების გაზიარება.

**"ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები ყველა ადვოკატისთვის ახლობელი უნდა გახდეს, რათა ქვეყანაში მათი პროფესიული დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი იყოს"**, - აცხადებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კრიმინალური დეპარტამენტის ძებნის სამმართველოს მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად რუსეთის ფედერაციის ქალაქ სოჭში, ადლერის რაიონში დააკავეს სამტრედიის შს რაიგანყოფილების მიერ ქურდობისათვის ძებნილი, 45 წლის შალვა ხაჟალია. მზადდება მასალები ხაჟალიას საქართველოში ექსტრადიციისათვის. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიმინალური დეპარტამენტის ძებნის სამმართველოს მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად რუსეთის ფედერაციის ქალაქ ნიჟნინოვგოროდში დააკავეს სამტრედიის შს რაიგანყოფილების მიერ საპატიმროდან გაქცევისათვის ძებნილი, 36 წლის აბელ მჟავია. მზადდება მასალები მჟავიას საქართველოში ექსტრადიციისათვის. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ "ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების გამოყენებისა" და "უკანონო სამეწარმეო საქმიანობის" მუხლებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე ინდმეწარმე "გივი ნადაშვილის" წინააღმდეგ აღიძრა, რომელიც თბილისში, საბურთალოს ქუჩაზე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს შესაბამისი ლიცენზიის გარეშე აშენებს. გარდა ამისა, გივი ნადაშვილს საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილი აქვს ორი ანგარიშფაქტურა, რომლებიც ფინანსური პოლიციის განცხადებით, ყალბია. ფინანსური პოლიციის დავალებით, ინდმეწარმე "გივი ნადაშვილი" საგადასახადო ინსპექციამაც შეამოწმა და მას ბიუჯეტის სასარგებლოდ 93 ათასი ლარი დაარიცხა. **ინტერ-პრესი**

# ბუშის ტურნე

პირველი გვერდიდან

ბუში რბილად არ უნდა ესაუბროს პუტინს. თუ რუსეთი დათანხმდა ხელშეკრულებით ნაკისრი - საქართველოდან სამი სამხედრო ბაზის გაყვანის ვალდებულების შესრულებას, როგორც ამასწინათ იტყობინებოდნენ, ბუშმა უნდა მიულოცოს მას. რუსეთის მხრიდან შემდეგი ნაბიჯი საქართველოს საზღვარზე ეუთო-ს მისიის საერთაშორისო დამკვირვებლებით ჩანაცვლებაზე თანხმობა უნდა იყოს. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა. ამის ნაცვლად, მოსკოვმა და თბილისმა კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლონ ტერორისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველაზე მნიშვნელოვანია, ბუშმა სთხოვოს პუტინს, თავი დაანებოს საქართველოს რეგიონებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ კონფლიქტებში ჩარევას და შეუერთდეს აშშ-ს ახალ დიპლომატიურ მცდელობებს ამ კონფლიქტების სამართლიანი დარეგულირების მიზნით. ალბათ, სწორედ ასეთი უნდა იყოს პრეზიდენტ პუტინის როლი, იგი ხომ შემოდგომაზე დიდი რვიანის თავმჯდომარეობას აპირებს. მას შეუძლია პოზიციის ასეთი რადიკალური ცვლილების შესახებ განცხადება ზაფხულში, "დიდი რვიანის" სამიტის მასპინძლობის დროს გააკეთოს.

ბუში მოსკოვიდან პუტინის პასუხებს პირადად ჩაუტანს სააკაშვილს თბილისში. რასაკვირველია, საქართველო ნებისმიერი სახის პროგრესისა და აშშ-ს დამატებითი დიპლომატიური მხარდაჭერის მოხარული იქნებოდა. მაგრამ, ამავდროულად, ბუშის მთავარი მიზანი საქართველოში თავისუფლების მხარდაჭერის გამოხატვა უნდა იყოს; გზავნილი, რომელიც ქართველებმა ასე მტკიცედ აიტაცეს 2003 წლის ნოემბერში "ვარდების რევოლუციის" დროს. მართლაც, ამერიკის პრეზიდენტი საქართველოს მოსახლეობას თავისუფლების მოედანზე - იმ ადგილიდან მიმართავს, სადაც რევოლუციის პერიოდში ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი რამდენიმე დღის განმავლობაში ითხოვდა არჩევნების გამყალბებელი ხელისუფლების გადადგომას.

ეჭვგარეშეა, ბუში მადლობას გადაუხდის ქართველ ხალხს ერაყში, კოსოვოსა და ავღანეთში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისთვის. სხვათა შორის, ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმის მანიშნებელიც იყო, რომ საქართველოს მისწრაფებას ნატო-ში გაწევრიანებისკენ არა მარტო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პერსპექტივა ასაზრდოებს, არამედ ისიც, რომ ისინი მზად არიან, ალიანსის ტვირთი გაიზიარონ; ბუში მიულოცავს სულ რაღაც თვრამეტ თვეში წარმატებით განხორციელებულ რეფორმებს, როგორიცაა თავდაცვის მინისტრად სამოქალაქო პირის დანიშვნა, შინაგანი ჯარის გაუქმება და აშშ-ს საზღვაო ქვეითების მიერ გაწვრთნილი ორი სამხედრო ბრიგადა. მაგრამ ახლა, ბუშმა უნდა უთხრას მათ, რომ დროა გააორმაგონ ძალისხმევა, განსაკუთრებით, ნატო-ს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესრულების თვალსაზრისით. თუ სააკაშვილი დათანხმდება, შეერთებული შტატების მხარდაჭერა ნატო-სთან ე.წ. "ინტენსიური დიალოგის" დასაწყებად გარანტირებული იქნება. ის კი კიდევ უფრო დააახლოებს საქართველოს ალიანსის წევრობასთან.

დაბოლოს, ბუშმა უნდა შეახსენოს ქართველებს, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია არ არის უბრალოდ "დავალებების" შესრულება. აუცილებელია, შეიქმნას სათანადო პოლიტიკური გარემო. აშშ-ს შეუძლია, დაეხმაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში, თუმცა, ქართველმა ხალხმა მხარი უნდა დაუჭირონ მშვიდობიან დარეგულირებას. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების საუკეთესო საშუალება კი კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება იქნება, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს მოუტანს სარგებლობას.

პრეზიდენტ ბუშს უყვარს თქმა - "თავისუფლება მარშით მოდის". ის მართალია, მაგრამ ეს გრძელი და რთული გზაა. ხალხი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი და ცივი ომი მოიგო, ამ მარშის მონაწილე იყო, ისევე როგორც თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ქართველები. ბუშის მოგზაურობა ლატვიაში, რუსეთსა და საქართველოში დაადასტურებს, რომ აშშ კვლავაც განაგრძობს ამ გზით სიარულს.

*დევიდ ჯ. სმითი საქართველოს ფორუმის თავმჯდომარეა, ამავდროულად, იგი საზოგადოებრივი პოლიტიკის ეროვნული ინსტიტუტის დირექტორია.*




# ტერორისტთა სამიზნე - ქურთები

ტერაქტების რიცხვი ერაყში, ომის ოფიციალურად დასრულებიდან მეორე წელს არათუ შემცირდა, არამედ უკანასკნელ ხანებში კიდევ უფრო გაიზარდა.

გუშინაც ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ არბილში მომხდარი აფეთქების შედეგად დაახლოებით 60 ადამიანი დაიღუპა და 150-ზე მეტი დაიჭრა. არბილი მეტწილად ქურთებით არის დასახლებული და, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ აირჩიეს ტერორისტებმა სამიზნედ. შეგახსენებთ, 30 იანვრის არჩევნების შედეგებით შიიტებთან ერთად სწორედ ქურთებმა ჩაიგდეს ხელში ქვეყნის მართვის სადავეები. ასევე, ქურთული უმცირესობის წარმომადგენელია დღეს ერაყის პრეიზდენტი ჯალალ თალაბანი.

"როიტერის" ცნობით, თვითმკვლელმა ტერორისტმა ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ოფისთან თავი აიფეთქა. ამავე ოფისთან პოლიციის გასაწვევი პუნქტი მდებარეობს, ამიტომ ტერაქტის დროს შენობასთან ასეულობით ადამიანი იმყოფებოდა. წინასწარი ინფორმაციით, ტერაქტი ცნობილი ტერორისტის აბუ მუსაბ აზ-ზარქავის დაჯგუფების მიერ იყო ორგანიზებული.


ტერაქტი არბილში

აღსანიშნავია, რომ 28 თებერვლის შემდეგ ეს ყველაზე სისხლიანი ტერაქტი იყო. მაშინ ბაღდადის სამხრეთით მდებარე ქალაქ ჰილაში კამიკაძე-ტერორისტის მიერ დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად 110 ადამიანი დაიღუპა და 133 დაიჭრა.

გასული კვირიდან ამბოხებულთა თავდასხმები კიდევ უფრო გახშირდა. ამჯერად ტერორისტთა სამიზნეები - ამერიკული სამხედრო კოლონები, ერაყის პოლიცია და შეიარაღებული ძალები, ასევე, ამ უკანასკნელ სტრუქტურებში გამწვევი პუნქტები იყო. ასეთი რამ სავსებით ლოგიკურია - დღეს ამერიკელთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ხომ ამბოხებულებთან ბრძოლაში რაც შეიძლება მეტი ერაყელის ჩაბმა წარმოადგენს. ბუნებრივია, თეთრი სახლი ცდილობს, ერაყში უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყნის ახლად შექმნილ მთავრობას მალე გადააბაროს. ამისთვის კი კოალიციის მიერ კონტროლირებულ ქვეყანაში მოხალისეთა მასობრივი გაწვევის კამპანია მიმდინარეობს.

სხვათაშორის, პენტაგონმა გუშინ აღიარა, რომ ერაყსა და ავღანეთში წარმოებულმა სამხედრო ოპერაციებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა აშშ-ს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებს "ბი ბი სი" აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ რიჩარდ მაიერსის მიერ მომზადებულ საიდუმლო დოკუმენტზე დაყრდნობით. სააგენტოს თქმით, კონგრესისთვის მომზადებული საიდუმლო დოკუმენტის შინაარსი პრესას შემთხვევით ჩაუვარდა ხელში. მასში ნათქვამია, რომ, მართალია, აღნიშნულ ორ სამხედრო კამპანიაზე აშშ-ს ჯერ კიდევ ჰყოფნის სამხედრო ძალები, მაგრამ თუ სადმე საომარი სიტუაცია (თუნდაც ლოკალური) შეიქმნა - აშშ-ს გამარჯვებისთვის გაცილებით მეტი დროისა და მსხვერპლის გაღება დასჭირდება.

შეგახსენებთ, უკანასკნელ კვირაში ერაყში პარტიზანთა ხელით უკვე 200-მდე ადამიანი დაიღუპა.

# შვეიცარიაში რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დააკავეს


ევგენი ადამოვი

შვეიცარიაში აშშ-ს მოთხოვნით რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ევგენი ადამოვი დააკავეს. აშშ რუს ყოფილ მაღალჩინოსანს დაახლოებით 9 მლნ აშშ დოლარის მითვისებაში სდებს ბრალს, რომელიც რუსეთში ბირთვული ნარჩენების გადამუშავებისათვის იყო განკუთვნილი. ადამოვის ადვოკატის განცხადებით, ყოფილი მინისტრი ბერნში ჯერ კიდევ ორშაბათს დააკავეს და ამჟამად მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ქურდობაში ეჭვმიტანილის აშშ-ში ექსტრადაცია არ მოხდეს. იურიდიული პროცედურების სირთულიდან გამომდინარე, ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანში გაირკვევა ყოფილი მინისტრის ბრალეულობა. როგორც შვეიცარიის იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ფოლკო გალი აცხადებს, თუ სასამართლო სხდომაზე, რომელიც დღეს უნდა გაიმართოს, ევგენი ადამოვი უარს იტყვის აშშ-ში ექსტრადაციაზე, გაურკვევლობა კიდევ დიდხანს გაჭიანურდება.

ვიდრე ევგენი ადამოვი გადაწყვეტილებას ციხეში ელის, ვენის კონვენციის თანახმად, რუსი დიპლომატები პატიმრობის პირობების გარკვევას ცდილობენ. შვეიცარიაში რუსეთის საელჩომ მასპინძელი ქვეყნის ხელისუფლებას ნოტა გაუგზავნა. **"შვეიცარიის ხელისუფლებას ჩვენ ნოტა გავუგზავნეთ. ამაში არაფერია უცნაური. ჩვენს მოქალაქესთან შეხვედრის უფლების ჩვეულებრივი მოთხოვნაა. ვენის კონვენციის თანახმად, ჩვენ გვაქვს უფლება, აუცილებელი საკონსულო მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ ევგენი ადამოვს,"** - განაცხადა ბერნში რუსეთის საელჩოს პრეს-მდივანმა იგორ პეტროვმა.

"ბი-ბი-სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აშშ ექსტრადაციის შემთხვევაში ევგენი ადამოვის გასამართლებას პენსილვანიის შტატში, პიტსბურგში აპირებს, სადაც რუსეთის ატომური ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი საკონსულტაციო კომპანიის თანამფლობელია. გავრცელებული ინფორმაციით, მოპარული 9 მლნ აშშ დოლარი ადამოვმა, სწორედ, პენსლივანიისა და დელავერის შტატებში გადარიცხა საკუთარ ანგარიშებზე.

ყოფილი რუსი მაღალჩინოსნის რუსი ადვოკატის თქმით, მისმა კლიენტმა იცოდა, რომ აშშ-ში მის წინააღმდეგ ბრალდება მზადდებოდა და აგროვებდა კიდეც ყველა საჭირო დოკუმენტაციას ბრალდებისთვის დასაპირისპირებლად, მიუხედავად იმისა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს. ადამოვის ამერიკელი ადვოკატის განცხადებით, ყოფილი რუსი მაღალჩინოსანი შვეიცარიაში ქალიშვილის ანგარიშების გაყინვის საკითხის გასარკვევად იმყოფებოდა.

ევგენი ადამოვი რუსეთის ატომური ენერგეტიკის სამინისტროს 1998-2001 წლებში ედგა სათავეში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბირთვული ნარჩენების გაუვნებელყოფა-გამოყენებაში რუსეთს აშშ ეხმარებოდა. ადამოვის მისამართით ხშირად გაისმოდა კორუფციაში ბრალდებები, თუმცა, საქმეს სერიოზული მსვლელობა უკვე 2000-2001 წლებში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგად მიეცა. ევგენი ადამოვს რუსმა დეპუტატებმა ბრალი არა მარტო თანხების გაფლანგვაში დასდეს, არამედ მისი ტენდენციური საკადრო პოლიტიკაც გააკრიტიკეს. ყოფილი მინისტრის რუსი ადვოკატის განცხადებით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგებზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

ოფიციალური კომენტარისაგან რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები შვეიცარიაში ადამოვის დაკავების შემდეგაც იკავებენ თავს. საინტერესოა სხვა რუსული უწყებების დამოკიდებულებაც. როგორც აღმოჩნდა, ატომური ენერგიის რუსეთის ფედერალურ სააგენტოს მინისტრის პოსტზე ადამოვის მოღვაწეობის მიმართ არავითარი პრეტენზიები არ ჰქონია. სააგენტოსაგან განსხვავებული პოზიცია აღმოაჩინდა ორგანიზაცია "გრინპისს". ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა თქმით, ადამოვის დაკავებას მათი გაკვირვება არ გამოუწვევია. **"ადამოვთან დაკავშირებით კიდევ ერთი სკანდალი ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რას წარმოადგენს ბირთვული კომპლექსი,"** - აღნიშნულია "გრინპის"-ის ოფიციალურ განცხადებაში.

*24 საათი*

# იაპონური რაკეტა საბჭოური CC-21-ის ანალოგია

სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტო "რენჰაპ"-მა 1 მაისს იაპონიის ზღვაში გამოცდილი ტაქტიკური რაკეტების შესახებ დამატებითი ინფორმაცია გაავრცელა. როგორც სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, იაპონიის ზღვაში გამოცდილი რაკეტა საბჭოური CC-21 ტიპის რაკეტის ანალოგია. ამ უკანასკნელის მოქმედების სიშორე 100-120 კმ-ია. ფაქტის მიუხედავად, ჩრდილოკორეული რაკეტის გაშვებას ოფიციალურად არც ფხენიანი და არც სეული არ ადასტურებდა. სეულში სამხედრო ექსპერტთა დასკვნა კორეის რესპუბლიკაში თავდაცვის კომიტეტის ეროვნული საბჭოს სხდომაზე გახდა საჯაროდ ცნობილი. "ჩრდილოეთ კორეამ 1 მაისს იაპონიის ზღვაზე 100-200 კმ-ის სიშორის მოქმედების რაკეტა გაუშვა. ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული რაკეტა KN-02 ტიპისაა. ეს საბჭოური CC-21 "მიწა-მიწა" ტიპის რაკეტის მოდიფიცირებული ვარიანტია", აღნიშნულია გაერთიანებული სადაზვერვო შტაბის მეთაურის კიმ სონ ილის მოხსენებაში. ამავე დოკუმენტის თანახმად, ამ ტიპის რაკეტის გამოცდა ჩრდილოეთ კორეის მხრიდან პირველად არ მომხდარა. ზემოაღნიშნული რაკეტა ოფიციალურმა ფხენიანმა გასული წლის აპრილშიც გაუშვა, თუმცა წარუმატებლად.

სამხრეთ კორეის სადაზვერვო სამსახურების მტკიცებით, საბჭოური CC-21 ტიპის რაკეტის ბაზაზე ჩრდილოეთ კორეამ KN-02 ტიპის რაკეტა გაუმჯობესებული სიშორით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში შექმნა.

*რიანოვოსტი*


## ვ ა კ ა ნ ს ი ა

**სს " საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს ვაკანსიას ტექნიკური ზედამხედველის თანამდებობაზე.**

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

1. გაზის მაგისტრალური მილსადენების პროექტირების მშენებლობის და ექსპლუატაციის სტანდარტებისა და ნორმატივების ცოდნა.
2. გაზის ან ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირების სისტემაში მუშაობის გამოცდილება.
3. საერთაშორისო სტანდარტებით მილსადენების ექსპლუატაციისა და მშენებლობის ცოდნა ჩაითვლება პრიორიტეტად.
4. უცხო ენა - რუსული (ინგლისური ენის ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება)
5. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word, Excel). დამატებითი კომპიუტერული პროგრამების ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება.

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

1. ავტობიოგრაფია (CV);
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
3. რეკომენდაციის წერილი;
4. განათლების მოწმობის ასლი (სერთიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით;
5. 2 ფოტოსურათი

განცხადებები მიიღება 2005 წლის 10 მაისს 18.00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, 300 არაგველის N24, შპს " საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" მე-5 სართულზე.
ტელეფონი - 922955/61/62, 923228
ელ.ფოსტა: vakansia@ggic.ge


## ორი სიტყვით

**აზია.** პაკისტანის უშიშროების ძალებმა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ვაზირისტანის პროვინციაში ტერორისტული ორგანიზაციის " ალ კაიდას" უჯრედის ხელმძღვანელი აბუ ფარაჯ ალ-ლიბი დააპატიმრეს. გავლენიანი ტერორისტის დაკავების შესახებ ცნობა პაკისტანის ინფორმაციისა და რადიომაუწყებლობის მინისტრმა შეიხ რაშიდ აჰმედმა გაავრცელა. როგორც თანამგზავრული ტელეარხი "ალ-ჯაზირა" იუწყება, აბუ ფარაჯი თანმხლებ პირებთან ერთად ავღანეთთან მოსაზღვრე რაიონში დააკავეს. სპეცსამსახურის თანამშრომლები, რომლებმაც ეს ოპერაცია ჩაატარეს, პაკისტანის აღნიშნული რაიონის მცხოვრებთათვის ტრადიციულ ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილი. აბუ ფარაჯი 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ერთ-ერთი ორგანიზატორის ჰალიდ შეიჰ მოჰამედის მოადგილე იყო. მოჰამედის დაპატიმრების შემდეგ მისი ადგილი აბუ ფარაჯმა დაიკავა. პაკისტანის სპეცსამსახურების მონაცემებით, აბუ ფარაჯი პაკისტანის ფარგლებს გარეთ ტერორისტულ ოპერაციებს გეგმავდა და კოორდინაციას უწევდა. წარმოშობით ლიბიელი აბუ ფარაჯ ალ-ლიბი 2003 წლის დეკემბერში ქვეყნის პრეზიდენტ ფერვეზ მუშარაფზე განხორციელებული 2 თავდასხმის მომზადებაშიც არის ეჭვმიტანილი. პაკისტანის მთავრობას მისი შეპყრობისთვის ჯილდოდ 20 000 რუპია (340 000 აშშ დოლარი) დააწესა. ოსამა ბინ ლადენისა და მისი "მარჯვენა ხელის" აიმან აზ-ზავაჰირის შემდეგ, აბუ ფარაჯი "ალ კაიდას" იერარქიაში მნიშვნელობით მესამე ფიგურად ითვლება. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ მისთვის ცნობილი იყოს მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის ადგილსამყოფელი. **24 საათი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** პალესტინის საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაური მაჰმუდ აბასი გამოვიდა წინადადებით, ისრაელთან საბოლოოდ სამშვიდობო შეთანხმების განმტკიცების მიზნით საერთოპალესტინური რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. აბასის თქმით, პალესტინელებისთვის 1967 წელს აღიარებული საზღვრების გარდა სხვა წინადადება მიუღებელია. "ჩვენ ვერ შეგვაშინებთ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მაალ-ადუმისა და არიელის ტიპის მსხვილი ებრაული დასახლებებით. ასევე ვერ გვაიძულებთ დავიჯეროთ, რომ შეუძლებელია ამ მენაშენეების ამ ზონიდან გაყვანა," - განაცხადა მაჰმუდ აბასმა ისარელის ხელისუფლების მისამართით. როგორც ცნობილია, აღნიშნული დასახლებების დატოვებას მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი კონფლიქტის საბოლოოდ რეგულირების შემდეგ მაინც აპირებს. **იტარ-ტასი**


## ვ ა კ ა ნ ს ი ა

**სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" აცხადებს ვაკანსიას გენერალური ეკონომიკური განვითარებისა და სტრატეგიული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე.**

**ზოგადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

1. ფინანსური ანგარიშგება საერთაშორისო სტანდარტებით.
2. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნა.
3. ბუნებრივი გაზის სექტორის რეგულირების საკითხები.
4. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საწარმოებში ქონების მართვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების ზედმიწევნით ცოდნა.
5. უცხო ენების ცოდნა (რუსული, ინგლისური). დამატებითი ენის ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება).
6. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Word; Excel;) დამატებითი პროგრამების ცოდნა პრიორიტეტულად ჩაითვლება.

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

1. ავტობიოგრაფია (CV);
2. პირადობის მოწმობის ასლი დედანის წარმოდგენით;
3. რეკომენდაციის წერილი;
4. განათლების მოწმობის ასლი (სერთიფიკატის ასლები) დედანის წარმოდგენით;
5. 2 ფოტო სურათი

განცხადებები მიიღება 2005 წლის 10 მაისს 18.00-მდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, 300 არაგველის N24, სს "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში" მე-6 სართულზე.
ტელეფონი - 922955/61/62, 923228
ელ.ფოსტა: vakansia@ggic.ge



**ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"**
**OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო", მას მედიის მხარდაჭერის პროგრამის პროექტის - "მედია საბჭოს შექმნის ხელშეწყობა", ფარგლებში აცხადებს კონკურსს, სოციალური რეკლამის მოკლე სცენარზე. სცენარი უნდა ასახავდეს დღევანდელ მედიაში არსებულ მთავარ პრობლემატიკას - ჟურნალისტების უფლებებისა და
თავისუფლების საკითხებს.

გთხოვთ წარმოადგინოთ:
CV;
სცენარი კადრებისა და სლოგანების ვარიანტების მიხედვით;

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა
2005 წლის 13 მაისი, 17.00

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ნათია სვანიძეს შემდეგ მისამართზე:
ჭოველიძის 10, ტელ:938999; 899 259232

9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ
9 სიახლე,
9 კვირის განმავლობაში

## "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ

რამდენიმე თვეა, რაც "თიბისი ბანკმა" მარჯანიშვილის ქუჩის N7-ში მდებარე განახლებულ შენობაში დაიდო ბინა. ბანკის ხელმძღვანელობა ტრადიციებს არ ღალატობს და ფინანსური მაჩვენებლების ზრდის პარალელურად, მომხმარებელზეც ზრუნავს - სთავაზობს მათ გაუმჯობესებულ სერვისებს და უქმნის მეტ კომფორტს.

დაბალი ტარიფები და ტექნოლოგიური ნოვაცია "თიბისი ბანკის" სავიზიტო ბარათად იქცა. სტრატეგიული სექტორისთვის - კორპორატიული კლიენტებისა და იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც სტაბილური ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს ბაზარზე, ახალ ოფისში უფრო მყუდრო და კომფორტული გარემოა შექმნილი.

"თიბისი ბანკი" კვლავინდებურად ნოვატორის ამპლუაში გვევლინება და საზოგადოებას მორიგ ინიციატივას სთავაზობს: "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ - 9 სიახლე 9 კვირის განმავლობაში". აღნიშნული კამპანიის მიზანია 9 კონკრეტული სიახლის განხორციელება მომხმარებლებისათვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

"თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გადაიდგმება. კერძოდ, ბანკის მიზანია მომხმარებელთან მაქსიმალური "მიახლოება" უშუალო კომუნიკაციის საშუალებით და მის მოთხოვნილებებზე მორგება, ახალი თანამედროვე საბანკო პროდუქტების დანერგვა და არსებული სერვისების დახვეწა მომხმარებელთა საჭიროებების შესაბამისად, ახალი კამპანიის ძირითადი მიზანი სწორედ აღნიშნული მომსახურებების პირობებისა და პროცედურების გამარტივება იქნება.

ახალი მომსახურებების და გამარტივებული პირობების შემოღება და მისი დამკვიდრება "თიბისი ბანკს" დამატებით კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს - ის უკვე გახდა პირველი ბანკი საქართველოში, რომელიც 20-წლიან იპოთეკურ სესხებს გასცემს. "თიბისი ბანკი" უახლოეს ხანებში სხვა მომსახურებებსაც გამარტივებული და გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზებს მომხმარებლებს.

### სიახლე "თიბისი ბანკისგან"

ცოტა ხნის წინ "თიბისი ბანკმა" 20-წლიანი იპოთეკური სესხების შემოღებით მკვეთრად გაიმყარა კონკურენტული უპირატესობა ადგილობრივ ბაზარზე. მომხმარებლისაკენ მისი მორიგი ნაბიჯი სამომხმარებლო სესხების პირობების გამარტივებას ითვალისწინებს.

სამომხმარებლო სესხი გამოიყენება საოჯახო, პირადი აქტივების შესაძენად, ოჯახის და ნებისმიერი პირადი ხარჯების დასაფინანსებლად. სესხის მინიმალური მოცულობა 500 ამერიკული დოლარი ან 1000 ლარია. 1 მაისიდან "თიბისი ბანკის" სამომხმარებლო სესხების მაქსიმალური ოდენობა შეუზღუდავი გახდა, ანუ მოიხსნა ზედა ზღვარი.

სესხის მინიმალური ვადაა 1 თვე, მაქსიმალური ვადა კი 60 თვეს აღწევს (ან 36 თვე იმ შემთხვევაში, თუ სესხის გაცემა ეროვნულ ვალუტაში ხდება). საპროცენტო განაკვეთის მინიმალური მოცულობა შეადგენს 16%-ს, მაქსიმალური კი 22%-ს.

სესხის დაფარვის წყაროს ყოველთვიური სტაბილური შემოსავალი წარმოადგენს. რაც შეეხება სესხის უზრუნველყოფის ობიექტებს, შეიძლება ეს იყოს ავტომანქანა, უძრავი ქონება, ოჯახის კუთვნილი პირადი ნივთები, ინვენტარი, ავეჯი და სხვა. უზრუნველყოფის ობიექტებად არ გამოიყენება ძვირფასი ლითონების და ძვირფასი ქვების ნაკეთობები, რომლებიც ინახება მსესხებელთან, ანტიკვარული ნივთები, ნახატები, მოძრავი ნივთები, რომლის ზუსტი საბაზრო ღირებულების დადგენა შეუძლებელია.

სამომხმარებლო სესხი მიზნად ისახავს დაკრედიტების მოქნილი მექანიზმის შექმნას შეძლებული და უზრუნველყოფილი ფიზიკური პირებისათვის, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი მინიმუმ 300 აშშ დოლარს შეადგენს. ამასთან, სესხი უზრუნველყოფს მათი პირადი აქტივების შეძენის, ოჯახის სხვადასხვა ხარჯებისა და ბიზნეს-ინვესტიციების ფინანსირებას. ბიზნეს ინვესტიციების დაფინანსება განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაფინანსებელი - მოქმედი ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს სესხის კრიტერიუმებს.

შედარებით მაღალშემოსავლიანი პირებისათვის (რომელთა თვიური შემოსავალი 600 აშშ დოლარს აღემატება) "თიბისი ბანკი" სამომხმარებლო სესხს ყოველგვარი უზრუნველყოფის, ანუ გირაოს გარეშე გასცემს. ოღონდ, ასეთ შემთხვევაში სესხის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მსესხებლის ხელფასის 3-მაგ ოდენობას. გამონაკლისია დადებითი საკრედიტო ისტორიის მქონე პირები, რომელთა შემთხვევაში "თიბისი ბანკი" გირაოს გარეშე გასცემს სამომხმარებლო სესხს მსესხებლის ხელფასის 5-მაგი ოდენობით.

თუ სესხის უზრუნველყოფას უძრავი ქონება წარმოადგენს, სესხის თანხა არ უნდა აღემატებოდეს უზრუნველყოფის ჯამური ღირებულების 80 პროცენტს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სესხის უზრუნველყოფას ავტომანქანა ან მოძრავი ქონება წარმოადგენს, სესხის თანხა არ უნდა აღემატებოდეს უზრუნველყოფის ჯამური საბაზრო ღირებულების 60 პროცენტს. ნებისმიერ შემთხვევაში, ავტომანქანის ასაკი სესხის ვადის ბოლოს არ უნდა აღემატებოდეს 20 წელს. ამასთან, სესხის მოქმედების განმავლობაში, ის აუცილებელი წესით უნდა დაიზღვეს მინიმუმ სესხის თანხაზე.

"თიბისი ბანკის" სამომხმარებლო სესხის მომხმარებელი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, არ უნდა ჰქონდეს უარყოფითი საკრედიტო ისტორია. შესაძლებელია, მოხდეს განაცხადის დამუშავება იმ შემთხვევაშიც, თუ მსესხებელს წინა სესხის დაფარვისას დაშვებული ვადაგადაცილების წარმოშობის შემდეგ აქვს 1 წლიანი დადებითი საკრედიტო ისტორია (ანუ არ აღენიშნებოდა ერთჯერადი 5 დღეზე მეტი ვადაგადაცილება).

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, "თიბისი ბანკის" სამომხმარებლო სესხების პოტენციურ კლიენტურას წარმოადგენენ ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ყოველთვიური ხელფასი, ასევე მეიჯარეები, ბიზნესის მფლობელი ფიზიკური პირები, რომელთა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სტაბილური შემოსავალი ბიზნესიდან დივიდენდების სახით.

რაც შეეხება დამატებით პირობებსა და მონიტორინგს, საკრედიტო განაცხადის შევსება და მისი საკრედიტო ექსპერტისთვის მიწოდება შესაძლებელია მსესხებლის ვიზიტისას ბანკში, ტელეფონის საშუალებით, ელექტრონული ვერსიის ელ-ფოსტით გაგზავნით, ასევე განაცხადის ფაქსით გაგზავნის გზით.

მიღებული განაცხადის საფუძველზე ბანკის საკრედიტო ექსპერტი განსაზღვრავს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და ატყობინებს მსესხებელს. ყველა საჭირო საბუთის წარმოდგენიდან 2 დღის განმავლობაში "თიბისი ბანკი" განიხილავს და ამტკიცებს სესხს.

თიბისი ბანკი TBC Bank

## დიდი საპრივატიზაციო შერკინება

პირველი გვერდიდან

### ელექტროვაგონშემკეთებლისთვის 4 კომპანია იბრძოლებს

სს "ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაზე", რომლის აქციების მხოლოდ 51.6 პროცენტი იყიდება, ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მხოლოდ ოთხი კომპანიის განაცხადი შევიდა. მათ შორის ყველაზე მეტს, 8 მილიონ 500 ათას აშშ დოლარს, ავსტრალიური წარმოშობის შპს "ევრაზია ტრანს ექსპედიშენი" იხდის. ელექტროვაგონშემკეთებელზე პრეტენზიას ამ საწარმოს ერთ-ერთი დებიტორიც აცხადებს. შპს "თი-ჯი-თრეიდის" მიერ წარმოდგენილი წინადადების თანახმად, ის ელექტროვაგონშემკეთებელში მხოლოდ 2 მილიონ 500 ათასი დოლარს "იმეტებს". თითქმის ორჯერ მეტს, 5.5 მილიონ დოლარს იხდის ამ საწარმოში ქართული შპს "ტრანს ლოგისტიკი", რომელიც წარმოდგენილი გრაფიკის თანახმად, აღნიშნულ თანხას სრულად მომდევნო ერთ წელიწადში დაფარავს. რუსული "ბოიკო", რომელსაც საკუთარი ბიზნესი უკრაინაშიც კარგად აქვს განვითარებული, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, "ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში" 1.5-2.5 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს.

### აჭარის ნავთობაქტივებით 18 კომპანია დაინტერესდა

ყველაზე დიდი ინტერესი აჭარის ტერიტორიაზე განთავსებულმა ნავთობაქტივებმა, უფრო ზუსტად, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ და ნავთობბაზამ გამოიწვია. ამ ობიექტებზე განაცხადი სულ 18-მა ბიზნესჯგუფმა წარმოადგინა, აქედან ერთ ნაწილს ერთდროულად ორივე ობიექტის შეძენა სურს. ერთ-ერთი მათგანი ბრიტანული "ფრანკ ოილია", რომელიც, მართალია, საწყის ფასს ამ ეტაპზე არ ასახელებს, თუმცა წარმოდგენილ განაცხადში ნათქვმია, რომ ბრიტანელი ინვესტორი ბათუმის ნავთობბაზასა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში 80 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. "ფრანკ ოილის" ერთ-ერთ რეალური კონკურენტია დანიური კომპანია "გრინოუქი", რომელიც "საოკეანო სანაოსნოზე" გამოცხადებულ კონკურსს საწყის ეტაპზევე გამოეთიშა.

კიდევ ერთი უცხოური კომპანია, რომელსაც ერთდროულად ორივე ობიექტის შეძენა სურს, არის თურქული წარმოშობის "გუნაი". მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ "გუნაი" 500-700 აშშ დოლარის ინვესტიციების დაბანდებას გეგმავს. ნორვეგიული კომპანია MBI კი მზად არის, ორივე ობიექტში ნაღდ ფულზე 165 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

ბათუმის ნავთობბაზის შეძენის სურვილი ცნობილმა ქართულმა კომპანია "ქართულმა შაქარმაც" გამოთქვა. მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ "ქართული შაქარი" ნავთობბაზაში 1.5 მილიონ დოლარს გადაიხდის და უახლოესი ერთი წლის განმავლობაში 5 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. თუმცა, როგორც კომპანიის იურისტმა "24 საათთან" საუბრის დროს განაცხადა, ეს მხოლოდ საწყისი ფასებია, და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, შესაძლოა, კომპანიამ დასახელებული თანხა გაზარდოს.

აღნიშნულ ობიექტებზე ინტერესი გამოხატა, აგრეთვე, თურქულმა კომპანია "კორეატმა", რომელიც 11.5 მლნ დოლარს გადაიხდის; შვეიცარიულმა - "ვიტოლმა", რომელიც ორივე აქტივში 7 მლნ დოლარს იხდის; ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა "სილქ როუდ გრუპმა", რომელიც 17 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს; ქართულმა კომპანიამ - "ლუტრანსმა", რომელიც 1 მილიონი 360 ათას დოლარს გადაიხდის; ქართული კომპანია შპს "გაზ ოილ იმპექსი", რომელიც ორივე ობიექტის აქტივებში 20 მილიონ დოლარს გადაიხდის და მოგვიანებით, 260 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნით დაინტერესებულია ასევე "კასტორ ნავტიკალ ტრეიდინგის" საქართველოს ფილიალი, რომელიც 900 ათასი დოლარის გადახდას აპირებს.

წინადადებები წარმოადგინეს ასევე კომპანიებმა: "იკრა" (თურქეთი), "ბერნარდ ვან მაიერი" (ჰოლანდია), "სატ კო" (ყახაზეთი), "ნეფტინჟინერინგი" (რუსეთი), "სტამკო" (რუსეთ-ისრაელი). "ჯორჯიან გლობალ კონსულტანტი" (ლონდონი) "გრინოუქი" (დანია) და ფიზიკურმა პირმა ღამბაშიძემ (ინგლისი). ამ კომპანიების მიერ წარმოდგენილ განცხადებაში შესასყიდი ფასები მითითებული არ არის.

როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა განაცხადა, წარმოდგენილი წინადადებების შესწავლას თვე-თვენახევარი დასჭირდება. ამ პერიოდის შემდეგ, სამინისტროს უკვე ეცოდინება, თუ რას სთავაზობს მას თითოეული კომპანია, რომელმაც ამ ეტაპზე მხოლოდ საწყისი, ბაზისური პირობები წარმოადგინა. ამის შემდეგ დაიწყება მეორე ეტაპი, როდესაც გამარჯვებული კომპანიები კონკურსის საფუძველზე გამოვლენილი იქნება.

## ინფორმაცია

### საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გაწეული საგზაო სამუშაოების შესახებ 2005 წლის I კვარტლის მდგომარეობით

საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 28 დეკემბერს მიღებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საავტომობილო გზების დეპარტამენტს გზების მოვლა-შენახვისა და მშენებლობა- რეაბილიტაციის დაფინანსებისათვის განესაზღვრა 55000 ათ. ლარი. მიმდინარე წლის I კვარტალში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი, კონკრეტულ ციფრობრივ გამოხატულებაში მოცემულია ცხრილი N1-ში.

2005 წლის I კვარტალში გზების პერიოდულ შეკეთებასა და რეაბილიტაციაზე შესრულებულია 1795,7 ათ. ლარის სამუშაოები, გზების მიმდინარე შეკეთებასა და ზამთრის შენახვის სამუშაოებზე ჩატარებულია სულ 3264,8 ათ. ათასი ლარის მოცულობის სამუშაოები, ხოლო სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები შესრულდა 2422,8 ათ. Lლარის მოცულობით. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის კრედიტით და კუვეიტის არაბთა განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელ სამუშაოებს, ისინი დაიწყო აპრილის თვიდან და შესაბამისად მათი მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია აისახება 6 თვის ანგარიშში.

| N | დასახელება | დამტკიცებულია 2005 წ. ბიუჯეტით | შესრულებული სამუშაოების მოცულობა | საკასო თანხა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე, პერიოდული შეკეთება რეაბილიტაცია, მშენებლობა და შენახვა ზამთრის პერიოდში | 55000,0 | 7592,9 | 4671,1 |
| 1,1 | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 34900,0 | 1795,7 | 1864,2 |
| 1,2 | გზების მიმდინარე შეკეთება | 13000,0 | 790,7 | 449,8 |
| | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2200,0 | 2474,1 | 1099,1 |
| 1,3 | სხვა ხარჯები | 550,0 | 89,5 | 48,1 |
| 1,4 | 2004 წლის შესრულებული საგზაო სამუშაოების ანაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 200,0 | 0 | 199,1 |
| 1,5 | სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები | 4000,0 | 2422,8 | 999,5 |
| 1,6 | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 150,0 | 20,1 | 11,3 |

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

## საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის განცხადება

**საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, დამატებითი საკონკურსო პირობების დადგენისა და კონკურსის ჩატარების შესახებ**

ვაცხადებთ კონკურსს საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში არსებულ შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის თბილისის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი:

| თანამდებობის დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
|---|---|---|
| ბიუროს ადმინისტრატორი | 1 | 400 |
| ადვოკატი | 4 | 350 |

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურის ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი:

| თანამდებობის დასახელება | საშტატო რიცხოვნება | თანამდებობრივი სარგო (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) |
|---|---|---|
| ბიუროს ადმინისტრატორი | 1 | 300 |
| ადვოკატი | 3 | 250 |
| კონსულტანტი | 1 | 150 |

**საკონკურსო პირობები**

**ტერიტორიული ბიუროს ადმინისტრატორის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

■ ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
■ 2-წლიანი სამუშაო გამოცდილება (სასურველია მართვისა და მენეჯმენტის სფეროში;)
■ გუნდური მუშაობის უნარი;
■ ორგანიზატორული ჩვევები;
■ საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
■ სასურველია გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა ტესტირება.

**ტერიტორიული ბიუროს ადვოკატის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება
- სასურველია ჰქონდეს საადვოკატო საქმიანობის გამოცდილება სისხლის სამართლის საქმეებზე;
- ჰქონდეს გუნდური მუშაობის უნარი;
- ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს;
- **სასურველია** გავლილი ჰქონდეს ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

**ტერიტორიული ბიუროს კონსულტანტის თანამდებობის დაკავების მსურველი კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:**

- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება;
- ფლობდეს საოფისე კომპიუტერულ პროგრამებს;
- ჰქონდეს გუნდური მუშაობის უნარი.

**საზოგადოებრივ (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობებზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:**

■ წერილობითი განცხადება სამსახურის უფროსის სახელზე;
■ ავტობიოგრაფია (**CV**);
■ უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების ასლები;
■ სამოტივაციო წერილი (თქვენი აზრით რატომ შეესაბამებით აღნიშნულ თანამდებობას)
■ ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების გავლის დამადასტურებელი მოწმობა (თუკი ვაკანსიის საკონკურსო პირობა ამას ითვალისწინებს):
■ ორი სარეკომენდაციო წერილი;
■ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
■ ორი ფოტოსურათი.

საზოგადოებრივი (სახაზინო) ადვოკატის სამსახურში კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი ჩატარდება ტესტირების, ხოლო მეორე - გასაუბრების ფორმით.

ტესტირება ტარდება წერილობითი ფორმით. ტესტი შედგება 50 შეკითხვისაგან და 3 კაზუსისგან. თითოეულ კითხვაზე გაცემული სწორი პასუხი შეფასდება 1 ქულით, ხოლო თითოეული კაზუსი - 10 ბალიანი სისტემით.

კონკურსანტის ამოცანაა ტესტის 4 სავარაუდო პასუხიდან აირჩიოს ერთი სწორი პასუხი და სათანადი აღნიშვნა დაიტანოს სწორი პასუხების ფურცელზე.

ტესტის ოთხი პასუხიდან სწორია მხოლოდ ერთი.

ტესტური გამოცდის მინიმალური შეფასება არის 0, ხოლო მაქსიმალური 80 ქულა.

კონკურსის მეორე ეტაპზე (გასაუბრება) გამსვლელ კონკურსანტთა რაოდენობა განისაზღვრება სამსახურში არსებული ვაკანტური თანამდებობების ოთხმაგი ოდენობით.

გასაუბრებაზე მიწვეულ იქნებიან მხოლოდ ის კონკურსანტები, რომლებიც ტესტირების შედეგად დააგროვებენ ქულების მეტ რაოდენობას დადგენილი წესით, მაგრამ არანაკლებ ქულების მაქსიმალური ოდენობის 75%-ისა.

ტესტირების ეტაპის ჩასაბარებლად კონკურსანტს ეძლევა 3 ასტრონომიული საათი.

კომისია ტესტირების შედეგებს გამოაქვეყნებს ტესტირების ჩატარებიდან არა უგვიანეს 5 დღისა.

ტესტირების ჩატარების თარიღი და ადგილი ეცნობებათ კონკურსანტებს 16 მაისს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს (თბილისი, გრიბოედოვის ქ.19) და ქ. ზესტაფონის გამგეობის (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. 11) შენობაში შესაბამისი განცხადების საჯაროდ გამოცხადების გზით.

თბილისის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე განცხადებები მიიღება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა მისაღებში (ქ. თბილისი, გრიბოედოვის 19) **27 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით**, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა **14.00-დან 17.00 საათამდე**.

ზესტაფონის ტერიტორიულ ბიუროში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე განცხადებები მიიღება ქ. ქუთაისის "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ოფისში (ნინოშვილის ქ. N3) **27 აპრილიდან 13 მაისის ჩათვლით**, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა **14:00-დან 17.00 საათამდე**.

# საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისიის
# განცხადება

1. საქართველოს ეროვნული ბანკი 2005 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. მოწოდება განხორციელდება 2005 წლის განმავლობაში ეტაპობრივად სებ-ის წერილობითი მოთხოვნების შესაბამისად კერძოდ:

3.

| ლოტი | N | საქონლის დასახელება | სავარაუდო რაოდენობა | მიწოდების ადგილი? |
|---|---|---|---|---|
| | 1.1 | პირგადასაღები ქაღალდი A-4 ფორმატის გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321i; HS/KN-4816, 4823.1 | 3000შეკვრა. (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.2 | პირგადასაღები ქაღალდი A-3 ფორმატის გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321i; HS/KN-4816, 4823.1 | 500შეკვრა (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.3 | თვითკოპირებადი ქაღალდი A-4 გოსტ-D-DE-21.23.1; CPC-321i; HS/KN-4816, 4823.1 | სებ-ის საჭიროებისამებრ (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.4 | ფაქსის ქაღალდი 21088-30 | 400 ც. (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| 1. | 1.5 | პერფორირებული ქაღალდი კგ. 42088-იანი. გოსტ-D-DE-21.23.1 CPC-32199.2; HS/KN-4823.5 | 7000 (ეტაპობრივი მიწოდებით) | საქართველოს ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 1.6 | ცარცის ქაღალდი A-1; A1 120-120-140გრ. (640X900)კგ. გოსტ-D-DE-21.12.53 CPC-32143.1i;S/KN-4810.1,2 | სებ-ის საჭიროებისამებრ (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.7 | მუყაოს ქაღალდი სხვადასხვა | (ეტაპობრივი მიწოდებით) | |
| | 1.8 | ქაღლური პრინტ. ქაღალდი A4, 220gr (50p) შეკვრა | 30 | |
| | 1.9 | ქაღლური პრინტ. ქაღალდი A4,gr 120(50p) შეკვრა | 10 | |
| | 1.10 | Oსპეციალური ქაღალდი LJ 4650 შეკვრა | 10 | |
| | 2.1 | საწერი კალამი | 6000 | |
| | 2.2 | ფანქარი | 3000 | |
| | 2.3 | ბაინდერი დიდი | 1500 | |
| | 2.4 | ბაინდერი პატარა | 500 | |
| | 2.5 | ბლოკნოტი A-3 ზამბარიანი | 1500 | |
| | 2.6 | ბლოკნოტი A-4 ზამბარიანი | 500 | |
| | 2.7 | მტრიხი | 600 | |
| | 2.8 | სახაზავი | 400 | |
| | 2.9 | ქიკარტი | 100 | |
| | 2.10 | სათლელი | 200 | |
| | 2.11 | წებოვანი ფურცლები 75x75მმ | 2500 | |
| | 2.12 | საშლელი | 400 | |
| 2 | 2.13 | სკრეპი საშუალო#3 | 500 | საქართველოს ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 2.14 | სკრეპი დიდი#6 | 200 | |
| | 2.15 | სტეპლერის ნემსი 24/6 | 1000 | |
| | 2.16 | მარკერი | 1000 | |
| | 2.17 | სტეპლერის ნემსი #10 | 500 | |
| | 2.18 | საკანცელარიო მაკრატელი | 100 | |
| | 2.19 | საბეჭდი კალკულატორის ლენტი | 500 | |
| | 2.20 | საკანცელარიო დანა | 100 | |
| | 2.21 | საკანცელარიო წიგნი | 500 | |
| | 2.22 | მშრალი წებო 22გრ. | 1000 | |
| | 2.23 | გამჭვირვალე ფაილები A-4 | 400 | |
| | 2.24 | საქაღალდე ბაფთიანი | 1000 | |
| | 2.25 | სწრაფჩამკერი მუყაოს | 1000 | |
| | 2.26 | ფერადი სწრაფჩამკერი | 5000 | |
| | 2.27 | სტეპლერი საშ. | 200 | |
| | 2.28 | დირაკოლი საშ. | 200 | |
| | 2.29 | ფულის შესაფუთი რეზინები 100გრ. | 100 | |
| | 2.30 | საკანცელარიო სკოჩი | 500 | |
| 3. | 3.1 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1100 კატრიჯი | 25 | |
| | 3.2 | ლაზერული პრინტერი HP LJ-1100 ფოტობარაბანი | 20 | |
| | 3.3 | ლაზერული პრინტერი HP LJ-1100 ტონერი | 60 | |
| | 3.4 | ლაზერული პრინტერი HP LJ-1200 ფოტობარაბანი | 40 | |
| | 3.5 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1200 კატრიჯი | 60 | |
| | 3.6 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1200 ტონერი | 110 | |
| | 3.7 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1150 კატრიჯი | 40 | |
| | 3.8 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1012 კატრიჯი | 50 | |
| | 3.9 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1012 ფოტობარაბანი | 30 | |
| | 3.10 | ლაზერული პრინტერი HP LJ -1300 კატრიჯი | 4 | |
| | 3.11 | ლაზერული პრინტერი LJ 5L/6L კატრიჯი | 25 | |
| | 3.12 | ლაზერული პრინტერი LJ 5L/6L ტონერი | 40 | |
| | 3.13 | ლაზერული პრინტერი LJ 5P/6P კატრიჯი | 8 | |
| | 3.14 | ლაზერული პრინტერი HP LJ5P/6P ფოტობარაბანი | 5 | |
| | 3.15 | ლაზერული პრინტერი LJ 5P/6P ტონერი | 20 | |
| | 3.16 | ლაზ. HP LJ- 2100/2200/2200 DN კატრიჯი | 8 | |
| | 3.17 | ლაზერული პრინტერი LJ 5N/LJ 4 კატრიჯი | 1 | |
| | 3.18 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8150 კატრიჯი | 2 | |
| | 3.19 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8150 ტონერი | 10 | |
| | 3.20 | ლაზერული პრინტერი HP LJ 4000N კატრიჯი | 2 | |
| | 3.21 | ლაზერული პრინტერი HP LJ 4000N ტონერი | 10 | |
| | 3.22 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8000N კატრიჯი | 4 | |
| | 3.23 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8000N ტონერი | 10 | |
| | 3.24 | ლაზ. პრინტერი HP LJ 8550 კატრიჯი ფერადი | 2 | |
| | 3.25 | ლაზ. პრინტერი HP LJ 8550 კატრიჯი შავთეთრი | 2 | |
| | 3.26 | ლაზერული პრინტერი HP LJ 8500N ტონერი | 6 | |
| | 3.27 | HP LJ NP 5100/ 5100 DN /5100 DTNკატრიჯი | 4 | |
| | 3.28 | HP LJ NP 5100/5100 DN/5100 DTN ტონერი | 12 | |
| | 3.29 | HP LJ 4600 კატრიჯი ფერადი | 6 | |
| | 3.30 | HP LJ 4600 კატრიჯი შავთეთრი | 8 | |
| | 3.31 | HP LJ 4600 ტონერი (შავი) | 10 | |
| | 3.32 | HP LJ 4600 ფოტობარაბანი | 4 | |
| | 3.33 | HP LJ 4600 Fuser Kit | 1 | |
| | 3.34 | HP LJ 4600 ტონერი | 5 | |
| | 3.35 | პრინტერის LJ NP 4550 კატრიჯი ფერადი | 3 | |
| | 3.36 | პრინტერის LJ NP 4550 კატრიჯი შავთეთრი | 5 | საქართველოს ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 3.37 | პრინტერის LJ NP 4550 ბარაბანი Drum kit კომპ. | 1 | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | 3.38 | პრინტერი Epson photo 700 კატრიჯი ფერადი | 3 | |
| | 3.39 | პრინტერი Epson photo 700 კატრიჯი შავთეთრი | 5 | |
| | 3.40 | HP DJ 350 C კატრიჯი შავთეთრი (6628A) | 1 | |
| | 3.41 | HP DJ 350 Cკატრიჯი ფერადი (51649A) | 1 | |
| | 3.42 | HP DJ 9300 კატრიჯი შავთეთრი (51645A) | 3 | |
| | 3.43 | HP DJ 9300 კატრიჯი ფერადი (6578D) | 2 | |
| | 3.44 | HP DJ 1120 C კატრიჯი ფერადი (1823D) | 3 | |
| | 3.45 | HP DJ 1120 C კატრიჯი შავთეთრი (51645A) | 5 | |
| | 3.46 | HP DJ 3550 კატრიჯი შავთეთრი (8727A) | 1 | |
| | 3.47 | HP DJ 3550 კატრიჯი ფერადი (8728A) | 1 | |
| | 3.48 | HP DJ 690 C კატრიჯი ფერადი (51649A) | 4 | |
| | 3.49 | HP DJ 690 C კატრიჯი შავთეთრი (51629A) | 4 | |
| | 3.50 | HP DJ 450 კატრიჯი შავთეთრი (56) | 6 | |
| | 3.51 | HP DJ 450 კატრიჯი ფერადი (57) | 6 | |
| | 3.52 | HP DJ5652 კატრიჯი შავთეთრი (56) | 10 | |
| | 3.53 | HP DJ 5652 კატრიჯი ფერადი (57) | 14 | |
| | 3.54 | HP DJ 5652 კატრიჯი ფერადი (58) | 11 | |
| | 3.55 | HP DJ 1220 C კატრიჯი შავთეთრი (45) | 10 | |
| | 3.56 | HP DJ 1220 C კატრიჯი ფერადი (78) | 6 | |
| | 3.57 | HP DJ 990 C კატრიჯი ფერადი (78) | 2 | |
| | 3.58 | HP DJ 990 C კატრიჯი შავთეთრი (45) | 12 | |
| | 3.59 | პრინტერი Epson 1170/1180 კატრიჯი | 100 | |
| | 3.60 | პრინტერი Epson DFX 8500 კატრიჯი | 300 | |
| | 3.61 | სალებავი ფირი 13 მმX12 მ | 50 | |
| | 3.62 | სალებავი ფირი 13 მმX50 მ | 60 | |
| | 3.63 | ქსეროქსის Canon 7161 კატრიჯი | 4 | |
| | 3.64 | ქსეროქსის Canon 7161 ტონერი | 60 | |
| | 3.65 | ფოტობარაბანი Canon 7161 | 20 | |
| | 3.66 | რაკელი Canon 7161 | 20 | |
| | 3.67 | ქსეროქსის Canon 6216/6416 კატრიჯი | 3 | |
| | 3.68 | ფოტობარაბანი/რაკელი Canon 6216/6416 | 14 | |
| | 3.69 | ქსეროქსის Canon 6216/6416 ტონერი | 50 | |
| | 3.70 | დეველოპერი XC 822 | 4 | |
| | 3.71 | ქსეროქსის XC 822 ტონერი | 10 | |
| | 3.72 | ქსეროქსის XC 822 კატრიჯი | 1 | |
| | 3.73 | ქსეროქსის XC 822 ფოტობარაბანი | 2 | |
| | 3.74 | ქსეროქსის Canon PC D320 ტონერი | 30 | |
| | 3.75 | ქსეროქსის Canon PC D320 220 კატრიჯი | 12 | |
| | 3.76 | ქსეროქსის Canon PC 780/860/FC 220 ტონერი | 100 | საქართველოს ეროვნული ბანკი ლეონიძის ქ.3/5 |
| | 3.77 | ქსეროქსის Canon PC 780/860/FC 220 კატრიჯი | 90 | |
| | 3.78 | ქსეროქსის Canon IR 6000 ტონერი | 10 | |
| | 3.79 | ქსეროქსის Canon IR 6000 კოპი კატრიჯი | 1 | |
| | 3.80 | ქსეროქსის RX 5352 კოპი კატრიჯი | 4 | |
| | 3.81 | ქსეროქსის RX 5352 ტონერ კატრიჯი | 10 | |
| | 3.82 | ქსეროქსის RX 5317 ტონერი | 10 | |
| | 3.83 | ქსეროქსის RX 5317/5316 კოპი კატრიჯი | 4 | |
| | 3.84 | GR-3750 სალებავი შავი | 36 | |
| | 3.85 | GR-3750 მასტერ ფირი | 15 | |
| | 3.86 | ფაქსის Multipas C75 კატრიჯი ფერადი | 3 | |
| | 3.87 | ფაქსის Multipas C75 კატრიჯი შავთეთრი | 3 | |
| | 3.88 | ფაქსის Panasonik Panafax UF-490 ტონერი | 3 | |
| | 3.89 | ფაქსის Panas. Panafax UF-490 ტონერკატრიჯი | 1 | |
| | 3.90 | ფაქსის Panas. Panafax UF-490 კოპი კატრიჯი | 1 | |
| | 3.91 | ფირი ფაქს Panasonic KX-FM 131 BX | 16 | |
| | 3.92 | CD-ROM ლაზერული დისკები | 3,600 | |
| | 3.93 | CD-RW ლაზერული დისკები | 200 | |
| | 3.94 | DVD+RW დისკი | 150 | |
| | 3.95 | DVD-RW დისკი | 150 | |
| | 3.96 | JAZ დისკი 2 Gb | 2 | |
| | 3.97 | სტრიმერის კასეტა SDLT 50 Gb | 50 | |
| | 3.98 | სტრიმერის კასეტა ULTRIUM-2 200 Gb | 30 | |
| | 3.99 | სტრიმერის გასაწმენდი კასეტა SDLT | 6 | |
| | 3.100 | სტრიმერის გასაწმენდი კასეტა ULTRIUM-2 | 6 | |
| | 3.101 | მაგნიტური დისკეტები | 3,200 | |
| | 3.102 | კალკულატორის სალებავი | 10 | |
| | 3.103 | სილიკონის მალამო 500 ml | 3 | |
| | 3.104 | ლოკალური ქსელის გაყვანილობის სახარჯი მასალა | | |
| | 3.105 | ქსელის RG-45 კაბელი | 4650 | |
| | 3.106 | ქსელის RG-45 თავაკები | 650 | |
| | 3.107 | და სხვა სებ-ისთვის საჭირო საკანცელარიო ნაწარმი | | |

ტენდერში შესაძლებელია გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების შესაბამისად;

4. ტენდერში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინოთ საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე, არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა. (ვადაში ითვლება განცხადების გამოქვეყნების თარიღი) სებ-ის კანცელარიაში 17.00 სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.3/5. სატენდერო კომისიის აპარატის ტელ: 44-24-02, შიდა ტელ. 4-02.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა) მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ბ)მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

გ) მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება (ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

დ) ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ე) ფიზიკური პირისათვის ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ვ) ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

ზ) ბოლო სამი წლის ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

თ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

ი) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

კ) რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ლ)წარდგინების წერილი საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით და გვერდების მითითებით; (უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

6. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნეს წარმოდგენილი ორიგინალების სახით. ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

7. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

9. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატის საქართველოს ეროვნული ბანკში. მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.3/5, საფოსტო ინდექსი 0105, ოთახი N202, ტელ: 44-24-02, შიდა ტელ: 4-02. ტენდერის პირობების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე (www.nbg.gov.ge).

*საქართველოს ეროვნული ბანკის სატენდერო კომისია*

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს ბენზინის შესყიდვაზე.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

**ბენზინი აი-92 132 ტონა.**
**N ბენზინი აი-98 54 ტონა.**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 ივნისიდან 2006 წლის 01 ივნისამდე.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო "უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 17 მაისის 17 საათამდე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

Aა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**4.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ) მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის, შესაბამისობის და წარმოშობის სერტიფიკატი, აგრეთვე შესაბამისი ლიცენზია ბენზინის საწვავის მოწოდებაზე.

დ) გააჩნია თუ არა მომწოდებელს ქ.ფოთში ავტო-გასამართი სადგური.

ე) თბილისიდან ფოთამდე ავტო-გასამართი სადგურების ქსელი (მიუთითეთ ჩამონათვალი).

ვ) შეუძლია თუ არა მომწოდებელს პლასტიკური ბარათებით მომსახურეობა.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ 2005 წლის 19 მაისის 1000 საათიდან 2005 წლის 23 მაისის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე. შესყიდვების განყოფილება საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

8. საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: **2005 წლის 25 მაისის 17[00] საათი.**

9. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 2005 წლის 10 მაისს ოფიციალურად დაფიქსირებული საერთაშორისო პლაცის გათვალისწინებით.

10. კონკურსში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით

14. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

15. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ჩაატაროს დამოუკიდებელი ან ერთობლივი შემოწმება და დაადგინოს კონკურსში მონაწილის ქსელში (რეზერვუარებში) არსებული ბენზინის განაცხადში წარმოდგენილი ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატთან იდენტურობა.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელეფონი: 8(293) 7-01-48

*შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს*
*საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე*
*ვლადიმერ ხოხობაია*

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს დიზელის საწვავის შესყიდვაზე.

1.1 მოსაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა: დიზელის საწვავი ლ-62 -2500 (ორიათას ხუთასი) ტონა.

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: 2005 წლის 01 ივნისიდან 2006 წლის 01 ივნისამდე.

1.3 მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მომწოდებელმა" - ქართულად, ხოლო "უცხოელმა "მომწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 17 მაისის 17 საათამდე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1 იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

**4.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:**

ა) მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ) შეუძლია თუ არა მომწოდებელს სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტორტის გამოყენებით, ნავსადგურის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში საწვავის მოწოდება.

დ) მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის, შესაბამისობის და წარმოშობის სერტიფიკატი, აგრეთვე შესაბამისი ლიცენზია დიზელის საწვავის მოწოდებაზე.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ 2005 წლის 19 მაისის 1000 საათიდან 2005 წლის 23 მაისის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე. შესყიდვების განყოფილება საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

8. საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადაა: **2005 წლის 25 მაისის 17[00] საათი.**

9. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს 2005 წლის 10 მაისს ოფიციალურად დაფიქსირებული საერთაშორისო პლაცის გათვალისწინებით.

10. კონკურსში შესაძლებელია რამოდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

11. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია, საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

12. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

13. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით

14. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

15. შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური" იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ჩაატაროს დამოუკიდებელი ან ერთობლივი შემოწმება და დაადგინოს კონკურსში მონაწილის ქსელში (რეზერვუარებში) არსებული დიზელის საწვავის განაცხადში წარმოდგენილი ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატთან იდენტურობა.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ.ფოთი, დ.აღმაშენებლის ქ.N52, შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელეფონი: 8(293) 7-01-48

*შ.პ.ს. "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს*
*საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე*
*ვლადიმერ ხოხობაია*

# განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1 შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურს სხვადასხვა სახის ზეთების შესყიდვაზე.

1.1 მისაწოდებელი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

**მათ შორის:**

**1.1.1 ინდუსტრიული ზეთი И-20 - 4000კგ;**
**1.1.2. ტრანსფორმატორის ზეთი ТКП - 6500კგ;**
**1.1.3. დიზელის ძრავის ზეთი M-14 - 20000კგ;**
**1.1.4. დიზელის ძრავის ზეთი M-16 - 30000კგ;**
**1.1.5. დიზელის ძრავის ზეთი კლასი API CC : CD სიბლანტე SAE 10W30 - 3000კგ;**
**1.1.6. დიზელის ძრავის ზეთი კლასი API CC : CD სიბლანტე SAE 15W40 - 5000კგ;**
**1.1.7. ბენზინის ძრავის ზეთი კლასი API SG : SQ სიბლანტე SAE 15W40 - 1000კგ;**
**1.1.8. ჰიდრავლიკური ზეთი კლასიფიკაცია ISO 68 - 2400კგ;**
**1.1.9. ჰიდრავლიკური ზეთი კლასიფიკაცია ISO 32 - 500კგ;**
**1.1.10. ჰიდრავლიკური ზეთი კლასიფიკაცია ISO 46 - 6000კგ;**
**1.1.11. ჰიდრავლიკური ზეთი კლასიფიკაცია ISO 22 - 200კგ;**
**1.1.12. ჰიდრავლიკური ზეთი კლასიფიკაცია ISO 78 - 300კგ;**
**1.1.13. ჰიპოიდური ზეთი კლასი GL-4; GL-5 სიბლანტე SAE 85W140 - 200კგ;**
**1.1.14. დიზელის ძრავის ზეთი კლასი API CD : CE სიბლანტე SAE 15W40 - 12000კგ;**

**1.1.5-დან 1.1.14-ის პოზიციებზე ჩამოთვლილი სახეობებიდან განიხილება შემდეგი მწარმოებლების პროდუქცია:**

**- "Mobil;**
**- "Shell";**
**- "BP";**
**- "Shevron";**
**- "Castrol";**
**- "Essco".**

1.2 საქონლის მოწოდების სავალდებულო ვადა: ეტაპობრივად 2005 წლის 01 ივნისიდან 2006 წლის 01 ივნისამდე.

2. მოსაწოდებელი საქონლის სავალდებულო ადგილი - საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები: (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, ნავსადგურის კანცელარია, 2005 წლის 17 მაისის 17[00] საათამდე.

**4) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;**
**4.1 იურდიული პირებისათვის;**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა

გ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია.

ბ. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

გ ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

4.3 **იურდიული და ფიზიკური პირებისათვის**

ა. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლი თან დაურთეთ), რეგისტრაციის ადგილი, რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი.

ბ. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან - გააჩნია თუ არა კონკურსში მონაწილეს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი. (დაურთეთ დამადასტურებელი დოკუმენტები)

გ. ზეთის მოსაწოდებელად გამოყენებული საშუალებები და მოწოდების პირობები (შეუძლია თუ არა მომწოდებელს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში ზეთის მოწოდება)

დ. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის, შესაბამისობის და წარმოშობის სერთიფიკატი, აგრეთვე შესაბამისი ლიცენზია.

5. კონკურსში მონაწილე უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, ყველა ცნობა ჩამოთვლილი მე-4 პუნქტში უნდა წარმოადგინონ თავისი ქვეყნის შესაბამისი უწყებებიდან;

6. იურდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. საკონკურსო დოკუმენტაციის პაკეტის მიღება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის საკონკურსო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეუძლიათ 2005 წლის 19 მაისის 1000 საათიდან 2005 წლის 23 მაისის 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე. შესყიდვების განყოფილება საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

7.1 საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ ენაზე (ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა" - მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი).

7.2 საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა: **2005 წლის 25 მაისის 1700 საათი**, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს კანცელარია ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52.

**8.** კონკურსში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

9. კონკურსში გამოიყენება საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია - საკონკურსო წინადადების მთლიანი ღირებულების არანაკლებ 3%-ის ოდენობით.

10. საკონკურსო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადას.

11. კონკურსში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

11.1 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ბოლომდე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მანანა დანელია და ლალი კეშელავა შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს შესყიდვების განყოფილება, საკონტაქტო ტელ: 8 (293) 7-01-48;

**შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს**
**საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე**
**ვლადიმერ ხოხობაია**

# მთავრობა ინფორმაციას "ასაიდუმლოებს"

*ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროებისთვის "გასაიდუმლოებული" დოკუმენტების გამოცემის უფლების მინიჭება მთავრობის გუშინდელი სხდომის მთავარი განსახილველი საკითხი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში ატეხილმა აჟიოტაჟმაც მთავრობის წევრებიც აალელვა. ცხადია, აღნიშნული თემა განსაკუთრებით საინტერესოა მედიისთვის, რომელსაც ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ინფორმაციის მოპოვება, რეალურად, ისედაც გაურთულდა. ამიტომ, მთავრობის სხდომიდან გამოსულ ფინანსთა მინისტრს ამ საკითხის განმარტება საგანგებოდ მოუხდა.*

თამარ ხორბალაძე

როგორც ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი აცხადებს, აღნიშნული წესის შემოღება ზოგიერთი დოკუმენტის არასაჯარო შინაარსმა განაპირობა. მისივე თქმით, გრიფით "საიდუმლო", დოკუმენტების გაცემა მიღებულია წამყვან ევროპულ ქვეყნებში და ამაში სიახლე არაფერია.

**"ჩვენ ვგრძნობთ გარკვეულ შეფერხებას ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას, რასაც ყველა დოკუმენტის საჯაროობა იწვევს. ამიტომაც ვცდილობთ, ეს შეფერხებები სამართლებრივი გზით გადავწყვიტოთ. ეს სამართლებრივი გზა კი ამ კანონის მიღებაა. მაგალითად, გასაწევი ხარჯების რაოდენობა ყოველთვის ვერ იქნება საჯარო. ნებისმიერი ქვეყნის ბიუჯეტის მიღების დროს არსებობს საიდუმლო მუხლები, რაც ჩვენთან არ არსებობს,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

## 5 მილიონი - სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისთვის

თავად მთავრობის სხდომის მთავარი განსახილველი საკითხი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია გახლდათ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სტიქიით დაზარალებული რეგიონების ხელმძღვანელებს ორი თვის ვადა მისცა, მათ რაიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ კონკრეტული ინფორმაციების წარმოსადგენად.

როგორც პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მთავრობა, პირველ რიგში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას აღადგენს და დაზარალებულ მოსახლეობას სახლებს შეუძენს.

ფინანსთა მინისტრის, ვალერი ჩეჩელაშვილის განცხადებით კი, უახლოეს მომავალში მთავრობა პარლამენტს ბიუჯეტში ცვლილებებს წარუდგენს, რომელიც ბიუჯეტიდან დამატებით 20 მილიონი ლარის გამოყოფას ითვალისწინებს. აქედან, ჩეჩელაშვილის თქმით, 15 მილიონი ლარი ხიდების აღდგენას და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას მოხმარდება, ხოლო 5 მილიონი ლარით დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციები გაიცემა.

**"ეს არის საკმარისი თანხა იმისათვის, რომ დაზარალებულებს პირველადი დახმარება აღმოვუჩინოთ და ცხოვრებისთვის ნორმალური პირობები შევუქმნათ,"** - განაცხადა ვალერი ჩეჩელაშვილმა მთავრობის სხდომაზე.

## ახალი კანონი - მაღალმთიანი რეგიონებისთვის

საქართველოს მთავრობა "მაღალმთიანი რეგიონების შესახებ" კანონპროექტის შემუშავებას იწყებს. მთავრობის 4 მაისის სხდომაზე საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონპროქტის მოსამზადებლად სამთავრობო კომისიის შექმნა გადაწყდა.

**"მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონი" 1999 წელს იქნა მიღებული, მასში გათვალისწინებული იყო მაღალმთიანი რეგიონის მცხოვრებთათვის გარკვეული შეღავათები. დროთა განმავლობაში პარლამენტს შეჰქონდა შესწორებები, რის შედეგადაც მთელი საქართველო მაღალმთიან რეგიონად გამოცხადდა. ყოველივე ამ გარემოებების გამო კანონი, პრაქტიკულად, არ მოქმედებდა,"** - განაცხადა საქართველოს მთავრობის რეგიონული პოლიტიკის კრიზისების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ჯამბულ ბაკურაძემ სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

ახლად შექმნილი კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, თავდაპირველად განსაზღვრავს, საქართველოს რომელი რეგიონი უნდა ჩაითვალოს მაღალმთიანად.

კომისიის წევრები არიან სხვადასხვა სამინისტროების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის წევრები. კომისია მუშაობას მომავალი კვირიდან შეუდგება.

# ამერიკული დახმარება სტიქიით დაზარალებულთათვის

ქუთაისში სტიქიური უბედურებისგან დაზარალებულმა ასობით ოჯახმა მიიღო დახმარება, რომელიც გაწეული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს უცხოეთის სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების ოფისისა და CHF International-ის მიერ. 2005 წლის 30 აპრილს, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, რიჩარდ მაილსმა გააცილა პირველი სატვირთო მანქანები დასავლეთ საქართველოსკენ, რომლებიც დატვირთული იყო $50,000 ღირებულების ჰუმანიტარული ტვირთით. სახელმწიფო დაწესებულებებსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ახლო თანამშრომლობის საფუძველზე, CHF International-მა გაანაწილა ჰუმანიტარული დახმარება ათასობით დაზარალებულ პიროვნებაზე და ოჯახებზე. ზემოთ ხსენებული ჰუმანიტარული დახმარების განაწილება სტიქიისგან დაზარალებულ ზონებში ამჟამადაც გრძელდება.

ლენტეხის რაიონი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაზარალებულ რაიონს. მდინარე ცხენისწყალის კალაპოტიდან გადმოსვლამ გამოიწვია რაიონული ცენტრის იზოლლირება და ასობით ადამინი უსახლკაროდ დარჩა. მხოლოდ რაიონულ ცენტრში იყო 44 დანგრეული და 46 დაზიანებული სახლი. 90 ოჯახზე მეტი ევაკუირებულია და ამჟამად მეგობრებთან და ნათესავებთან ცხოვრობს. CHF International-მა, როგორ პირველმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელმაც რეაგირება მოახდინა ლენტეხში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებაზე, დახმარება გაუწია დაზარალებულ ოჯახებს. სააღდგომო დილას ჰუმანიტარული დახმარებით, საკვებითა და სხვა ნივთებით დატვირთულმა მანქანებმა მიაღწია ლენტეხის ცენტრს, რათა დახმარებოდა 100 ოჯახზე მეტს. დახმარების განაწილება დაიწყო მუნიციპალური ცენტრიდან და ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდა როგორც საკვები, ასევე ჰიგიენური მოხმარების საგნები და თეთრეული.

სააღდგომო კვირას, USAID/ CHF -მა დახმარება გაუწია ხუთ თემს რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთის რეგიონში. დახმარების განაწილება გრძელდება.

**დოდო გარდაფხაძეს** სახლი მთლიანად იქნა დატბორილი. მან და მისმა ოჯახმა თავი შეფარა ავტომანქანა "ლადა"-ს, რომელიც მოგვიანებით ჩაიფლო გაუვალ გზებზე და შემდგომ წყლის ნაკადმა წაიყოლია. დოდომ დახმარება მიიღო CHF / USAID -სგან სააღდგომო კვირას და პერსონალური მადლობა გადაუხადა CHF -ის თანამშრომლებს, როგორც პირველებს, რომლებიც მას დაეხმარნენ საკვებით, თეთრეულითა და სხვა აუცილებელი ნივთებით.



**მარინა ჭანტურია** ლენტეხის მცხოვრებია, რომელმაც დაკარგა საცხოვრებელი და მთელი ავლადიდება. მარინა დგას თავისი სახლისა და იმ ადგილის წინ, სადაც ერთ დროს იდგა მეზობელ სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდი. საქართველოს პრეზიდენტმა მოინახულა მარინა აღდგომის წინა დღეს ლენტეხში. CHF / USAID- მა მას გადასცა პირველადი მოხმარების საგნები, რომლებიც დაეხმარება მას მიყენებული ზარალის შემსუბუქებაში.



ფრენკ სინატრას ახალი ბიოგრაფია



B2

დაბრუნება



B4

"შანელი" გამოფენას აწყობს



B8

ნომრის სტუმარი

# გავხდებით თუ არა "ჩალით დახურულები"

მაია ქალაგანიძე

**- ადვოკატები სუფთა ხალხია თუ არა?**

- ეს პროფესია ძალიან მომწონს. მამა ბავშვობაში მეუბნებოდა, იურისტი გამოდი და ვერავინ დაგჩაგრავსო. არც მომსამართლეობა მინდოდა და არც პროკურორობა. ჩემთვის უფრო საინტერესო ადვოკატობა აღმოჩნდა. ამერიკელები ამბობენ you will never be rich, if warking for others (ვერასდროს გახდები მდიდარი, თუ სხვებზე მუშაობ).

**- FOX CHANNEL NEWS-ის აკრედიტაციაზე გითქვამთ უარი, რატომ?**

- უნდა მივსულიყავი რომელიმე მინისტრთან და დილიდან საღამომდე მისი ერთი დღე უნდა გადამეღო...

**- ამას "მაესტრო" ყოველ დღე აკეთებს...**

- მაშინ მინისტრებმა უარი მითხრეს. უფრო სკანდალური დავალებებიც მქონდა და უარი ვთქვი.

**- ეს იმიტომ, რომ არ ხართ ჟურნალისტი... ახლა რა საკითხებს აშუქებთ ზემოხსენებულ მედიებში?**

- ვაშუქებ უშიშროებისა და თავდაცვის რეგიონულ საკითხებს. ოქრუაშვილი ცემს თუ არა ჯარისკაცებს, ამას არ ვეხები.

**- ხუთი წელია, თქვენი ფირმა არსებობს. თქვენი ამერიკელი პარტნიორები საქართველოში კარგად მუშაობენ?**

- ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში უცხოელები დიდი სიფრთხილით უყურებენ საქართველოს, რადგან არაპროგნოზირებადი პროცესები მიმდინარეობს. მეწარმეობის განვითარებისთვის არასახარბიელო ფონია, სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებების დარღვევის გახმაურებული ქეისები გამოაქვეყნა. ქვეყნის შიგნით სიტუაცია დაძაბულია, ისე, როგორც რუსეთში 1928 წლის განკულაკების დროს იყო. უცხოელთა აზრით, საქართველოში ძალიან მაღალი რისკია, რადგან პოსტრევოლუციური პერიოდია.

**- ბუში მაინცადამაინც ასეთ ქვეყანაში რაღატომ ჩამოდის?**

- ბუშის ჩამოსვლის ერთ-ერთი ოფიციალური მიზეზი, რა თქმა უნდა, საქართველოს მხარდაჭერაა. ჩემი აზრით, ეს შეიძლება, ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოლიტიკას უკავშირდებოდეს. ამერიკას შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს საქართველო, როგორც პლაცდარმი ირანთან მოსალოდნელ ომში. გარდა ამისა, რუსეთის საზღვართან ასეთი პოლიტიკური მოკავშირის ყოლა ამერიკის ინტერესებში შედის.

**- თქვენი აზრით, როგორ უნდა დარჩეს საქართველო ღირსეულ პარტნიორად და არც საკუთარი ნაციონალური ინტერესები შელახოს?**

- დღევანდელი საერთაშორისო რეალობა არჩევანის საშუალებას არ იძლევა. დღეს ნეიტრალურად ყოფნა რუსეთის მორჩილებას ნიშნავს. ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერი, მაგრამ არ უნდა გადავიქცეთ პლაცდარმად. შესაძლებელია, ბუშის ჩამოსვლა უფრო სამხედრო ხასიათისა იყოს. მას ამერიკელი ინვესტორები არ მოყვებიან და დელეგაციაში არც ბილ გეიტსია, არც უორენ ბაფეტი და არც ერთი ადამიანი 400 მილიარდიანი ქონების პატრონთა სიიდან. ანუ, მეწარმეობის განვითარების ასპექტები ბუშის ვიზიტში არ არის, ეს უფრო პოლიტიკური ხასიათისაა.

**- ამერიკელი ადვოკატებისთვის როგორი სამუშაო ადგილია საქართველო?**

- კარგად მუშაობენ, მაგრამ თუ არ ვცდები, სამი წლის წინ საქართველოში მიიღეს კანონი ადვოკატების შესახებ, რის მიხედვითაც, 2006 წლის 1 ივნისიდან საქართველოში ვერც ერთი უცხოელი ადვოკატი ველარ იმუშავებს, რაც ნიშნავს, რომ ნელნელა ჩალით ვიხურებით. მალე სანატრელი გვექნება ის დრო, როდესაც 2004 წელს საქართველოს ექსპრეზიდენტის სიძემ დახმარებისთვის უცხოელ ადვოკატებს მიმართა.

**- ქართველ ადვოკატებს უცხოელი კოლეგების უფლებების დაცვა არ უცდიათ?**

- მათ ალბათ კონკურენცია არ სურთ. თითზე ჩამოსათვლელია ისეთი ქართველი ადვოკატი, რომელსაც უცხოელებთან მუშაობის გამოცდილება აქვს. ასეთი სულ სამი-ოთხი ფირმა ვიცი. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. მით უფრო მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნები ამის საშუალებას გვაძლევენ. მე, როგორც ქართველ ადვოკატს, შემიძლია ჩავიდე ამერიკის ფლორიდის შტატში და ადვოკატად ვიმუშაო. და საერთოდ, არიან ამერიკელ იურისტთა ასოციაციის წევრი ქართველი იურისტებიც, მათ შორის, იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ეკა გურეშიძეც არის. რა გამოდის?! საქართველოს ადვოკატებს ამერიკაში მუშაობა შეუძლიათ და ამერიკელებს აქ მუშაობა - არა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 2006 წლის 1 ივნისიდან, მას შემდეგ, რაც მათ უფლებამოსილებას არ ვცნობთ, ჩვენი უფლებამოსილებაც შეწყდება ამერიკაში.

ადვოკატებს რომ თავი დავანებოთ, იზღუდება საქართველოს მოქალაქის კონსტიტუციური უფლება, აიყვანოს უცხოელი ადვოკატი. ეს საგანგაშოა, რატომ უნდა შეეზღუდოს ადამიანს არჩევანის უფლება?

**- დიდი ხანია საუბარია ქართული კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაციაზე. თქვენ ამ კანონებს პრაქტიკაში ეხებით, რა შეგიძლიათ თქვათ ამ პროცესზე?**

- ჰარმონიზაციიის პროცესი, ზოგადად, 1997 წლიდან დაიწყო. ერთი მხრივ, ეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ხელშეკრულებებია და მეორე მხრივ - ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ევროკავშირის განხრა, ძირითადად, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობას მოიცავს და მასზე ერთ დროს მეც ვმუშაობდი.

ჩემი აზრით, ჩვენთვის უფრო მიშვნელოვანი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციაა, რომელიც 2000 წელს დასრულდა. ამ მხრივ, ჩვენს კანონმდებლობაში რევოლუციური ძვრები მოხდა, მაგრამ როგორც ამერიკელები ამბობენ, "საქართველო გამდიდრდა კანონებით და გაღატაკდა მათი შესრულების მხრივ". მაგალითისთვის ყბადაღებულ თემას მოგიყვანთ - ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ეგიდით, მივიღეთ კანონი საქართველოში იმპორტირებული საქონლის სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ. ეს კონკრეტულად ნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს აქვს უფლება, მოითხოვოს გაყალბებული სასაქონლო ნიშნით შემოსული საქონლის განადგურება, დაყადაღება და სხვა. ამის გარეშე საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში არ იღებდნენ. ეს კანონი პრაქტიკულად არ მუშაობს და ამ კანონის გამოყენების არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რადგან ვერავინ აფიქსირებს ამ კონტრაფაქციულ საქონელს. კანონი კი გვაქვს, მაგრამ გაყალბებული საქონელი საბაჟოზე ისე შემოდის და გადის, ვერავინ იგებს.

იმის მიუხედავად, რომ არსებობს სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში, დღემდე უშედეგოდ მიმდინარეობს საბაჟო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. იქ, სადაც ეს პროცესი წმინდა ეკონომიკურ ინტერესებს ეჯახება, კანონის მუშაობა ჩერდება. იმპორტიორები იმდენად შეშფოთებულები არიან, რომ შექმნეს სპეციალური საზგადოება - სასაქონლო ნიშნის მფლობელთა ასოციაცია, რომლის თავმჯდომარეც საქართველოში დანიის კონსულია.

საქმე ის არის, რომ უნდა დადგინდეს შემოსული უცხოური საქონლის ღირებულება, რათა საბაჟო გადასახადით დაიბეგროს. ადრე ასეთი პრაქტიკა იყო - იმპორტიორი წერდა თანხას და იქიდან ბეგარასაც იხდიდა. როგორც იქნა, 1998 წელს მიიღეს იმპორტირებული საქონლის საბაჟო ღირებულების განსაზღვრის ჰარმონიზებული წესები, მაგრამ ჩვენი მთავრობა დღემდე არ ასრულებს ვალდებულებას. ეს წესები არსებობს, უბრალოდ, ქართულად უნდა გადმოეთარგმნათ და პარლამენტს უნდა მიეღო. საბაჟო დეპარტამენტმა თავისი ბრძანებით ნაწილობრივ დაამტკიცა, მაგრამ პარლამენტს ეს არ მიუღია.

**- შედის თუ არა ჰარმონიზაციის პროცესში კერძო არბიტრაჟის გახმაურებული საქმე?**

- არა. არბიტრაჟი მეწარმეობის დაცვის ერთ-ერთი ინსტრუმენტია და არც ევროკავშირთან არის კავშირში და არც ევროსაბჭოსთან. ქვეყანაში არსებობს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები. ამ უკანასკნელის რეალიზაციის ერთ-ერთი გამოხატულება სამეწარმეო საქმიანობაა. შემიძლია სახლი ვიყიდო და გავყიდო და სხვა... თუ ვინმესთან დავა მაქვს, ეს უნდა გადაწყვიტოს კომპეტენტურმა ორგანიზაციამ. ბალახვანზე ამას კანონიერი ქურდები აკეთებდნენ, სახელმწიფოში კი ეს სასამართლო ხელისუფლებამ უნდა გადაწყვიტოს. ცივილიზებულ სამყაროში არსებობს ინსტიტუტი, სახელად არბიტრაჟი - დავების განხილვის ალტერნატივა, რომლის გატანასაც თავის დროზე ლობისტობა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა გაუწია. ეს ოცნების ასრულება იყო. მახსოვს, სტუდენტებთან ლექციაზე მივედი და ვახარე - მიიღეს კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ, გვეშველა-მეთქი. ეს იყო ერთ-ერთ პირველი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე ახალგამოსულმა სააკაშვილმა გაიტანა. ეს კი იყო დიდი მიღწევა, მაგრამ საკმაოდ უსუსური და უუფლებო კანონი გამოვიდა. ისეთი, არწივი რომ გააკეთო და ფრთები არ ჰქონდეს.

**- რითია სუსტი?**

- დამოკრატიის კლასიკურ ქვეყნებში არბიტრაჟის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ჩვენთან კი, 1997 წლის 17 აპრილიდან რაიონულ სასამართლოს უფლება აქვს, სამ შემთხვევაში გააუქმოს არბიტრაჟის გადაწყვეტილება. აგრეთვე სახელმწიფომ დაიტოვა ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიც აღსრულების შეჩერებაა. ასეთი სუსტი კანონის ფონზე, როდესაც სახელმწიფო სურვილის შემთხვევაში შეაჩერებს მის გადაწყვეტილებას, საგადასახადო კოდექსში შეიტანეს სპეციალური თავი - "საგადასახადო დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ", სადაც მხარეების უფლებები კიდევ უფრო შეიზღუდა... საგადასახადო საკითხების არბიტრაჟში გადატანა ხანგრძლივი მოქმედებისთვის არ იყო გამიზნული; ჩემი აზრით, ეს უფრო ექსპერიმენტული მუხლია, რომლის მიხედვითაც საგადასახადო დავა აუცილებლად იურიდიულმა პირმა უნდა განიხილოს, მაშინ, როდესაც კერძო არბიტრაჟის შესახებ ადრინდელი კანონით, დავა კერძო პირმაც შეიძლება განიხილოს; საგადასახადო კოდექსის მუხლით, დავებში საქართველოს კანონმდებლობა უნდა იყოს გამოყენებული და მორიგებით დასრულება არ შეიძლება. რაც ყველაზე საინტერესოა ამ თავში, საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურება წაგებულ მხარეს ეკისრება. კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონით კი, ბაჟს სარჩელის შემტანი თავიდანვე იხდის.

საგადასახადო კანონის ზემოთ ნახსენები მუხლით, არბიტრაჟი დილემის წინაშე დადგა - არბიტრაჟმა "პოსლეზე" უნდა განიხილოს საქმე. კანონმდებელი პირადაპირ გეუბნება, თუ წამაგებინებ, არაფერსაც არ გადაგიხდიო... ვინ ამოიღებს თანხას ბიუჯეტიდან მაშინ, როდესაც გენერალურ პროკურატურაში იბარებენ კრედიტორებს და აწერინებენ, რომ უარს ამბობენ ვალზე, რომელიც სახელმწიფოს მათ მიმართ აქვს?!

**- თუ არბიტრაჟის უფლებები ისედაც შეზღუდულია, იქნებ გადახედოს სახელმწიფომ ამ საკითხს და დემოკრატიული გადაწყვეტილება მიიღოს?**

- როდესაც სახელმწიფოს აქვს რეალური ბერკეტები, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები არარაობად აქციოს, გააუქმოს და საერთო სასამართლოების სისტემაში გადაიტანოს, ჩემი აზრით, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას მიაჩნია, რომ მისი ინტერესები შეიბღალება. მომავალში უცხოელ ადვოკატებს არ ექნებათ აქ საქმის განხილვის უფლება. მეორე მხრივ კი, არბიტრაჟის გადაწყვეტილებები არაპროგნოზირებადი ხდება. ალბათ, ამით აიხსნება მთავრობის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო სასამართლოს შეჩერების შესახებ.

მაგრამ... არის ასეთი საინტერესო კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ". რომელიც საინტერესოა იმ უფლებებით, რასაც სახელმწიფო ორგანოსთან დავაში ანიჭებს უცხოელებს. ამის პრივილეგირებული უფლება აქვს - უცხოეთის სახელმწიფო მოქალაქეს, მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც საქართველოში არ ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ და იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს ფარგლებს გარეთ. თუ ესენი ინვესტორები არიან, დავა უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის საქართველოს სასამართლოში, ან საინვესტივიო დავების საერთაშორისო ცენტრში გადაწყდება. ანუ - არბიტრაჟში მიმართვის უფლება ამ კანონით არსებობს და ამის შესახებ მთავრობამ არაფერი იცის. თუ საგადასახადოს ზემოხსენებულ მუხლს გააუქმებენ, შეიცვლება ის, რომ არბიტრაჟისთვის მიმართვის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს და აქ რეგისტრირებულ საწარმოებს არ ექნებათ.

**- სადამდე მიდის ეს კაზუისტიკა?**

- საქართველოს მთავრობამ, მგონი, არც იცის, რა საკანონმდებლო სივრცეში მოქმედებს და ჰგონია, რომ ამ საგადასახადო კოდექსით რაღაცა განსაკუთრებული შეიქმნა. ყველაფერი ერთ რამეზეა დამოკიდებული - თუ ჩვენ ვაპირებთ არაკონსტიტუციური, არადემოკრატიული, "დერჟიმორდული" პოლიტიკით წასვლას, რომ მეწარმეები დავჩაგროთ, გავყვლიფოთ, დავიჭიროთ და მომავალ 10 წელს ამის ხარჯზე ვიცხოვროთ; თუ უცხოელ ადვოკატებს არ მივცემთ აქ შემოსვლისა და მუშაობის საშუალებას, ასეთ შემთხვევაში, არავითარ კანონს არ აქვს აზრი. მაგრამ მაინც არ მგონია, ამას ვაპირებდეთ.

**- კერძო არბიტრაჟის შესახებ რომ დახვეწილი კანონი გვქონდეს, ეს იქნებოდა დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი ინსტიტუტი?**

- შეიძლება, არამოდურად გიპასუხოთ, მაგრამ საგადასახადო დავების არბიტრაჟში განხილვა ანარქიის ელემენტებს შეიცავს. თუ მთავრობა პრაქტიკოს, დამოუკიდებელ იურისტებს დაეკითხება, ისინი აუცილებლად ეტყვიან, რომ არბიტრაჟის შესახებ კანონით მხარეებისთვის მინიჭებული უფლებებიც სუსტია და არბიტრაჟის პოზიციებიც. არბიტრაჟის არსებობა იმდენად საჭიროა საქართველოსთვის, რომ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ - ამის გარეშე საქართველოში ერთი ცენტის ინვესტიცია არ შემოვა. ეს დაუწერელი კანონია, ჩვეულებაა, აღიარებული ნორმაა. უცხოელი ინვესტორი ამბობს, რომ ქართველებთან ურთიერთობა მექნება, მაგრამ შესაძლო დავა აუცილებლად ლონდონის, ან პარიზის, ან სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა განიხილოს და მისი გადაწყვეტილება საბოლოო უნდა იყოსო. ეს ჰაერივით საჭირო მინიმალური მოთხოვნაა. ასე რომ, არბიტრაჟის გაუქმების საკითხს ვერავინ დააყენებს. აქ ლაპარაკია საგადასახადო დავების არბიტრაჟში განხილვის შესახებ, რომელიც, ჩემი აზრით, გაუმართლებელი ექსპერიმენტია. თავის დროზე ეს ქართველი მეწარმეების გულის მოსაგებად ჩადებული ნორმაა, რომელსაც მთავრობა ახლა იღებს, რადგან ხედავს, რომ მეწარმეები ამას ჭკვიანურად იყენებენ. ეს ჩვენს საერთაშორისო იმიჯს არ შებღალავს. სამი თვის წინ სახელმწიფომ მეწარმეებს რაღაც უფლებები მიანიჭა და ახლა უკან წაიღო, ამის მიზეზი შესაძლებელია იყოს ფართომასშტაბიანი რეპრესიები, რომელიც ქართველი მეწარმეების წინააღმდეგ იგეგმება.

საგადასახადო დავების განხილვის წესი არანაირად არ ეხება უცხოურ ინვესტიციებს. აღნიშნული მუხლით, შეიძლება ისარგებლონ ქართველმა მეწარმეებმა და მე თუ მკითხავთ, ეს თავი მათი ლობირებით არის შექმნილი. უცხოელ მეწარმეებს ამ მუხლის არსებობა-არარსებობა არ ეხებათ. აჟიოტაჟი კი იმიტომ ატყდა, რომ ქართველი მეწარმეები გრძნობენ, რომ შავი დღეები ელით.

**- თქვენს პროფესიას დავუბრუნდეთ. საინტერესოა, ადვოკატების დაუწერელი სტრატეგია სასამართლოებზე...**

- ძირითადად, საუბარია იმაზე, რომ მოსამართლე შეაცდინონ. თუ მოსამართლე არაკომპეტენტურია, შეაცდენ, თუ ძლიერია - ვერა. სხვათა შორის, ყბადაღებულ საუბრებს იმის შესახებ, რომ სასამართლო კორუმპირებულია, ვერ დავეთანხმები. თუ საქმე კვალიფიციურად და პროფესიონალურად არის შედგენილი, სამართალს იპოვი.

**- მალე მოსამართლეების გათავისუფლება იგეგმება, როგორ უყურებთ ამ პროცესს?**

- ეს მოსამართლეები დაინიშნენ, დაახლოებით, 2000 წელს 10 წლის ვადით, ანუ მათ კიდევ 5 წელი აქვთ. ახლა ხელისუფლება ახორციელებს ზეწოლას, მოსამართლეებს სამსახურიდან ყრის, ახლები შემოჰყავთ და...

**- ნუ იტყვით, რომ 2000 წლიდან დღემდე მოსამართლეები ქრთამს არ იღებდნენ.**

- არა. მქონდა შემთხვევა, როდესაც 200 000 დოლარიან საქმეში მოსამართლემ 50 დოლარი ქრთამი მოითხოვა.

**- და ის დღესაც მსახურობს?**

- შარშან მუშაობდა, მაგრამ მგონი, ახლა პენსიაში გავიდა. მაგრამ, პირადად მე ახლანდელი სასამართლო სისტემით კმაყოფილი ვარ.

**- რატომ, ბევრი მოსამართლის შეცდომაში შეყვანას ახერხებთ?**

- არა. არიან მოსამართლეები - კილანავა, ჯალიაშვილი და სხვები, რომელთაც შეცდომაში ვერ შეიყვან. რაიონულ სასამართლოებში ადვილად ცდებიან. მაგრამ საერთო ჯამში, სასამართლოები კორუმპირებულები არ არიან.



*ზურაბ ვანიშვილი - იურისტი, იურიდიული ფირმა "ამერიკელი და ქართველი ადვოკატების" დამფუძნებელი და დირექტორი. 1994 წელს დაამთავრა თსუ საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი; იქვე კითხულობდა ლექციებს, მუშაობდა ამერიკულ ორგანიზაციებში და შემდეგ საკუთარი ფირმის დაარსება გადაწყვიტა, რადგან მისი პარტნიორი ამერიკელები ამბობდნენ, ვერასდროს გამდიდრდები, თუ სხვაზე მუშაობო. არის "ვაშინგტონ თაიმსის" და დუბაიში გამომავალი ჟურნალის "გაფ ნიუსის" კორესპონდენტი. FOX CHANNEL NEWS-ის აკრედიტაციაზე უარი თქვა. 1996 წელს თბილისში გამოსცემდა ინგლისურენოვან გაზეთ Time-ს; 2002 წელს იყო საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს თავჯდომარე და თბილისის საარბიტრაჟო პალატასთან და გორის საარბიტრაჟო სასამართლოსთან ერთად დააფუძნა "საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს ასოციაცია". დღეს მისი ფირმა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მუშაობს. ბატონი ზურაბი ისაუბრებს საკანონმდებლო პრობლემებზე, არბიტრაჟის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე და თქვენ წარმოიდგინეთ, იმასაც იტყვის, რომ სასამართლო სისტემა მოსწონს.*



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
ვოკალური მუსიკის საღამო
ნუკი ცარელაშვილი
ფასი: 2-დან 6 ლარამდე.
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ედუარდო დე ფილიპო
"აჩრდილები"
რეჟისორი: გიორგი შალუტაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

"დაიკიდე"
დას: 15:00; 17:30 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 13:00; 15:30; 20:00; 22:15 სთ.

"ტუსაღი"
დას: 22:00 სთ.

## გამოფენები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
"შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"
II სართული

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გია ჩხატარაშვილისა და პოლ კალჰუნის ფოტონამუშევრების გამოფენა

**თაგის არტი**
"ფიროსმანი თენგიზ მირზაშვილის თვალით"

**ჰობი**
სააღდგომო გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
გია ჯაფარიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა (ქანდაკება, ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
**აცხადებს კონკურსს**
**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ (მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი

პროექტი უნდა განხორციელდეს 2005 წლის დასრულებამდე.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge

# "ნაბიჯს არ გადავდგამთ, ვიდრე ზუსტად არ გვეცოდინება, რა უნდა გავაკეთოთ"

## ვარძია და მცხეთის ჯვარი "იკკრომის" საჭირო რჩევების მოლოდინშია

ვერა ნეფარიძე

*"ვიდრე სიტუაციაში სრულად არ გავერკვევით, კომენტარებისგან თავს შევიკავებთ", - გვითხრა "იუნესკოს" მთავარმა კონსულტანტმა ნიკოლას სტენლი-პრაისმა, რომელმაც "იკკრომის" ორ ექსპერტთან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მთავარ დამცველებთან ერთად გუშინ მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი მოინახულა. ჩვენი ძეგლების (ჯვარი, სვეტიცხოველი, ვარძია) მდგომარეობის შესასწავლად ექსპერტებს ხუთი დღე აქვთ. სწორედ ამის შემდეგ მიიღებენ ქართველი სპეციალისტები საჭირო რჩევებს, რასაც ძეგლებზე მეთოდური სამუშაოები უნდა მოჰყვეს.*

ეგრეთ წოდებულ კლდის ძეგლებზე ზრუნვას საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში (კონკრეტულად კი კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტში) ფაქიზად მოსავლელი პრობლემის სტატუსი მიეცა. სწორედ ამიტომ ეს ძეგლები ძირფესვიანი (რასაც მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი მეთოდურს უწოდებს) შესწავლისა და ეტაპობრივი დახმარების მოლოდინში არიან. შარშან, ნოემბერში, როდესაც გასამაგრებელი სამუშაოების შესამოწმებლად სამინისტროს დელეგაცია ვარძიაში ჩავიდა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ შემდეგი ნაბიჯი თეორიული სამუშაოების განხორციელება იქნებოდა. სწორედ ამის დასაწყისია გუშინწინ თბილისში კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაცია-კონსერვაციის საერთაშორისო ცენტრის "იუნესკოს" საკონსულტაციო ორგანოს - "იკკრომის" (ICCROM) დელეგაციის ვიზიტი. ექსპერტების დელეგაციას (ვალერია მაგარისა და სიმონ ვარაკის შემადგენლობით) "იკკრომის" დირექტორი ნიკოლას სტენლი-პრაისი ხელმძღვანელობს.



*დელეგაცია ჯვარზე*

სავალალო მდგომარეობამდე მისულ და დანგრევის პირას მყოფ უძრავ ძეგლს შორის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებათ ე.წ. კლდის ძეგლებს, რადგან მათზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს გარემო; თავად ქვა, რითაც ისინია ნაშენები, დროთა განმავლობაში (ბუნებრივი პირობების - წვიმის, ქარის გამო) იშლება; ამის გამო ასეთ ძეგლებს რეგულარულად სჭირდებათ გასამაგრებელი სამუშაოები, რისთვისაც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ვერავინ მოიცალა. შედეგად მივიღეთ განგაში, რომელსაც თავისი მნიშვნელობის გამო სამართლიანად იმსახურებენ მცხეთის ჯვარიცა და ვარძიაც, თუმცა, სავალალო მდგომარეობის გამო არ უნდა მოხდეს მათი ნაჩქარევი რესტავრაცია, რაც არანაკლებ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანს, ვიდრე მათი მოუვლელობაა. ამ ძეგლების პრობლემები ნაჩქარევად რომ ვერ გადაიჭრება, ამ დასკვნამდე უკვე მივიდნენ მცხეთის ჯვრის შემთხვევაში, რის გამოც ორი წლის წინათ სარესტავრაციო სამუშაოები შეჩერდა. "ჩვენ ნაბიჯს არ გადავდგამთ, ვიდრე ზუსტად არ გვეცოდინება, რა უნდა გავაკეთოთ", - თქვა გუშინ მცხეთის ჯვრის მორიგი დათვალიერებისას ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა, რომელიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად სამუშაოების გასაგრძელებლად აუცილებელ ზუსტ რჩევებს "იუნესკოს" ექსპერტებისგან ელოდება.

მრავალგზის დაზიანების მიუხედავად, კომპლექსი (მცირე ეკლესია, დიდი ტაძარი, გალავანი და სხვა ნაგებობანი) ჩვენამდე პირვანდელი სახით არის შემონახული. პირველი ეკლესია ქართლის პირველმა ერისმთავარმა გუარამმა ხის ჯვრის ჩრდილოეთით ააგო; ეკლესია ძლიერ დაზიანებულია: სახურავი და კამარა ჩანგრეულია, იატაკი - აყრილი. ჯვრის დიდი ტაძარი კი მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების დროინდელია (586-87-604 წლები). ცნობილია, რომ სწორედ ჯვრის დიდი ტაძრის არქიტექტურამ დაუდო სათავე ჯვრის ტიპის ტაძრების მშენებლობას საქართველოში. ჯვრის დიდი ტაძრის წარწერები ქართული ეპიგრაფიკის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ნიმუშია.

მცხეთის ჯვრის ძირითადი პრობლემა ძეგლის ექსტერიერია. შედარებით სტაბილურია ტაძრის შიდა მდგომარეობა. მას შემდეგ (მეოთხე საუკუნის 40-იანი წლები), რაც აქ ახლად მიღებული სარწმუნოების ნიშნად აღუმართავთ ხის დიდი ჯვარი, რომელსაც მთელი კავკასიის ქრისტიანები ეთაყვანებოდნენ, ძეგლის დღევანდელ მდგომარეობამდე მიყვანაში მრავალმა ფაქტორმა იმოქმედა: ეს იქნებოდა შემოსევები (განსაკუთრებით მეათე საუკუნეში მცხეთის ჯვარი საშინლად დარბიეს) თუ კლიმატური პირობები. თუმცა, სავარაუდოა, რომ ძეგლზე ზემოქმედების შესახებ სრული წარმოდგენა არ გვაქვს. მაგალითად, გუშინ "იუნესკოს" ექსპერტები გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ჯვრის დიდი ტაძრის ბარელიეფებს ცეცხლსასროლი იარაღის კვალი ეტყობა, რაც ვარაუდად შეიძლება დავტოვოთ. უცხოელი ექსპერტებისგან სასწავლია ამ ბარელიეფების შველის მეთოდებიც.

მცხეთის ჯვარზე სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია 1924-27, 1933-39, 1963-65 წლებში. თუმცა, საგულისხმოა, რომ ძეგლის საფუძვლიანი შესწავლა-რესტავრაცია აქამდე არ მომხდარა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი "იუნესკოს" ექსპერტთა სტუმრობა და თეორიული სამუშაოების გაგრძელება (შემოდგომაზე თბილისში დაგეგმილია კონფერენცია), რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს პრაქტიკული მუშაობა. გუშინ "იკკრომის" დელეგაცია ძეგლების (მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის) დათვალიერების შემდეგ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს გიორგი გაბაშვილს შეხვდნენ; ამ დღეებში სტუმრები გააგრძელებენ ქართველ სპეციალისტებთან კონსულტაციებს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების (მცხეთის ჯვრისა და ვარძიის) სადიაგნოსტიკო პროცედურების შესახებ; და, რაც მთავარია, დაგეგმავენ ამ ძეგლების სარეაბილიტაციო პროექტს. დღეს დელეგაცია თბილისიდან ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მოსანახულებლად გაემგზავრა.

# თამაში ბიბლიოთეკაში

## მცდელობა მკაცრი და ცივი შენობის გამოსაცოცხლებლად

ვერა ნეფარიძე

*"სამგანზომილებიანი წიგნის" ვერსია მოზრდილთათვის, კარტოგრაფია, პინგ-პონგი, გვირაბი, შავი დაფა, პერფორმანსი, აქცია, ვიდეო, ინსტალაცია და სხვა, - ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფმა ეს ყველაფერი დაახვედრა მათ, ვისაც არ დაეზარა და გუშინ უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბიბლიოთეკას მიაკითხა. დამთვალიერებლებს დასაზარებლად რამდენიმე ობიექტური არგუმენტი ჰქონდათ: პირველ რიგში, სპეციფიკური, არასაგამოფენო სივრცე და მისი გამომწვევი სიშორე ქალაქის ცენტრიდან; თუმცა, ეს ის დეტალებია, რაც გამოფენის ავტორებისთვის ერთდროულად წარუმატებლობის შიშისმომგვრელი და დამაინტრიგებელი აღმოჩნდა. შიშისა რა მოგახსენოთ და, ინტრიგამ კი ნამდვილად იმოქმედა დამთვალიერებელზე, რომლის რაოდენობამ (ერთ-ერთ ავტორს დავესესხები) "მკაცრი და ცივი შენობის გამოცოცხლება" მოახერხა. აქცია-გამოფენა "წინგი" ბიბლიოთეკების საერთაშორისო კვირეულს მიეძღვნა და კვირეულის პროგრამაშიც კონცეპტუალურად ჩაჯდა.*

გამოფენას ოცდაერთი ავტორი ჰყავს. მათ შორის არიან მხატვართა სხვადასხვა ჯგუფის (მაგალითად: "კრეატიული ფაბრიკისა" და TRAM-ის) წევრები; ასევე სამხატვრო აკადემიის სტუდენტები თუ კურსდამთავრებულები. რა აერთიანებთ ამ ადამიანებს? ამ შეკითხვაზე პასუხი შეგვიძლია მივიღოთ გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორისგან:



*გამოფენის ერთ-ერთი ნამუშევარი "დამაბი"*

"ზოგჯერ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ბადებს შეკითხვას: რატომაა ეს ხელოვნება? უფრო ხშირად - კატეგორიულ მტკიცებას, რომ ეს არაა ხელოვნება. ზოგჯერ კი - ექსცესებსაც". თუმცა, გუშინდელი გამოფენა-აქცია, წინამორბედისგან განსხვავებით (გაიხსენეთ ახლახან "ქარვასლას" შემთხვევა), საერთოდ არ იყო პროვოკაციული არც შინაარსით და არც ფორმებით. ფორმას რაც შეეხება: "ნამუშევართა შერჩევისას ვხელმძღვანელობდით კრიტერიუმით - მარტივი აზრი, გადმოცემის მარტივი ფორმა". შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეთა უმრავლესობამ ორგანიზატორების ეს "გაფრთხილება" გაითვალისწინა.

ცოტა რამ გამოფენის სახელწოდების შესახებ. "წინგი" - როგორც ორგანიზატორები ამბობენ, წიგნის გავრცელებული ბავშვური ვარიანტია (სიმართლე გითხრათ, ჩემი დაკვირვების შედეგად, უფრო სწორია "წინგნი", თუმცა, ახლა ეს არაა გადამწყვეტი). "ახალი ფუნქციის ძიებისას "სწორი", სტერეოტიპული აზროვნების საზღვრებს ვტოვებთ. თამაში საამისოდ საუკეთესო გზაა", - ამბობენ ისინი და აგრძელებენ თამაშს ბიბლიოთეკის სივრცეში.

რა ფუნქცია შეიძლება მიენიჭოს წიგნს ახალ, საინფორმაციო საზოგადოებაში? - ამ და წიგნთან დაკავშირებული სხვა საკითხებისადმი ყურადღების გამახვილების მიზანს ემსახურებოდა გამოფენაზე წარმოდგენილი ყოველი ექსპონატი, ინსტალაცია, ვიდეო თუ პერფორმანსი. წიგნის კითხვა, როგორც შემოქმედებითი აქტი; წიგნი, როგორც ინტიმური გამოცდილება; პერსონაჟები - მეგობრები, მასწავლებლები, მტრები; წიგნი, როგორც ობიექტი და პროდუქტი, - ამ თემების ირგვლივ ტრიალებს გამოფენის 21 ავტორის ნამუშევარი, რომელიც სრულად ითვისებს ბიბლიოთეკის საკმაოდ ტევად სივრცეს.

ნამუშევართაგან ზოგიერთი ინტერაქტიული ხასიათისაა. მაგალითად, ირაკლი სვანიძის "აბსურდვორდი" (როგორც ერუდიციის შეძენისა და გამოცდის სახალხო პრაქტიკაში დამკვიდრებული ხერხი); ამ ნამუშევრის მეშვეობით დამთვალიერებელს შესაძლებლობა ეძლევა დაივიწყოს ლოგიკა და აბსურვორდის შესავსებად გამოიყენოს ყველაფერი, რაც მოესურვება; უჩა ჯანელიძის პერფორმანსის "რომეო და..." იდეა გამოგონილ და რეალურ სამყაროთა შორის ზღვარზე თამაში იყო; ლუიზა ლაფერაძემ ნაჭრის "გვირაბი" გვაჩვენა და გვითხრა, რომ წაკითხვას მაშინ აქვს აზრი, როდესაც ეს პროცესი გვირაბში გავლას ჰგავს, რომლის შემდეგაც ახალ რეალობაში, ახალ არსებად იბადები. აი, ნინო სეხნიაშვილის დამოკიდებულება წიგნის კითხვისადმი (ნამუშევარი There is no Fetish - შენობის ეზოში გაშლილი კარავი) ოდნავ განსხვავებულია: "წიგნი მოგზაურობის ყველაზე იოლი საშუალებაა, რეალობისგან გამოთიშვის გზა; წიგნის კითხვა, როგორც თვითმიზანი, რომ იყო განათლებული XXX-ობაა; შეიძლება იკითხო, იკითხო და მაინც XXX-ზე იჯდე". საინტერესო წინადადება (ძნელია პინგ-პონგის მაგიდას მხოლოდ ნამუშევარი დაარქვა) შესთავაზა დამთვალიერებელს გიორგი კევლიშვილმა - მის ნამუშევარში წიგნი პინგ-პონგის ჩოგნების ფუნქციას ასრულებს; გასაკვირი არც ის იყო, რომ აზარტული დამთვალიერებლებიც ყველაზე მეტად ამ მაგიდას ეტანებოდნენ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნამუშევრები, რომელთაც ავტორების მიერ გაწეული ჯაფაც ეტყობოდათ: მაგალითად: "შპალერი" (მელანო სოხაძის), ან "მომავლის წიგნი" (მის შესაქმნელად რამდენიმე ავტორი გაერთიანდა). ერთი სიტყვით, სპონსორებისა ("თი-ბი-სი ბანკი") და გულშემატკივრების გულისხმიერებამ უკვალოდ არ ჩაიარა და ახალგაზრდა მხატვრებს მისცა საშუალება თავისუფლად გამოეხატათ სათქმელი, რომელიც დღეისთვის ჰქონდათ.

# რედაქტირებული "დონ კიხოტის" სამაისო ვიზიტი

## თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მორიგი პრემიერისთვის მზად არის

ია ვეკუა

პრეზიდენტისა და ერისთვის მიცემულ სიტყვას, მალე თბილისის საბალეტო დასს ევროპული დონის კოლექტივად ვაქცევთო, ოპერისა და ბალეტის ახალი ხელმძღვანელობა პირნათლად ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ქვეყანა ამერიკელების თავკაცის მოლოდინშია, ნინო ანანიაშვილი თავის აქაურ აღსაზრდელებს პრემიერისთვის ამზადებს.

6, 7 და 8 მაისს თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ბალეტ "დონ კიხოტის" ქართველი მაყურებლისთვის უცნობი ვერსიის პრემიერა შედგება. ცნობილი სპექტაკლის რედაქტირება ნინო ანანიაშვილსა და ალექსეი ფადეეჩევს ეკუთვნით. როგორც ამ უკანასკნელმა აღნიშნა, სრულიად შეცვლილია პროლოგი, რომელსაც ქორეოგრაფიის თვალსაზრისით ანალოგი არა აქვს. მეორე აქტში გაკეთებულია სიუჟეტური ხაზი და მაყურებელი მისთვის სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდება. სიახლეა მესამე აქტშიც - აქ გარკვეული ეპიზოდები ტრადიციული დადგმისგან განსხვავებულ ადგილებში ხდება. გარდა ამისა, სპექტაკლი გამდიდრებულია საბავშვო დასის ნომრებით.

ეს რაც შეეხება ცვლილებებს. მთლიანობაში კი დადგმა ლეგენდარული მარიუს პეტიპას, ალექსანდრ გორსკისა და ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიითაა აწყობილი. საფინალო სცენა მთლიანად ჭაბუკიანს ეკუთვნის. "დონ კიხოტი" მესამე სპექტაკლია, რომელსაც ანანიაშვილი ფადეეჩევთან და თბილისის საბალეტო დასთან ერთად დგამს. მანამდე ქართველმა მაყურებელმა იხილა მათი ორი ერთობლივი ნამუშევარი: "გედების ტბა" და "სიზმრები იაპონიაზე".

"დონ კიხოტის" რედაქტირებული ვარიანტის დეკორაციები და კოსტიუმები ვიაჩესლავ ოკუნოვს ეკუთვნის. როგორც რუსული პრესა იუწყება, ამ ნამუშევრით მან მიღებული ჩარჩოების გარღვევა და საკუთარი ინტერპრეტაციის დამკვიდრება შეძლო. ქორეოგრაფის ასისტენტები ტატიანა რასტარგუევა და იულიანა მალხასიანცი არიან. სწორედ ტატიანა რასტარგუევამ გვითხრა, რომ თბილისის საბალეტო დასი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს დასახული მიზნისკენ, რაშიც თავად დასის წევრები უწყობენ ხელს. "ჩვენ შევპირდით ქართველ მაყურებელს, რომ ყოველი სპექტაკლი წინაზე უკეთესი იქნებოდა. ამ დანაპირების ასრულება დიდად არის დამოკიდებული მოცეკვავეებზეც, რომლებითაც ძალიან კმაყოფილი ვართ. "დონ კიხოტი" არა მხოლოდ ცეკვის ხელოვნების, არამედ სამსახიობო ოსტატობის გამოვლენასაც მოითხოვს. მასში ყველა პერსონაჟის მოძრაობა და ჟესტი დახვეწილია. ეს კი მოცეკვავეებისგან განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს", - აღნიშნა ტატიანა რასტარგუევამ.

ეს ნიჭი ხუთ ქართველ მოცეკვავეს აღმოაჩნდა. 6 მაისს მთავარ პარტიებს ლალი კანდელაკი და დავით ხოზაშვილი შეასრულებენ, 7 მაისს მათ ცისია ჩოლოყაშვილი და ლაშა ხოზაშვილი შეცვლიან, ხოლო ბოლო სპექტაკლს ლალი კანდელაკი და ირაკლი ბახტაძე იცეკვებენ. არ შეიცვლება დირიჟორი, რომლის "როლსაც" ზაზა კალმახელიძე შეასრულებს. როგორც მან აღნიშნა, "დონ კიხოტი" მისთვის პირველი საბალეტო წარმოდგენაა და ამის გამო განსაკუთრებით ღელავს.

ლუდვიგ მინკუსის მუსიკაზე შექმნილი საბალეტო დადგმა "დონ კიხოტი" პირველად 1869 წელს მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე იცეკვეს. 1935 წლამდე სპექტაკლი 255-ჯერ წარმოადგინეს, ხოლო მომდევნო წლებში იგი რამდენჯერმე განახლდა. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე "დონ კიხოტი" პირველად ვახტანგ ჭაბუკიანმა დადგა. ბაზილის პარტიას თავად მაესტრო ასრულებდა. სპექტაკლს თბილისურ პრემიერაზე ენით აუწერელი წარმატება ხვდა წილად, ამიტომ თეატრის დირექცია იძულებული გახდა, სეზონის დახურვა გადაედო და 20 დღის განმავლობაში სცენა სწორედ დონ კიხოტისა და სხვა პერსონაჟებისთვის დაეთმო. იგივე სპექტაკლი ჭაბუკიანმა 1943 წელს განაახლა, რომელიც თბილისში თითქმის 20 წლის განმავლობაში სრული ანშლაგით იდგმებოდა.

**P.S.** 6-დან 8 მაისის ჩათვლით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასში ცხენი და ვირიც ჩაირიცხებიან. "როსინანტი" კინოსტუდიიდან ინათხოვრეს, ხოლო ვირი წარმოშობით სოფელ დიღმიდანაა. როგორც ალექსეი ფადეეჩევმა აღნიშნა, ორივე ცხოველს კუთვნილ ჰონორარს გადაუხდიან.

# რა არის აპოტემნოფილია?

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ-ში



იცით თუ არა თქვენ, რა არის აპოტემნოფილია (Apotemnophilia)? არ, თქვენ არ იცით. თქვენ გაგიმართლათ! ეს ტერმინი 1977 წელს გამოიგონა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ექიმმა, სექსოლოგიის ექსპერტმა, ჯონ მანიმ. თუ პირდაპირ ვთარგმნით, აპოტემნოფილია ნიშნავს სიყვარულს ამპუტაციის მიმართ! მანი თვლის, რომ ეს სექსუალური გადახრაა (paraphilia).

დღეს ამ პარაფილიას, თუ აპოტემნოფილიას კიდევ ერთი იარლიყი მიაკერეს - სხეულის მთლიანობის იდენტურობის მოშლილობა, ანუ შემოკლებით B.I.I.D. (Body Integrity Identity Disorder). ამერიკელი ფსიქიატრების და ფსიქოლოგების ჯგუფი ცდილობს B.I.I.D. შეიტანოს ფსიქიატრების ამერიკული ასოციაციის ბიბლიაში "დიაგნოსტიკური და სტატისტიკური ცნობარი", შემოკლებით D.S.M. (Diagnostic and Statistical Manual). ლობისტებს მეთაურობენ ექიმები მაიკლ ფირსტი და რობერტ სმიტი. მათი ამოცანა არც თუ ისე ადვილია. D.S.M.-ის გვერდებზე მოხვედრა არ არის ადვილი. ჩვენ მომატებული სტრესების ეპოქაში ვცხოვრობთ. ადამიანს ნერვები, როგორც სტრადივარიუსის ვიოლინოს, დაჭიმული აქვს. ნერვული დაავადებები და პათოლოგიები იზრდება, როგორც სოკოები. ამასთან ერთად D.S.M.-ის მოცულობა ყოველ ახალ გამოცემისას იზრდება. D.S.M. უკვე მონსტრი გახდა. მაგრამ, რაც უფრო სქელდება, მით უფრო მოუქნელი ხდება, - აღიარებს ექიმი სმიტი. მიუხედავად ამისა, მას და მის კოლეგებს მაინც უნდათ B.I.I.D. შეიყვანონ D.S.M.-ში (შეტანის პარამეტრებია: მოშლილობა მკვეთრად უნდა აღინიშნოს, როგორც პათოლოგია, რომელიც სადაზღვევო კომპანიებიდან მატერიალურად ანაზღაურებადი იქნება). დღესდღეობით აპოტემნოფილიას D.S.M.-ში მოხვედრის კარგი შანსი აქვს, რადგანაც ექიმი ფირსტი (კოლუმბიის უნივერსიტეტი) ცნობარის ახალი გამოცემის სარედაქციო კოლეგიაში არის. მას იმედი აქვს, რომ B.I.I.D.-ის ცნობარში შეტანა, ამ საშინელი ფსიქიური მოშლილობის შესწავლის და შესაძლოა, მკურნალობის გენერატორი გახდება.

რომ დავამთავროთ პრობლემის ე.წ. ტერმინოლოგიური მხარე, მოვიხსენიებ ნიუ ჯერსის ენგლვუდის ჰოსპიტალის ექიმ რიჩარდ ბრუნოს, ამ დაავადების კიდევ ერთ "ნათლიმამას". 1977 წელს მან "ამპუტციისადმი სიყვარულის" სამი სახესხვაობა შემოიღო. პირველი - ეს ხალხია, რომელთაც ამპუტაცია სექსუალურად აღაგზნებს და მათ "ერთგულები" დაარქვა (აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ მაიაკოვსკის ცნობილი ლექსი პარიზული ციკლიდან ცალფეხა მეძავზე, რომელიც აღაგზნებდა "ზედმეტად დაკმაყოფილებულებს"). მეორე - ეს ჯანმრთელი ხალხია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხმარობენ ორთოპედიულ სავარძლებს და ყავარჯნებს. ესენი, ბრუნოს მიხედვით, "თვალთმაქცები" არიან (სხვათა შორის, იყვნენ პოეტები, რომლებიც ბაირონს რომ დამსგავსებოდნენ, კოჭლობდნენ). დაბოლოს, ისინი, რომლებსაც რეალურად უნდათ ამპუტაცია, ან უკვე ჩაიტარეს. ესენი "მსურველები" არიან.

2000 წელს ექიმმა ფირსტმა გამოაქვეყნა წიგნი "სიყვარული ამპუტაციისადმი". ეს არა მხოლოდ მეცნიერული, არამედ ავტობიოგრაფიული ნაშრომია. საქმე იმაშია, რომ ექიმ ფირსტს ბავშვობიდან უნდოდა, რომ მისი მარჯვენა ფეხი მუხლს ზემოთ ამპუტირებული ყოფილიყო. მთელი თავისი გონიერი ცხოვრების მანძილზე, ცვალებადი წარმატებით იგი ცდილობდა თავი დაეღწია ამ სენისგან. თავისი თანაავტორი - ექიმი სმიტი მან ქირურგის, რომელიც დათანხმდებოდა სრულიად ჯანმრთელი ადამიანისათვის ასეთი ოპერაცია გაეკეთებინა, ძიებისას იპოვა. ფირსტი სმიტს შოტლანდიაში გადაეყარა. იმ დროისთვის სმიტს ორი ასეთი ოპერაცია უკვე გაკეთებული ჰქონდა. იგი დათანხმდა ფირსტის ფეხის ამპუტაციას ფსიქიატრთა კონსილიუმთან კონსულტაციის შემდეგ. მაგრამ, ფირსტისთვის საბედნიეროდ, ფოლკირკის სამეფო ჰოსპიტალმა გლაზგოში, სადაც სმიტი მუშაობდა, იმ დროისთვის მიიღო მსგავსი ოპერაციების ჩატარების აკრძალვის გადაწყვეტილება.

ასე ერთი დაკარგული ფეხის მაგივრად, ოთხ ხელში დაწერილი წიგნი დაიბადა. 2004 წელს ჟურნალ "Psychological Medicine"-ში გამოქვეყნდა ფირსტის ნაშრომი, რომელიც ეფუძნებოდა "ამპუტაციისადმი სიყვარულის", ანუ B.I.I.D.-ის 52 შემთხვევის შესწავლას. 9 "ცდისპირმა" მიაღწია ამპუტაციას, დანარჩენებს - სურვილი ქონდათ. ფირსტის აზრით, B.I.I.D. არ შეიძლება პარაფილიად ჩაითვალოს, რადგანაც ავადმყოფებს, თვლიან რა თავიანთ კიდურებს არანორმალურად ან მახინჯად, მათი ამპუტაცია უნდათ,

"ამპუტაციისადმი სიყვარულის" ყველაზე უფრო ახლო მდგომ ანალოგად ფირსტი სქესობრივი იდენტურობის მოშლილობას, ანუ საკუთარი სქესის შეცვლის სურვილს თვლის. ფირსტი წერს: "როდესაც 50-ან წლებში სქესის შეცვლის პირველი ოპერაციების გაკეთება დაიწყეს, ამან ხალხი საშინლად გააღიზიანა, ისევე როგორც ეხლა ეშინიათ იმ ადამიანების, რომლებიც ნებაყოფლობით ამპუტაციას იტარებენ. ქირურგები თავიანთ თავს ეკითხებიან "როგორ უნდა დავამახინჯო სრულიად ნორმალური ადამიანი?" ახლა, როდესაც თხოვენ ჯანმრთელი კიდურების ამპუტაციას, ანალოგიურ შეკითხვას სვამენ". თუმც ფირსტი აღიარებს, რომ სქესის შეცვლის ოპერაციებთან ანალოგია, მთლად კორექტული არ არის. "სექსის შეცვლით, ნორმალურ ადამიანად რჩები, - ამბობს ფირსტი. - მაგრამ ოთხკიდურიანი მდგომარეობიდან ამპუტირებულში გადასვლა პრობლემატურია. ეს ხალხის გონებაში არ ჯდება" (B.I.I.D.-გან განსხვავებით პლასტიკური ოპერაციები, მაგალითად "ესთეტურობის თვალსაზრისით" ცხვირის ან მკერდის ფორმის შეცვლა, თუმცა ისინი თავისთავად სრულიად ნორმალური არის, არ ითვლება "ამპუტაციისადმი სიყვარულად").

სტენფორდის უნივერსიტეტის ექიმის, დევიდ სპიგელის აზრით "უფრო სწორი იქნებოდა, რომ "ამპუტაციისადმი სიყვარული" შეგვედარებინა დისმოგრაფიულ აშლილობასთან, ანუ ნევროზის ანორექსიასთან, როდესაც ადამიანებს, განსაკუთრებით ქალებს თავიანთი თავი სრულ გამოფიტვამდე მიყავთ. ორივე შემთხვევაში ადამიანები იბნევიან თავიანთი სხეულის მდგომარეობასთან დაკავშირებით, ამბობს ექიმი სპიგელი. ასე, ადამიანები ნევროზის ანორექსიით (anorexia nervosa) ფიქრობენ, რომ ისინი მსუქნები არიან, თუმც შეიძლება ეს ასეც არ იყოს (ანორექსიით იყო დაავადებული აწ გარდაცვლილი პრინცესა დაიანა. ეს დაავადება ჰოლივუდის ზოგიერთ კინოვარსკვლავსაც ჭირს).

მაგრამ დავუბრუნდეთ საშინელების "მოყვარულთ". ამ სენით შეპყრობილი ადამიანები, ქირურგების ძიებით იმედგაცრუებულები, თვითონ იშავებენ თავს - ისვრიან ფეხში ან ხელში, უშვერენ ხერხს და ა.შ., რათა, ასე ვთქვათ, კანონიერ საფუძველზე, მიაღწიონ ამპუტაციას. ზოგიერთები იმ ქვეყნებში მიემგზავრებიან, სადაც საექიმო ეთიკა ჰონორარის საფასურით განისაზღვრება, ფემიდა კი ბრმაა (ეხლახან ერთი "შეყვარებული" მექსიკის ქალაქ ტიხუანას ჰოსპიტალში ამპუტაციის შემდეგ განგრენით გარდაიცვალა).

ექსპერტებმაც კი არ იციან რა იწვევს "ამპუტაციისადმი სიყვარულს" და როგორ უნდა ებრძოლო მას (მართლაც და სიყვარული ბოროტია!). სიეტლის ვაშინგტონის სამედიცინო ცენტრის ექიმები მაიკ ბენსლერი და დუგლას პააუდი 2003 წელს ჟურნალ "Southern Medical Journal-ში" წერდნენ, რომ შესაძლებელია B.I.I.D. სექსუალური და ნერვული აშლილობის შედეგია, რომლის საფუძველი "ეროტიკული ფანტაზიები" და ასევე "მეს" მთლიანად გამომჟღავნების სურვილია - ჯერ ამპუტაცია გაიკეთონ და შემდეგ, ამის მიუხედავად, მიაღწიონ წარმატებას.

საკუთარი და საექიმო გამოცდილების შედეგად ექიმი ფირსტი ასკვნის, რომ B.I.I.D.-ით დაავადებულები "საკმაოდ სპეციფიკურები" არიან იმ საკითხში, თუ რომელი კიდურის ამპუტაცია სურთ და რა ადგილას. უფრო ხშირად ეს მარცხენა კიდურია და მუხლს ზემოთ. ნაკლებად გავრცელებულია ხელების და ფეხების თითების ამპუტაციის სურვილი. "ამ ადამიანებმა ზუსტად იციან, სად უნდა გაუკეთდეს ამპუტაცია. არა უბრალოდ მუხლს ზემოთ, არამედ, - ვთქვათ, 4 დუიმი მუხლს ზემოთ. სულ პატარა გადახრა ამ მოთხოვნიდან მათ არ აწყობთ და არ აკმაყოფილებთ", - ამბობს ექიმი ფირსტი. ფირსტის პაციენტებს შორის იყო ადამიანი ორივე ფეხზე ამპუტაციისათვის ფიქსირებული ადგილით. მას უბედურება შემთხვა. დაუდევრობით ხელში ისროლა და საჭირო გახდა ამპუტაცია. ამის მიუხედავად, მას კვლავ სურდა ორივე ფეხის ამპუტაცია! ფირსტის მიერ გამოკვლეულ ავადმყოფთა ნახევარზე მეტს, ჯერ კიდევ ბავშვობაში, ურთიერთობა ქონდათ უხელო ან უფეხოებთან და მას შემდეგ გაუჩნდათ სურვილი თვითონაც ამპუტირებული ყოფილიყვნენ (ადრეულ ბავშვობაში მეც განვიცადე მსგავსი რამ. ჩვენთან სახლში მამას ამხანაგი, ცნობილი სამხედრო მეთაური მოდიოდა ხოლმე. მას ერთი ხელი ამპუტირებული ჰქონდა და ფრენჩის ცარიელი სახელო ქამარში ჰქონდა ჩაჩრილი. მე ძალიან მინდოდა მას დავმსგავსებოდი. მაგრამ ეს უფრო ბავშვური რომანტიკა იყო ვიდრე "ამპუტაციისადმი სიყვარული).

"ნიუ იორკ ტაიმსის" კორესპონდენტმა, რობინ მორანც ჰენიგმა ბრუკლინის ერთ-ერთ რესტორანში, სადილზე ინტერვიუ აიღო ექიმი ფირსტისგან. ინტერვიუს დროს რესტორანში კაცი შემოვიდა, უფრო სწორად, ორთოპედიული სავარძლით შემოსრიალდა, მას ორივე ფეხი ამპუტირებული ჰქონდა. ხიბარმა ექიმს პაემანი დაუნიშნა, რომ ეჩვენებინა, როგორ აისრულა სურვილი - მას სრულიად ჯანმრთელი ფეხები მოჰკვეთეს! აი, რა თქვა ამ ხიბარმა: "მე იმდენად ამპუტაცია კი არ მინდოდა, რამდენადაც ვთვლიდი, რომ მე არ უნდა მქონოდა ფეხები. ბავშვობაში, როდესაც 3-4 წლის ვიყავი, მე ვთამაშობდი კროკეტის ბიტებით, რომლებსაც ყავარჯნებად ვიყენებდი. მიყვარდა, როდესაც წარმოვიდგენდი, რომ უფეხო ვარ. როდესაც კოვბოებს და ინდიელობანას ვთამაშობდით, მე ყოველთვის ვიგონებდი, რომ ფეხში დაჭრილი ვიყავი". ეს უფეხო ამტკიცებდა, რომ ამპუტაციამ ბოლო მოუღო მის ფსიქიკურ აშლილობას, განკურნა სულიერი ავადმყოფობისგან.

ფირსტის კოლეგა და თანაავტორი, ექიმი სპიგელი თვლის, რომ თვითონ ამპუტაცია სულიერი ავადმყოფობისგან არ კურნავს. მისი აზრით ამპუტაციის მერეც აუცილებელია აქტიური ფსიქოთერაპია, კერძოდ, როგორც ის ეძახის - "რეაქციის პრევენცია" და "ფიქრის შეჩერება". "მკურნალობა იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტი უნდა ავარჯიშო მანიის ბლოკირებაზე და მისი განხორციელების ქმედებების წინააღმდეგობის გაწევაზე". თუმცა ფირსტი აღიარებს, რომ მის მიერ გამოკვლეული არც ერთი პაციენტი ფსიქოთერაპიით, ან წამლებით არ განკურნებულა. ფირსტი თვლის, რომ ამის მიზეზი ექიმების მიერ დაავადების არსის არასაკმარისი ანალიზია, რაც სპეციფიკურ ფსიქოთერაპიას და წამლების სპეციფიკურ შერჩევას და დოზირებას გულისხმობს. ის მოუწოდებს ამ ფსიქიკური აშლილობის უფრო ღრმა შესწავლისკენ. "ამპუტაცია მხოლოდ უკიდურესი საშუალება უნდა იყოს",- ამბობს ის.

"ამპუტაციისადმი სიყვარული" ძალიან იშვიათი ფსიქიკური დაავადებაა. მსოფლიოში მხოლოდ რამოდენიმე ათასი შემთხვევაა დაფიქსირებული. "ისინი, - ამბობს ფირსტი - აბსოლუტურად ნორმალური ქცევის მიღმა არიან" (ალბათ, სწორედ ამიტომ მომრავლდა ფილმები, სპექტაკლები, სატელევიზიო შოუები, რომელთა სიუჟეტები დაფუძნებულია "ამპუტაციისადმი სიყვარულზე". ესეც თავისებური ფსიქოზია. სამწუხაროდ, მასიური). "მოხალისეებით" განსაკუთრებულად ღიზიანდებიან ის ადამიანები, რომლებმაც კიდურები უბედური შემთხვევის, ან ავადმყოფობის გამო დაკარგეს. ამპუტირებული ამერიკელების კოალიციის პრეზიდენტი (ასეთიც არსებობს), პედი როსბახი ამბობს: "ადამიანებს, რომლებმაც ცხოვრების ტრაგედია განიცადეს, არ შეუძლიათ გაიგონ, თუ რატომ სურს ზოგიერთს ნებაყოფლობით თავის დასახიჩრება". ქალბატონი როსბახი, რომელმაც ბავშვობაში დაკარგა ფეხი, ამატებს: "ჩვენი კოალიციის წევრები გაბრაზებულები არიან "ამპუტაციის მოყვარულებზე", რადგან ისინი აუფერულებენ იმ ტანჯვას, რაც ნამდვილად დაზარალებულებმა გადაიტანეს".

B.I.I.D. ავადმყოფები ზოგადად ნორმალური ადამიანები არიან, თვლის ექიმი ფირსტი. მათ ყავთ ოჯახები, ეუფლებიან სხვადასხვა პროფესიას, როგორიცაა იურისტის და ექიმის პროფესია. ისინი არ გამოიყურებიან, როგორც "შერეკილები". გარეგნულად მათ ვერ განასხვავებ სხვებისგან. მაგრამ ექიმი სპიგელი ამას არ ეთანხმება. ამ ადამიანების ნორმალურობა, მხოლოდ მოჩვენებითია, როგორც სხვა ფსიქიური ავადმყოფების შემთხვევაში, ამბობს იგი. მაგრამ ზედაპირული ნორმალურობა მხოლოდ მალავს შინაგან პრობლემებს. "ასეთ ადამიანებს აბსტრაქტული აზროვნება შეუძლიათ, ისინი არ არიან დეზორიენტირებულები, ისინი გარე სამყაროსთვის საკმაოდ კარგად გამოიყურებიან, მანამ, სანამ თქვენ არ დააბიჯებთ მათ ახირებას", - ამბობს სპიგელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მასკულტურამ "ამპუტაციისადმი სიყვარულს" უკვე თვალი დაადგა. 2003 წლის მაისში სანდანსის კინოფესტივალზე ნაჩვენებ ფილმში "მთლიანი" ("Whole") მოთხრობილია ადამიანზე ფლორიდიდან, რომელმაც განზრახ ისროლა ფეხში, რომ ამპუტაცია გაეკეთებინა. ფილმის მეორე პერსონაჟს ლივერპულიდან ფეხი ყინულში მანამდე უდევს, სანამ განგრენას არ განუვითარდება. მანაც გაიკეთა ამპუტაცია, რომელსაც "პლასტიკური ქირურგია" უწოდა. გასულ ზაფხულს ნიუ იორკის საერთაშორისო ფესტივალზე მთავარი პრემია სპექტაკლს "უხელოს" მიენიჭა. პიესის ავტორმა, კაილ ჯერომ განაცხადა, რომ მისი მიზანი იყო "გამოეკვლია ვიწრო საზღვარი დიდსა და მისტიფიცირებულს შორის, სასაცილოსა და მტკივნეულს შორის". კინოსერიალში "სი-ეს-აი: ნიუ იორკი" არის ეპიზოდი, როდესაც ადამიანი სისხლის დაკარგვით მას მერე კვდება, რაც იგი ჯანმრთელ ფეხს გადაიხერხავს. და ბოლოს, ა.წ. თებერვალში ნიუ იორკის ისთ-ვილიჯში ნაჩვენები იყო ტომ კიფის ფილმი, "თვალთმაქცის ცეკვა" ("Pretender's dance"), სადაც ახალგაზრდა ბალეტის მასწავლებელი და მისი ბოი-ფრენდი ამპუტაციაზე ოცნებობდნენ.

ექიმი სპიგელი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ფილმში "Whole", ეკრანიდან ამბობს: "ჰიპოკრატეს ფიცი აფრთხილებს: "არ ავნო!" მაგრამ, შესაძლებელია, რომ რეალური ზიანი სწორედ იმ პაციენტებისთვის უარის თქმაში მდგომარეობს, ვისაც კიდურების ამპუტაციის სურვილი აქვთ. ამით ისინი პერმანენტულად სულიერი ტანჯვის მდგომარეობაში იმყოფებიან. მათთვის ამპუტაცია დამაკმაყოფილებელი და ბედნიერი ცხოვრებაა".

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი "ბედნიერი ცხოვრებისგან!

# ფრენკ სინატრას ახალი ბიოგრაფია მის მაფიასთან კავშირს ადასტურებს

ნათია ლურსმანაშვილი



ფრენკ სინატრა მაფიის კურიერის მოვალეობას ასრულებდა. 3,5 მილიონი დოლარის დიპლომატით გადაზიდვისას დაპატიმრებას სასწაულით გადაურჩა. ასევე დასტურდება მისი კავშირები მაფიის სხვადასხვა ხელმძღვანელებთან. ამის შესახებ მომღერლის ახალ არაოფიციალურ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომელიც გაყიდვაში 2005 წლის 16 მაისს გამოვა და რომლის ნაწყვეტებიც ჟურნალ "Vanity Fair"-ში გამოქვეყნდა.

წიგნში "სინატრას ცხოვრება" ("Sinatra: The Life") ავტორები ენტონი სამერსი და რობინ სვონი მომღერლის ახლო მეობრის კომედიანტ ჯერი ლუისის სიტყვებს ციტირებენ. ლუისი მომღერალ დინ მარტინთან და სემი დევისომ უმცროსთან ერთად ე.წ. "ვირთხების ხორის" წევრები იყვნენ - სინატრას უახლოესი მეგობრების წრე.

ლუისის ინფორმაციით, სინატრა მაფიის კურიერის მოვალეობის შესრულებას ნებაყოფლობით დათანხმდა. "და მას კინაღამ ჩაავლეს - ნიუ იორკში", - ამბობს მსახიობი.

ლუისის თქმით, სინატრა საზღვარს შავი დიპლომატით კვეთდა, "რომელიც სამ ნახევარი მილიონი, 50-დოლარიანი კუპიურებით იყო სავე". მებაჟეებმა კეისი გახსნეს, მაგრამ მომღერლის გარშემო თაყვანისმცემლების ბრბო შეიკრიბა და მესაზღვრეები იძულებულნი გახდნენ სინატრა ფორმალობების გარეშე გაეშვათ. "წინააღმდეგ შემთხვევაში - ამბობს ლუისი - ჩვენ ველარაფერს ველარ გავიგონებდით სინატრაზე".

წიგნის ავტორები აცხადებდნენ, რომ ლუისი ამ ფაქტის პირდაპირი მოწმე არ გახლავთ. "ეს არის ის, რაც ლუისმა კარგად იცოდა". ამ ფაქტს ადგილი 1964 წელს ლაკი ლუჩიანოს აშშ-დან იტალიაში დეპორტირების შემდეგ ჰქონდა ადგილი.

ამ ახალ ბიოგრაფიაში მოყვანილი შემთხვევა ერთ-ერთია იმ ფაქტებიდან, რომლებიც სინატრას მაფიასთან არა მარტო მეგობრულ, არამედ საქმიან ურთიერთობასაც ადასტურებენ.

სინატრა სიცოცხლის ბოლომდე უარყოფდა, რომ მას რაიმე სახის კავშირი ჰქონდა მაფიასთან. თუმცა, გამოძიების ფედერალური ბიუროს დოსიე მომღერლის შესახებ, რომელიც 1998 წელს, მისი სიკვდილიდან შვიდი თვის შემდეგ გამოქვეყნდა, აჩვენებს, რომ სინატრა ჩიკაგოს მაფიის ბოსის სემ ჯანკანოს ახლო მეგობარი იყო. გამოძიების ფედერალური ბიუროს დოკუმენტებში ასევე დასტურდება, რომ მომღერალი 1947 წელს კუბაზე ვიზიტისას ახლო კონტაქტში იმყოფებოდა ლაკი ლუჩიანოსთან, ხოლო მისი მომღერლის კარიერა არ შედგებოდა, რომ არა ნიუ ჯერსელი მსხვილი ბანდიტის ვილი მორეტის დახმარება.

სინატრას მაფიასთან კავშირზე ყველამ იცოდა, თუმცა ამ ფაქტის დადასტურება ვერავინ შეძლო. სხვადასხვა წლებში სინატრას მაფიას ფულის გათეთრებაში, ნარკობიზნესში წილში, პოლიტიკურ სპექტაკლებში ფარულ მონაწილეობაში სდებდნენ ბრალს.

მომღერლის მეგობრებს შორის შავი სამყაროს ბოსები - ლაკი ლუჩიანო, სემ ჯიანკანა, ძმები კაპონეები იყვნენ. ერთხელ მას ამერიკის კრიმინალური სამყაროს ბოსთან - კარლო გამბინოსთან გადაუღეს სურათი, შემდეგ, ლაკი ლუჩიანოსთან. შემდგომში სინატრასა და ლუჩიანოს მეგობრობის ფაქტი დადასტურდა. ნეაპოლში ლუჩიანოს ვილის გაჩხრეკვისას პოლიციამ ოქროს პორტსიგარი აღმოაჩინა წარწერით: "ჩემს ძვირფას მეგობარ ლაკის მეგობარ ფრენკ სინატრასგან". მოგვიანებით გაირკვა, რომ სინატრას მფლობელობაში იყო სამორინე "Cal-Neva Lodge", რომლის მეწილეც განგსტერი სემ ჯიანიკანა (მეტსახელად მომო) - ჩიკაგოს მაფიის ბოსი იყო. ჯიანიკანა 200 მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და 70-ჯერ დაპატიმრებული.

1938 წელს სინატრა გაუპატიურების ბრალდებით დააკავეს, ომის დროს კი ექიმებს ყალბი ცნობის გაცემისთვის დიდძალი ქრთამი შესთავაზა.

სულ ახლახანს ფრენკ სინატრას ქალიშვილმა თინამ დაადასტურა, რომ მამამისს მაფიასთან კავშირი 20 წლის განმავლობაში ჰქონდა, სამაგიეროდ ისინი კარიერის შექმნაში დაეხმარნენ: იმ კლუბების მფლობელებს უხდიდნენ, სადაც სინატრა გამოდიოდა, იხდიდნენ მის რეკლამისთვის, სასცენო კოსტიუმებისა და ინსტრუმენტებისთვის. ნაწილობრივ ისიც დადსტურებულია, რომ მომღერლის Westchester Premier-ის სცენაზე გამოსვლას 1976-1977 წლებში ორგანიზება განგსტერ ლუი პაცელამ გაუკეთა.

პაულო კოელიოს სვეტი

# რატომ არის პაულო კოელიო ასეთი წარმატებული?



ეს კითხვაა, რომელსაც ჟურნალისტები თითქმის ყველა ქვეყნიდან ყველაზე ხშირად მისვამენ ხოლმე. მაგრამ თუ რომელიმე მკითხველს ჰგონია, რომ მე შემიძლია, ზუსტი პასუხის მოძებნა, მაშინ ჯობს, ასეთმა აქვე შეწყვიტოს კითხვა. ჩემი შემოქმედებითი პროცესი ეწინააღმდეგება ყველაფერს, რასაც, როგორც წესი, "წარმატების რეცეპტს" უწოდებენ.

პირველ რიგში, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემს წიგნებს არ აერთიანებს საერთო თემატიკა. მაგალითად, "მაგისა და ვალკირიის დღიური" პირდაპირ უკავშირდებოდა სულიერებას, მაშინ, როცა "ალქიმიკოსი" და "ვერონიკა სიკვდილს გადაწყვეტს" საერთოდ არ ეხება ამ თემას. სხვადასხვაა დროც, რომელშიც წიგნებში მოქმედება ხდება: "მეხუთე მთაში" სიუჟეტი ჩვ.წ.აღ.-მდე ხანაში ვითარდება, "რიო პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" ჩვენს დროშია გაშლილი, "ალქიმიკოსსა" და "ეშმაკსა და მის პრიმში" კი დრო საერთოდ არ არის დაზუსტებული.

ზოგი ამბობს, რომ ჩემი შემოქმედება მუდამ მარკეტინგამდე დადის: ჩემი პირველი ორი წიგნი ("მაგის დღიური" და "ალქიმიკოსი") 250 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა და ეს მოხდა მანამ, სანამ გამომცემელი რეკლამის გავრცელებას მოასწრებდა. დაახლოებით ასე მოხდა საზღვარგარეთაც: უცხოელი გამომცემლები მაშინვე დაინტერესდნენ ერთი უცნობი ბრაზილიელი მწერლით, როცა შეიტყვეს იმის შესახებ, რაც ბრაზილიაში ხდებოდა. არადა, არავის ჰქონდა იმის გარანტია, რომ რეაქცია, რომელიც წიგნმა ერთ ქვეყანაში გამოიწვია, მეორეშიც ზუსტად ასევე ძლიერი იქნებოდა.

ასე რომ, ისმის კითხვა: თუ ყოველთვის ფიქსირდება განსხვავება თემატიკასა და დროის პერიოდში და თუ არ ყოფილა არავითარი წინასწარ გათვლილი მარკეტინგი ჩემი მწერლობის პირველ, განსაკუთრებულად კრიტიკულ ეტაპზე (როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩემი წიგნები აბსოლუტურად ყოველგვარი რეკლამირების გარეშე გაიყიდა), მაშინ რაში მდგომარეობს წარმატების საიდუმლო?

საიდუმლო არ არსებობს. მაგრამ მაინც მგონია, რომ არსებობს სამი ფაქტორი, რომლებიც, ჩემი აზრით, ყოველთვის მოქმედებს ადამიანის საკეთილდღეოდ, როცა ის ოცნების მიღწევას ლამობს. ეს სამი ფაქტორი ის სამი ფაქტორია, რომლებიც მთელ სამყაროს შეკრავენ ხოლმე ოცნების რეალობად მქცეველი ადამიანის გასაბედნიერებლად.

პირველი ფაქტორი: მთელი არსებით უნდა გჯეროდეს იმის, რასაც აკეთებ.

იმ წუთიდან, როცა გადავწყვიტე, რომ მთელ ცხოვრებას მხატვრულ ლიტერატურას მივუძღვნიდი, გვერდზე გადავდე ყველა სხვა საქმე. დავანებე თავი სიმღერების ტექსტების წერას, წამოვედი ჟურნალისტიკიდან და ტელევიზიიდან, სადაც სცენარებს ვწერდი, და ვარჩიე, რომ მთელი ენერგია და ძალისხმევა მიმეძღვნა იმ საქმისთვის, რომელიც განუზომელ ბედნიერებას მანიჭებდა. როგორც ხდება, მე მყავდა ოჯახი, რომელიც უნდა მერჩინა, მაგრამ ოჯახმაც გამიგო და მხარში ამომიდგა - ეს იმიტომ, რომ ნებისმიერ ინიციატივას განხორციელებაში ყველა სხვა ძალაზე მეტად სწორედ სიყვარული ეხმარება ხოლმე.

მეორე ფაქტორი: ვერასდროს შეძლებ ოცნების მიღწევას სრულიად მარტო. აუცილებელია მოკავშირეების პოვნა. ჩემი მოკავშირე გახდა ჩემი მკითხველი. მათ მოახერხეს და მხოლოდ ზეპირი სიტყვით ერთმანეთში გაავრცელეს ერთი უცნობი მწერლის ტექსტები. ასე ხშირად ხდება ხოლმე: თუ ვიღაცას მოსწონს წიგნი, მერე მეგობარს, შვილს, შეყვარებულს ურჩევს მის წაკითხვას. ეს უპირობო მხარდაჭერა მწერლისთვის უძვირფასესი საჩუქარია. ეს მხარდაჭერა იცავს კიდეც ავტორს პრესის შემოტევისგან; ვინაიდან როცა კრიტიკოსი წაიკითხავს წიგნს და დაწერს მის შესახებ კრიტიკულ წერილს, მკითხველი მას ბრმად აღარ მიენდობა, რადგან ყოველთვის გაახსენდება საკუთარი აზრი უკვე წაკითხული წიგნის შესახებ და საკუთარი შთაბეჭდილებით უფრო იხელმძღვანელებს, ვიდრე კრიტიკოსის მოსაზრებით.

დაბოლოს: იპოვე შენი ოცნების სხვებთან გაზიარების ინდივიდუალური გზა. ლიტერატურაში ამას სტილს უწოდებენ. მე მსურდა მესაუბრა ანტიკურ თემებზე თანამედროვე ენის გამოყენებით და ასეც გავაკეთე. შავი ხელნაწერები თითქმის სამჯერ უფრო დიდი მოცულობის გამომდიოდა, ვიდრე წიგნის საბოლოო ვარიანტები. ანუ მიხდებოდა სათქმელის შეკვეცა, მაგრამ ამას ყოველთვის სიუჟეტის ხარჯზე ვაკეთებდი, რადგან ვაიძულე თავი, მეფიქრა, რომ მკითხველი შეძლებოდა ამა თუ იმ სცენის ჩემგან დამოუკიდებლად გაცოცხლებას საკუთარ წარმოსახავში; და რომ ჯობდა, მე პერსონაჟების ურთიერთობაზე მეწერა უფრო მეტი. გამოცდილებამ მაჩვენა, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.

ავტორი არ უნდა შეუშინდეს რისკს. ის არ უნდა იქცეს საკუთარი აზრის მონად იმ იმედით, რომ მკითხველს ასიამოვნებს. ის აბსოლუტურად გულწრფელი უნდა იყოს წერისას და აბსოლუტურად გულწრფელი უნდა იყოს საკუთარ თავთანაც, რადგან მკითხველი იოლად ხვდება ხოლმე, რომელი რომანია დაწერილი მხოლოდ კომერციული მიზნებით. ამ დროს მკითხველი მოტყუებულად გრძნობს ხოლმე თავს.

უბრალოდ, შეუძლებელია, ვიცოდე, თუ რას ფიქრობს ჩემზე სხვადასხვა კულტურაში აღზრდილი მილიონობით მკითხველი. აქედან გამომდინარე, მე ვწერ ერთადერთი ადამიანისთვის, რომელსაც მეტ-ნაკლებად ყველაზე კარგად ვიცნობ - ვწერ საკუთარი თავისთვის.

როცა ვიწყებ წიგნზე მუშაობას, სინამდვილეში ვიწყებ ხოლმე ომს ორ პიროვნებას შორის - რომელიც ვარ და რომლის გამოსწორებაც საკუთარ თავში მსურს.

თითოეული შემოქმედებითი პროცესი მოგზაურობაა, რომელიც თანაბრად მტკივნეული და სასიამოვნოა: ერთი მხრივ, ზედაპირზე იწყებს ტივტივს დაუძლეველი შიში, რომ წერის პროცესში საკუთარ მოჩვენებებს გადააწყდები; მეორე მხრივ კი, გეუფლება სასიამოვნო მღელვარება, რომ სინამდვილეში უფრო საინტერესო ყოფილხარ, ვიდრე საკუთარი თავი გეგონა.

საკუთარ სულში ამ ბრძოლის გამართვა რომ შეძლო, ნათლად განსაზღვრული შემოქმედებითი პროცესი უნდა გქონდეს. ამის შესახებ მომავალ კვირას გესაუბრებით.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ფეხბურთი

# ვაი საკუთარი თავისგან

## "თბილისი" თასს ზესტაფონში დაშორდა

მიხეილ აბაიშვილი

"ლოკომოტივი" და "ზესტაფონი". 26 მაისს მიხეილ მესხის სტადიონზე ეს გუნდები გაითამაშებენ დავით ყიფიანის სახელობის თასს. თუ "ლოკომოტივმა" ფინალში თამაშის უფლება უშფოთველად, განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ენერგიის დახარჯვის გარეშე მოიპოვა, "ზესტაფონს" ამისთვის დიდი ოფლის ღვრა და ნერვების წყვეტა დასჭირდა.

გუშინ მცხეთაში, "არმაზის" სტადიონზე, სადაც ტრადიციულად საშინაო მატჩებს ატარებს თბილისის "ვიტ ჯორჯია", ფინალისტის ბედი 25-ე წუთისთვის საბოლოოდ გაირკვა. შეგახსენებთ, რომ "ლოკომოტივისა" და "ვიტ ჯორჯიას" უკვე პირველივე ნახევარფინალურ მატჩში თითქმის ყველაფერი გადაწყდა. ის შეხვედრა რკინიგზელებმა 2:0 მოიგეს და განმეორებით თამაშის წინ სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს.

21-ე და 25-ე წუთებზე ჯერ ბობოხიძის, ხოლო შემდეგ ქებაძის მიერ გატანილმა გოლებმა ვეტერინართა იმედებს ფინალში გასვლის თაობაზე საბოლოო წერტილი დაუსვა. ერთადერთი, რაც მასპინძლებმა მოახერხეს, ორი მატჩის ჯამში გატანილი პრესტიჟის კინკილა გოლი იყო, რომელიც დიღმელაშვილმა მიითვალა.

აბსოლუტურად სხვა, დაძაბული ვითარება იყო ზესტაფონში, სადაც ადგილობრივმა "ზესტაფონმა" თბილისის "თბილისს" უმასპინძლა. ამ გუნდების პირველი ნახევარფინალი 0:0 დასრულდა. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში ეს გუნდები უკვე ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში შეხვდნენ. ეს თამაშიც თბილისში, "თბილისის" სტადიონზე გაიმართა და მისმა შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: "ზესტაფონმა" 3:0 მოუგო მეტოქეს. ამ გამარჯვებამ ყველას აფიქრებინა, რომ განმეორებით ნახევარფინალში, თანაც, საკუთარ მოედანზე, "ზესტაფონი" იოლად დაამარცხებდა "თბილისს".


მახარაძემ "ზესტაფონი" ფინალში გაიყვანა

მატჩის დებიუტი მასპინძლებს თითქოს ცუდს არაფერს უქადდა: 30-ე წუთზე იონანიძემ ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. ამ დროისთვის, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, რომელიც მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ "თბილისი" მდგომარეობის გამოსწორებას მოახერხებდა. მაგრამ 43-ე წუთზე ჯიქიას მიერ გატანილმა ერთგვარად კურიოზულმა გოლმა მატჩის სცენარი აბსოლუტურად შეცვალა. კურიოზულმა, რადგან, "ზესტაფონის" კართან კუთხურის ჩამოწოდების შემდეგ ბურთმა საშინლად უსწორმასწორო და ატალახებულ მასპინძელთა საჯარიმოში რიკოშეტის წყალობით 5-6-ჯერ შეიცვალა მიმართულება, ჯიქიას მიუგორდა და მისი არცთუ ძლიერი დარტყმის შემდეგ კარში აღმოჩნდა.

ანგარიში 1:1 უკვე სტუმარ ფეხბურთელებს აძლევდა ხელს და ყველა ელოდა, რომ მეორე ტაიმში "ზესტაფონი" გაათმაგებული ენერგიით ეკვეთებოდა მეტოქის კარს ფინალის საგზურის მომტანი გოლის გასატანად. მაგრამ ასე არ მოხდა. მასპინძლები კი ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ მათ თამაშში რაღაც, უფრო ზუსტად, სათამაშო დისციპლინა მთლიანად მოიშალა. დროის გასვლასთან ერთად, ცაიტნოტში ჩავარდნილი ზესტაფონელები ჩქარობდნენ, ბევრ შეცდომას უშვებდნენ, რაც არა მხოლოდ "თბილისის" დაცვას უიოლებდა საქმეს, არამედ სტუმართა მეტად სახიფათო კონტრშეტევებსაც უყრიდა საფუძველს. აბსოლუტურად გაუგებარია, როგორ ვერ გაიტანა გოლი თბილისელმა ფიფიამ, რომელიც უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციაში, მეკარე სომხიშვილთან პირისპირ დარჩა. კიდევ უფრო გაუგებარია, შეცვლაზე შემოსულმა აფციაურმა, რომელმაც, ზესტაფონელთა მცველების შეცდომის წყალობით მასპინძელთა მოედნის ნახევარი ეულად გაირბინა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, როგორ ააცილა კარს ბურთი. ასპროცენტიანი საგოლე მომენტი ორჯერ გაუშვა ხელიდან თბილისელთა კიდევ ერთმა თავდამსხმელმა სანდრო იაშვილმა. ასეთი მომენტების გამოუყენებლობას, მეტოქე გუნდს რომ თავი დავანებოთ, თავად ფეხბურთი და მისი ულმობელი კანონი - "არ გაიტან, გაგიტანენ", არ გაპატიებს. ასეც მოხდა. ზედ მატჩის ბოლო წუთზე ქანცგამოლეული "ზესტაფონის" შეტევა, რომელიც უფრო ინერციულ ხასიათს ატარებდა, "თბილისის" საჯარიმოში ზუსტი ჩაწოდებით და შეცვლაზე შემოსული ზირაქიშვილის შედეგიანი თავური დარტყმით დასრულდა. ბურთი - ბადეში, ზირაქიშვილი - თანაგუნდელთა მკლავებში, ხოლო "ზესტაფონი" თასის ფინალში აღმოჩნდა. "თბილისი" კი ამ ფიასკოს საკუთარი თავის მეტს ვერავის დააბრალებს.

# დაბრუნება

"ლივერპულმა" ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრაში "ენფილდ როუდზე" მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა ლონდონის "ჩელსი" და ყველაზე პრესტიჟული ევროპული ტურნირის ფინალში გავიდა. მერსისაიდელები ამ გამარჯვებას დიდ იმედებს უკავშირებენ და მიაჩნიათ, რომ "ლივერპულის" ამ თაობას შესანიშნავი შანსი მიეცა კლუბის ისტორიაში კიდევ ერთი სამახსოვრო ფურცელი ჩაწეროს.

"ენფილდზე" გამარჯვების შემდეგ "ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა ღირსეული შეფასება მისცა თავისი გუნდის შრომისმოყვარეობას, საკუთარ ძალებში მათ რწმენას და გულშემატკივართა ფანტასტიკურ მხარდაჭერას. ერთი კვირით ადრე "სტემფორდ ბრიჯზე" მიღწეული ნულოვანი ფრის შემდეგ "ლივერპულისთვის" ფინალში გასასვლელად ლუის გარსიას სწრაფი გოლიც საკმარისი აღმოჩნდა. ინგლისის ახლად გამომცხვარი ჩემპიონის დიდი მცდელობის მიუხედავად, მათ ირჟი დუდეკის კარის აღება ვერ მოახერხეს და 25 მაისს სტამბულში "ლივერპული" ითამაშებს.

**რაფაელ ბენიტესი, "ლივერპულის" მწვრთნელი:** "გამარჯვების საიდუმლო უმძიმეს შრომაშია. ჩვენს ზურგს უკან გულშემატკივართა ფანტასტიკური ქომაგობის შეგრძნება და ბოლომდე საკუთარი ძალის რწმენაა. როცა გულშემატკივართა მხარდაჭერას გრძნობ, ცოტათი უფრო სწრაფად გარბიხარ. ისე როგორც ერთი კვირით ადრე, ჩვენ შესანიშნავი მატჩი გავმართეთ და ჩვენი სამუშაო ხუთიანზე შევასრულეთ - მომდევნო ეტაპზე გავედით. "ჩელსი" ფანტასტიკური გუნდია, მაგრამ ჩვენ ძალებს არ ვზოგავდით და სულიერადაც არ დავცემულვართ. 96 წუთის განმავლობაში უმაღლეს ტემპში თამაში უაღრესად რთული საქმეა, მაგრამ ლივერპულელი ქომაგი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. ინგლისელებს გაუმართლათ, რომ ფინალში მათი წარმომადგენელი გავიდა. ფავორიტების შესახებ ბევრი კამათობს და ბოლოს ცდება. თუ ჩვენ მოვახერხეთ და "იუვენტუსის", "ბაიერისა" და "ჩელსის" ბარიერი დავძლიეთ, რატომ არ შეიძლება "მილანს" ან პსვ-ს მოვუგოთ?"


ბენიტესი: როდესაც გულშემატკივართა მხარდაჭერას გრძნობ, სწრაფად დარბიხარ

**ჟოზე მოურინიო, "ჩელსის" მწვრთნელი:** "უძლიერესებმა წააგეს. მასპინძლებმა სწრაფი გოლი გაიტანეს, რის შემდეგაც ერთი გუნდი თამაშობდა, მეორე კი მხოლოდ თავს იცავდა. არ ვიწუწუნებ ტაქტიკის გამო. ამის შესახებ ყველა კითხვა რაფას დაუსვით. მერსისაიდელებმა თავისი ფეხბურთი ითამაშეს, ბევრი იბრძოლეს. ეს კი პატივისცემას იმსახურებს. ისინი იბრძოდნენ, იბრძოდნენ და კიდევ ერთხელ იბრძოდნენ. შედეგად, ლივერპულელები ფინალში გავიდნენ და მე მთელი გულით ვუსურვებ მათ გამარჯვებას. შეიძლება შედეგზე გულშემატკივართა წარმოუდგენელმა მხარდაჭერამაც იმოქმედა. გულდასაწყვეტია, რომ ფინალში სხვები ითამაშებენ, მაგრამ ჩემი ფეხბურთელები ჩემთვის კვლავ გმირებად რჩებიან. იმ ოთხი ტურნირიდან, რომელშიც მონაწილეობა მივიღეთ, ჩემმა გუნდმა ორი მოიგო. ამიტომ ეს სეზონი შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. ხვალ ახალი დღე გათენდება - ხვალიდან ჩვენ ახალი კამპანიისთვის მზადებას დავიწყებთ".

**ჯეიმი კარაგერი, "ლივერპულის" მცველი:** "ლივერპულის" ისტორია მსგავს მატჩებს ეყრდნობა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ მას მოკლებულნი ვიყავით, მაგრამ ძალიან გვინდა, ძველი დიდება დავიბრუნოთ. დღეს ჩვენ საკუთარ თავზე გამოვცადეთ ასეთი გამარჯვების გემო და მივიღეთ შანსი, კლუბის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი ჩავწეროთ. შესანიშნავია, მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარფინალი იყო. მთავარი გამარჯვებისთვის ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია".

**სტივენ ჯერარდი, "ლივერპულის" ნახევარმცველი:** "ჯეიმი კარაგერმა ფანტასტიკური, წარმოუდგენელი მატჩი ჩაატარა. ლონდონელები ცუდად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ჩვენ ღირსეულად ვიბრძოდით და პლუს, ცოტა არ იყოს, გაგვიმართლა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ფინალში გავედით".

ვარსკვლავი

# მილან ბაროში ("ლივერპული", ჩეხეთი)

**მილან ბაროში**

დაიბადა 1981 წლის 28 ოქტომბერს ჩეხეთის სოფელ ვიგანტიცეში

შემტევი ნახევარმცველი, თავდამსხმელი

**სიმაღლე:** 184სმ, წონა: 76კგ

**კლუბები:** "ბანიკი" (ოსტრავა, ჩეხეთი, 1997-2001), "ლივერპული" (ლივერპული, ინგლისი, 2001-)

**ტიტულები:** ინგლისის ლიგის თასი - 2003, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებული - 2002, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი - 2000, ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი - 2004 (5 გოლი), ჩეხეთის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი - 2000

ჩეხეთის ნაკრებში ჩატარებულ 37 მატჩში გაიტანა 23 გოლი

ლაშა გოდუაძე

ორიოდე დღის წინ ინგლისის "ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. პირველად, ოცი წლის შემდეგ.

ენფილდროუდელთა წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩეხეთის ნაკრების ფორვარდს მილან ბაროშს, რომელიც ინგლისის ყველაზე ტიტულიან გუნდში ოთხი წლის წინ გადავიდა.

ჩვენი რუბრიკის რიგით მესამე სტუმარი სწორედ მილან ბაროშია, ფეხბურთელი, ვინაც ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე ცისფერი ბუცებით და ჩინებული თამაშით დაამახსოვრა თავი ქომაგებს.

## ციტატები

### ბავშვობის შესახებ

...ჩეხეთის აღმოსავლეთით მდებარე პატარა სოფელ ვიგანტიცეში დავიბადე. ძალიან მიყვარდა ფეხბურთის თამაში, თუმცა, სოფელში არც ერთი სპორტული წრე არ იყო. მშობლებს შევუთანხმდი და მათი გადაწყვეტილებით, ოსტრავას "ბანიკის" ბავშვთა გუნდში დავიწყე თამაში. მშობლები ყოველთვის ამ კლუბს ქომაგობდნენ. ის, რომ დღეს ფეხბურთელი ვარ, მეტწილად მამაჩემის დამსახურებაა!

### მეტსახელებზე

...ძირითადად, ორი მეტსახელით მომმართავდნენ: მილი - სახელის გამო და ბარი - გვარის გამო. მოგვიანებით, როცა ჩემი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს, ოსტრაველი მარადონაც შემარქვეს. ამის გამო ძალიან ვამაყობდი!

### ნაკრებში პირველ მიწვევაზე

...როცა ახალგაზრდულ ნაკრებში მიმიწვიეს, ძალიან ვინერვიულე. თუმცა, შევეხე თუ არა ბურთს, დაძაბულობა მომეხსნა. მიუხედავად იმისა, რომ ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში არაერთი შეხვედრა ჩავატარე და ოლიმპიადაზეც ვითამაშე, ყველაზე დიდ სიამოვნებას მაინც ეროვნულ ნაკრებში თამაში მანიჭებს. ჩემთვის მთავარია, რაც შეიძლება ხშირად ვითამაშო ამ გუნდში!

### კარელ ბრუკნერის შესახებ

...ჩვენ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, რადგან არაერთი წელია ვთანამშრომლობთ. ის შესანიშნავი სპეციალისტია, განსაკუთრებით კი იმის გამო მიყვარს, რომ მენდობა და მაშინაც მათამაშებს, როცა კლუბში საქმე კარგად არ მიმდის. ვცდილობ, იმედი გავუმართლო. სხვათა შორის, ბრუკნერი ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობისას მიწვევდა გუნდში. იცით, ერთი მეტსახელი - "ხუმარა" - სწორედ მან შემარქვა. რატომ? მეორე ტაიმში შესული, ადვილად ვატყუებდი მეტოქეს და ეს მწვრთნელს ძალიან უხაროდა.

### ევრო 2004-ზე

...რომ არ მოგატყუოთ, ძალიან გამიკვირდა, როცა კარელ ბრუკნერმა ყველა მატჩში ორი თავდამსხმელით თამაში გადაწყვიტა. ტურნირის დაწყებამდე ვფიქრობდი, რომ ძირითად შემადგენლობაში იან კოლერი იქნებოდა და მე მხოლოდ შეცვლაზე ჩავერთვებოდი, მაგრამ, საბედნიეროდ, შევცდი. ამის გამო ყველანაირად ვცდილობდი ბრუკნერის გახარებას და მეტოქეთა მეკარეების რაც შეიძლება ხშირად დამწუხრებას. მგონი, გამომივიდა.

### ჰოლანდიელთა კარში გატანილ გოლზე

...კომბინაცია, რომლის შემდეგაც ჰოლანდიელებს გოლი გავუტანე, ვარჯიშებზე მე და კოლერს ხშირად დაგვიმუშავებია: ვინმე ფლანგიდან აწვდის ბურთს, იანი კი მკერდით მიგდებს და მეც მთელი ძალით ვურტყამ. მაშინ გაამართლა - გოლი გავიტანე, მაგრამ ვარჯიშებზე იშვიათად მიმართლებდა.

### ჩეხეთის ნაკრებზე

...ჩვენი გუნდი შესანიშნავი მწვრთნელითა და ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ვარჯიშებზე ყოველთვის მხიარულებაა და მატჩებს მოუთმენლად ველით. რაც მთავარია, არასდროს ვფიქრობთ მეტოქეზე - ჩეხეთის ნაკრების კოზირი ისაა, რომ ყოველთვის თავის სტილში თამაშობს და ასე აღწევს წარმატებას.

### ბერძნებთან მარცხზე

...ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეწყინა წაგება. ბერძნები უნდა დაგვემარცხებინა, ჩვენ გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით, მაგრამ... ჩემპიონატის ფინალს ტელევიზორში ვუყურე, არადა, იმ დღეს პორტუგალიელებთან ჩვენ უნდა გაგვემარჯვა. დარწმუნებული ვარ, ბერძნების დარად, მასპინძლებს ჩვენც მოვუგებდით!

### ცისფერ ბუცებზე

...პირველად ცისფერი ბუცები გასული წლის მარტში ჩავიცვი და მას შემდეგ ნაკრებში გოლების გატანას მოვუხშირე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ასეთი ბუცებით პორტუგალიაში თამაში. ჩემდა საბედნიეროდ, არ მიმტყუნეს, რაც ძალიან გამიხარდა!

### საყვარელ ფეხბურთელებზე

...პირველ რიგში ტიერი ანრის დავასახელებ. ის რომ ჩვენთან, "ლივერპულში" თამაშობდეს, შესანიშნავი იქნებოდა! თუმცა, არა, მაშინ მე სერიოზული კონკურენტი მეყოლებოდა. ცხადია, ვხუმრობ. მის გარდა ძალიან მომწონს პაველ ნედვედი და ტომაშ როსიცკი. ორივე ჩინებული მოთამაშეა.

### საყვარელ გოგოზე

...ჩემს მეგობარ გოგონას ევა კილიანოვა ჰქვია. ის ჩეხეთში ცნობილი მოდელია. სხვათა შორის, არაერთხელ მოუცია სწორი რჩევა და მისი წყალობით შეცდომაც აღარ დამიშვია. ევა ძალიან მიყვარს!

### "ლივერპულზე"

...ბედნიერი ვარ, რომ ასეთ დიდებულ და სახელოვან კლუბში ვთამაშობ! მიუხედავად იმისა, რომ დიდი გუნდები კვლავ მეპატიჟებიან, ლივერპულიდან ფეხის მოცვლას არ ვაპირებ - აქაურობა ძალიან მიყვარს, ქალაქით მოხიბლული ვარ. მართალია, ჟერარ ულიეს დროს ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ვთამაშობდი, მაგრამ ახლა ბედნიერი ვარ - რაფაელ ბენიტესი მენდობა და მეც თავის გამოჩენის შანსს ხელიდან არ ვუშვებ. სხვათა შორის, უთამაშებლობის გამო კინაღამ "ლივერპული" დავტოვე, თუმცა, ევამ შემაჩერა. მიუხედავად ყველაფრისა, ულიეზე ნაწყენი არ ვარ. სხვა თუ არაფერი, სწორედ მან მიმიწვია ამ კლუბში.

### ჩემპიონთა ლიგის ფინალზე

...კარგა ხანია, ასეთი სიხარული აღარ განმიცდია - ჩვენ "ჩელსის" სამაგიერო გადავუხადეთ ლიგის თასის ფინალში წაგების გამო. ჩემთვის არანაკლებ სასიხარულოა, რომ გულშემატკივრები უზომოდ გავახარეთ და ოცი წლის შემდეგ პირველად გავედით ფინალში. ჩემთვის ჩემპიონთა ლიგის ფინალი პირველი უმნიშვნელოვანესი ფინალი იქნება კარიერაში და ვეცდები, სტამბულიდან გამარჯვებული დავბრუნდე.

### მომავალზე

...ახლა მხოლოდ ერთი რამ მინდა - ჩემპიონთა თასის მოგება! რადგან ფინალში გავედით, ესე იგი, შეგვიძლია მთავარი პრიზისთვის ბრძოლა. მინდა, რომ წლეულს მაინც ავიხდინო ოცნება და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეჯიბრება მოვიგო. შარშან არ გამიმართლა, მაგრამ მგონია, რომ წელს აუცილებლად გავიხარებ. ასევე მსურს, რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო ამ კლუბში - "ლივერპულში" ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, ასეთი განწყობით რაც შეიძლება დიდხანს ვითამაშო!

### იცოდით?

...მილან ბაროშის გადაბირება არაერთ დიდ ევროპულ კლუბს სურდა, მათ შორის "იუვენტუსს", "მილანს", დორტმუნდის "ბორუსიას" და "ნიუკასლ იუნაიტედს". სხვათა შორის, დორტმუნდელთა ყოფილი მწვრთნელი მათიას ზამერი რამდენჯერმე ჩავიდა ოსტრავაში, რათა პირადად ენახა საქმეში მილან ბაროში.

...ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ბაროშმა 14 მატჩში 9 გოლი გაიტანა. 2000 წელს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, ხოლო 2000 და 2002 წლებში - თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონატზე.

...ოსტრავას "ბანიკის" მაისურით მილანმა ჩეხეთის პირველობაზე ჩატარებულ 76 მატჩში 23 გოლი გაიტანა, 2001 წლის ნოემბერში "ლივერპულში" გადაივიდა. "ბანიკის" ისტორიაში ბაროში ყველაზე ძვირად ღირებული მოთამაშეა - ინგლისელებმა მის სანაცვლოდ 5,3 მილიონი გირვანქა გაიღეს.

...ჩეხეთის ეროვნულ ნაკრებში მილან ბაროშმა პირველად 2001 წელს ითამაშა ბელგიელთა წინააღმდეგ. ის მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა და ჩეხების გოლი სწორედ დებიუტანტმა მილანმა გაიტანა.

..."ლივერპულის" შემადგენლობაში თავდამსხმელმა პირველად 2002 წლის მარტში ითამაშა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში "კამპ ნოუზე" "ბარსელონას" წინააღმდეგ - ემილ ჰესკი შეცვალა. იმ სეზონში ბაროშს "ლივერპულის" ღირსება მეტჯერ აღარ დაუცავს.



# ვერისბაღელები



## საგანმანათლებლო რეფორმის იდეა ფეხბურთში

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენი დღევანდელი სტუმრები - კახა ქორიძე და მერაბ ქუთათელაძე საქართველოში "ქუჩის ფეხბურთის" აღდგენის იდეაზე გვესაუბრებიან; იხსენებენ ვერის ბაღის ამბებს და მიაჩნიათ, რომ საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმა ფეხბურთსაც ისევე ესაჭიროება, როგორც - ყველა სხვა სფეროს".*

**კახა ქორიძე:** "ახლა ბევრს ლაპარაკობენ "ქუჩის ფეხბურთის" კულტურის აღდგენაზე. თითქოს საგანგებოდ სათამაშო მოედნებისთვის ადგილის გამოყოფასაც აპირებენ. თუ ეს მართლაც განხორციელდა, ძალიან კარგი იქნება, იმიტომ, რომ ჩვენს სიჭაბუკეში ეზოს ფეხბურთს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ჩემი და ჩემი მეგობრების ცხოვრებაში. ოღონდ მლეთის ქუჩაზე სამ მატჩს ისე ვითამაშებდით, ერთი მანქანა არ გამოივლიდა. ახლანდელ ახალგაზრდებს, ამ მხრივ, ასეთი ფუფუნება აღარ აქვთ, ამიტომ რაც მეტ სათამაშო მოედანს მოაწყობენ სხვადასხვა უბანში, მით - უკეთესი".

**მერაბ ქუთათელაძე:** "მეც საერთო ეზოში გავიზარდე, სადაც ფეხბურთის მოედანიც მოწყობილი გვქონდა და კალათბურთის ფარებიც გვეკიდა; დღემდე მიმაჩნია, რომ იმ გახსნილ სივრცეში ყოფნამ ჩემი თაობის ბევრი ბიჭი ცუდ საქმეებს ააცდინა - ღია ეზოში, სახალხოდ, ბუნებრივია, შავბნელი საქმის ჩადენას თავშიც არ გაივლებ; სადარბაზოს ჩაკეტილი სივრცე და სიბნელე, სადაც ახლანდელ ბიჭებს უწევთ თავშეყრა, უფრო უბიძგებს მათ რაღაც აკრძალულის ჩასადენად"...

**კახა ქორიძე:** "მე, როგორც არქიტექტორი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეზოიანი სახლების მშენებლობა საქართველოსთვის აუცილებელია. ფეხბურთს რომ თავი დავანებოთ, მეზობლობის ინსტიტუტი - მათთან ყოველდღიური კონტაქტი, საუბარი, სხვადასხვა თავშესაქცევი საქმიანობა ქართველების კულტურის განუყოფელი ნაწილია. ასეთი ყოფა ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს; ცნობილია, რომ ბევრმა ადამიანმა ახლად აშენებულ, ოფრო კომფორტულ ბინაში ცხოვრებას ვერ გაუძლო, რადგან სწორედ ამ გახსნილ მეზობლურ სივრცეს იყვნენ მოკლებულნი.

რაც შეეხება ეზოების კეთილმოწყობას, მთავრობისა და მერიის დახმარების გარდა, ვფიქრობ, საზოგადოებრივი ცნობიერებაც უნდა ამაღლდეს. მახსოვს, ჩემმა ამერიკელმა სტუმარმა, როცა თბილისის ერთ დანგრეულ, ვირთხებით სავსე ეზოში თავშეყრილი დომინოს მოთამაშე, უმუშევარი კაცები ნახა, და იქვე მოთამაშე მათივე შვილები, მართებულად გაიკვირვა, - ამას მერია და მთავრობა რად უნდა, მით უმეტეს, თუ სამსახური არა აქვთ, დროც ბევრი ექნებათ, რატომ თავში არ მოსდით, რომ ეზო თავის ხელით მოაწესრიგონ, თუნდაც საკუთარი შვილების გულისთვისო"?!...

**მერაბ ქუთათელაძე:** "მართალია. სხვათა შორის, სტამბულში რომ ვიყავი, მართლაც შემშურდა - იქ იმდენი და ისეთი კეთილმოწყობილი სტადიონები ვნახე, თან - ყველა უფასო; ფასიანიც კი იმდენად იაფია, რომ, არ ვიცი, ალბათ ის თანხა საბოლოოდ მხოლოდ იქაურობის მოწყვას თუ ხმარდება; თან ღამის ორ საათამდე, თითქმის, ყველა დაკავებულია. მოკლედ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია ფეხბურთი ითამაშოს და ისიამოვნოს, და ეს თურქული ფეხბურთის საერთო დონეს როგორ დაეტყო, ყველამ ვნახეთ".

**კახა ქორიძე:** "არადა, უბნური ფეხბურთი მართლაც კარგი ფენომენი იყო ჩვენს ქალაქში"...

**მერაბ ქუთათელაძე:** "აბა რა, მინი ფეხბურთს, რომელმაც მოგვიანებით ოფიციალური სახე მიიღო, სწორედ ასეთმა თამაშებმა დაუდო სათავე. ყოფილი ფეხბურთელები, მოყვარულები იკრიბებოდნენ, გუნდებს ქმნიდნენ და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. თავიდან ყიფოსგან და ზურა ანიკაშვილისგან წამოვიდა ეს წამოწყება; მერე ვერის ბაღის გუნდიც გვყავდა. კარგი ის იყო, რომ ეს სასწრაფოდ აიტაცეს მუშტაიდელებმაც და სხვა უბნელებმაც და უკვე ჩემპიონატებიც იმართებოდა; ხშირად მოქმედი დინამოელებიც მონაწილეობდნენ ამ თამაშებში და, სხვათა შორის, მოყვარულებს ზოგჯერ ვერც ჯობნიდნენ. ერთი სიტყვით, ეს საუკეთესო წამოწყება იყო, იმიტომ, რომ ვერის ბაღის პატარა დარბაზში ფინალური შეხვედრა რომ შედგა, მახსოვს, იქაურობა გადაჭედილი იყო - იმდენი მაყურებელი მოვიდა.

ეს თბილისს რაც შეეხება და, ეზოს ფეხბურთი მთელ საქართველოში პოპულარული იყო - სოხუმში, გაგრაში, ქუთაისში დაუვიწყარი მატჩები გვაქვს ჩატარებული...

მე კალათბურთელი ვიყავი და გუნდში სამი სოხუმელი ბიჭი გვყავდა; მათ შორის, ერთი - ბაგაფში. იქ რომ ჩავდიოდით, ისინი თავის სხვა მეგობრებს გვაცნობდნენ და ასე ვუმეგობრდებოდით ერთმანეთს - სპორტი კიდევ უფრო გვაახლოებდა"...

**კახა ქორიძე:** "გოჩა გავაშელი მე ჯერ გაგრაში გავიცანი, ვიდრე "დინამოში" თამაშს დაიწყებდა".

**მერაბ ქუთათელაძე:** "მინდა, ვერის ბაღზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, იმიტომ, რომ იქაურობა ჩვენთვისაც უსაყვარლესი ადგილი იყო - განტვირთვის საუკეთესო საშუალება"...

**კახა ქორიძე:** "მიუხედავად იმისა, რომ ბაღის უფროს თაობასთან ძალიან დაახლოებულები ვიყავით, მაინც პასუხისმგებლობას განვიცდიდით, რომ იქ მოუმზადებლები არ მივსულიყავით. ამიტომ ჯერ მიხო ნანეიშვილთან შევივლიდით, რომელიც იქვე ცხოვრობდა, მოვაყოლებდით მთელ სიახლეებს და მერე გადავდიოდით ბაღში".

**მერაბ ქუთათელაძე:** "მართლაც არაფერი სჯობდა ბაღის "მეტრების" მოსმენას - ფეხბურთის გარდა, თითქმის ყველა საჭირბოროტო თემას ეხებოდა მათი დისპუტები. ყველანაირ თემაზე მომისმენია კამათი, ზოგჯერ სასაცილოც. ან რა იუმორის გრძნობა ჰქონდათ"...

**კახა ქორიძე:** "ერთხელ ლევან ჭაჭიაშვილი, კოტე გაბაშვილი და მე ბაღში შევდივართ; ვხედავთ, გოგი დემეტრაძეს "პუტკუ" დაუჭერია და გაცხარებით კამათობენ, - დინოზავრი მოერევა თუ ბრონტოზავრიო. ლევანი რომ დაინახეს, - აი, ეს გვეტყვისო. ლევანმა თქვა, - რა ვიცი, მე რაც ნანახი მაქვს, ყველა შეხვედრა ფრედ დამთავრდაო"...

**მერაბ ქუთათელაძე:** "რა დამავიწყებს, როცა მექსიკის ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრებმა ბრაზილიის ნაკრებს მოუგო, ვერის ბაღის გულშემატკივრების ერთი ნაწილი კი ამტკიცებდა, - რეზულტატი ხომ არ არის მთავარი, ალბათ თამაშით ბრაზილიამ აჯობაო; ეს "ალბათ" იმიტომ, რომ მატჩი ნანახი არავის ჰქონდა. ბოლოს საიდანღაც მოვიპოვეთ ძველებური აპარატით გადაღებული იმ მატჩის ჩანაწერი და 53-ე სკოლის სააქტო დარბაზში ვუყურეთ... თქვენ წარმოიდგინეთ, მოიგეს ლათინურიამერიკული ფეხბურთის მომხრეებმა ეს პაექრობა - ბრაზილია თამაშით მართლა ჯაბნიდა ინგლისს; მთავარი კი ის იყო, რომ თავიდან მხოლოდ ინტუიციას ეყრდნობოდნენ, სხვა არგუმენტი არ ჰქონდათ. თუმცა, ზოგჯერ ფინტებსაც კი ისე აღწერდნენ ხოლმე, იფიქრებდი, თამაში ნანახი აქვთო. არადა, წარმოსახვით ხდებოდა ეს ყველაფერი... უბრალო,მოკლედ, ვერის ბაღი მართლაც საოცარი რამ იყო და ძალიან გულდასაწყვეტია, რომ აღარ არსებობს - როგორღაც უნდა აღდგეს"...

**კახა ქორიძე:** "მე ერთი პატარა პროექტი დახაზულიც მაქვს - ვერის ბაღში გულშემატკივრების თავშეყრის ადგილი"...

**მერაბ ქუთათელაძე:** "რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ბაღი ძველი სახით ახლაც რომ არსებობდეს, რაც დღეს ფეხბურთში საშინელებები დატრიალდა, იმას ნაწილობრივ მაინც ავიცდენდით - ბაღელების აზრი იმდენად ავტორიტეტული იყო, იმდენად დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზრზე და თავად ფეხბურთის მესვეურებზეც, რომ მეეჭვება, იმ დროს ამდენი ტყუილი გაებედა ვინმეს - იმ წესიერი კაცების მოტყუება, რომლებსაც ყველა პატივს სცემდა, ბევრს მოერიდებოდა; ვინ უნდა ყოფილიყო ან მწვრთნელი ან ფედერაციის თავმჯდომარე, რომ ბაღთან კონტაქტის გარეშე მოეხერხებინა საქმიანობა. სხვათა შორის, ნოდარ ახალკაციც კი, რომელიც მკაცრ და შეუდრეკელ კაცად ითვლებოდა, ბაღელებს, გარკვეულწილად, ანგარიშს მაინც უწევდა...

მწვრთნელებზე გამახსენდა - სხვათა შორის, კახას საკუთარი განათლების პროგრამა ჰქონდა, სადაც სპორტული განათლების ძალიან საინტერესო სისტემაც აქვს ჩამოყალიბებული. ჩემი აზრით, ახლა ძალიან აქტუალურია ამაზე დაფიქრება"...

**კახა ქორიძე:** "უბრალოდ, ჩემი აზით, უნდა არსებობდეს სამსაფეხურიანი განათლება, რომელიც ახალგაზრდობიდანვე ისეთ ცოდნას მისცემს მსურველებს, როდესაც ადამიანმა თავისი ანატომიაც იცის, ფიზიოლოგიაც და საერთო განათლებაც ისეთი ჰქონდეს, რომ მხოლოდ კუნთმაგარი უვიცის შთაბეჭდილებას არ ახდენდეს. სპორტსმენმა, რომელიც თავის აქტიურ, სპორტულ კარიერას დაასრულებს, უკვე უნდა იცოდეს როგორი მწვრთნელი ან მსაჯი უნდა გამოვიდეს. უნდა არსებობდეს ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც და, განათლების შესაბამისად, უნდა ეძლეოდეთ მწვრთნელებსაც და მსაჯებსაც რანგის მიხედვით მუშაობის უფლება; უნდა შეეძლოთ ნაშრომების, დისერტაციის დაწერაც კი, სადაც საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის თეორიულ საფუძვლებს გაუზიარებენ დანარჩენ პროფესიონალებს. ასეთი მომზადებული მწვრთნელები და მსაჯები შემდეგ, კი ბატონო, წავიდნენ და გაიარონ მოკლე კვალიფიკაცია უცხოეთში; მათზე ისეთი მოთხოვნა იქნებოდა, ფეხბურთელებივით წარმატებით გაიყიდებოდნენ; თავი რომ დავანებოთ იმას, თუ საქართველოს ფეხბურთს და, ზოგადად, სპორტს რამდენად გამოადგებოდნენ. ამ რანგის განსწავლული სპორტსმენი მე დღეს საქართველოში სულ ორი მეგულება, და იმათაც საკუთარი თავი თვითონვე აღზარდეს ასეთებად - ვიქტორ სანეევი და თემო ბენდიაშვილი. არადა, წესით, ყველა სპორტსმენს ეს დონე უნდა ჰქონდეს - მაშინ მწვრთნელებადაც ივარგებდნენ, მსაჯებადაც და კონსულტანტებადაც"...

**მერაბ ქუთათელაძე:** "აბსოლუტურად ვეთანხმები კახას. მე, პირადად, შეურაცხყოფას მაყენებს ის აზრი, რომ სერგო კოტრიკაძის რანგის მეკარე, იმის ნაცვლად, რომ ქართველი მეკარეების თაობები გაეზარდა, პროფილაქტიკის ხელოსნებს ხელმძღვანელობდა"...

ფეხბურთი

## "ტორპედო" პრობლემების წინაშე, "დინამოს" - პირობითი ლიცენზია

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ, 4 მაისს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტმა თავისი საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა და დაასახელა ის გუნდები, რომლებმაც მიიღეს უეფას საკლუბო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია. ლიცენზირების საკმაოდ რთული პროცესი თითქმის ერთი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. თავად განსაჯეთ: ჯერჯერობით თვით თბილისის "დინამოსაც" კი არა აქვს ეს საკითხი საბოლოოდ მოგვარებული და თუ მან ლიცენზირების კომიტეტის მიერ მიცემული შენიშვნები 21 მაისამდე არ გაითვალისწინა, უეფას ტურნირებს მიღმა დარჩება. გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვს ქუთაისის "ტორპედოს", რაზეც ლიცენზირების კომიტეტის წევრებმა სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

უეფას დირექტივით შექმნილი ამ კომიტეტის ფუნქციაა სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შეისწავლოს საქართველოს საფეხბურთო კლუბების მდგომარეობა და თუ ეს კლუბები უეფას სტანდარტებს აკმაყოფილებენ, მიანიჭოს მათ ლიცენზია, რომლის გარეშეც, სპორტული შედეგების მიუხედავად, კლუბს უეფას ტურნირებში მონაწილეობა ეკრძალება. საუბარია უეფას მიერ დაწესებულ სპორტულ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სამართლებრივ, ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ პარამეტრებზე.

"სეზონის დასაწყისში ლიცენზირების პროცესში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა უმაღლესი ლიგის ათივე და პირველი ლიგის ოთხმა კლუბმა. შემდგომში უმაღლესი ლიგის კლუბებმა - "დილამ", "სიონმა" და "კოლხეთმა", ასევე, პირველლიგელმა "მერანმა" აღარ ითანამშრომლეს ჩვენთან, რითაც ლიცენზიის მიღებაზე თავად განაცხადეს უარი. "დილამ", "კოლხეთმა" და "სიონმა" განაცხადეს, რომ ამ კლუბებში მიმდინარეობდა რეორგანიზაცია, რაც ლიცენზირების პროცესში მათ მონაწილეობას შეუძლებელს ხდიდა. რაც შეეხება "მერანს", მის წარმომადგენლებს ახსნა-განმარტებაც არ მოუციათ", - განაცხადა ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარემ გერა ხეცურიანმა.

თუმცა, მარტო სურვილის გამოთქმა და ლიცენზირების კომიტეტთან თანამშრომლობაც არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ლიცენზიის მისაღებად, რამაც საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში დაწინაურებულ სამ გუნდს გარკვეული პრობლემები შეუქმნა. პირველ რიგში, ეს ეხება ქუთაისის "ტორპედოს", რადგან ძალიან მცირე შანსია დარჩენილი, რომ ამ გუნდმა მოაგვაროს პრობლემები და აპელაციის საშუალებით მაინც მიიღოს ლიცენზია. ეს კი ძალზე სამწუხარო იქნება, რადგან სპორტული შედეგების მიხედვით მას მეორე ადგილზე გასვლისა და უეფას თასის საგზურის მოპოვების რეალური შანსი აქვს.

"ძალზე საწყენია, მაგრამ "ტორპედოს" წარმომადგენლებმა ვერ მოაგვარეს ფინანსური პრობლემები, რამაც ხელი შეუშალა ამ გუნდს ლიცენზიის მიღებაში. კლუბის დახურულ ფინანსურ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, თუმცა, გეტყვით, რომ ამ თვალსაზრისით "ტორპედოს" სერიოზული დაბრკოლებები აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მთელი სეზონის განმავლობაში კლუბს ანგარიში დაყადაღებული აქვს იმის გამო, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანება არ დაუფარავს. ლიცენზიის მისაღებად "ტორპედოს" უკანასკნელი შანსი დარჩა: უნდა მიმართოს ლიცენზირების სააპელაციო კომიტეტს, რომელსაც აფხაზეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი მურად ანჯაფარიძე თავკაცობს. ერთი კვირის მანძილზე კლუბს აქვს გასაჩივრების უფლება, მაგრამ იმისთვის, რომ სააპელაციო კომიტეტმა ჩვენი გადაწყვეტილება შეცვალოს და "ტორპედოს" ლიცენზია მისცეს, ამ გუნდის წარმომადგენლებმა, თუ ფინანსური ვითარების საჭირო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას ვერ მოახერხებენ, სამართლებრივი ბერკეტები მაინც უნდა აამოქმედონ. კერძოდ, სასამართლოს მიმართონ სარჩელით, რომ არ ეთანხმებიან საგადასახადო სამსახურის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს, რაც ამ კლუბის ფინანსური პრობლემების მთავარი საფუძველია. როგორც "ტორპედოდან" შეგვატყობინეს, მათ სასამართლოს უკვე მიმართეს ასეთი სარჩელით, მაგრამ ამ უწყებას საქმე წარმოებაში ჯერ არ აუყვანია. თუ "ტორპედო" უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში მოასწრებს და სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში აყვანის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს, ლიცენზირების სააპელაციო კომიტეტს დროებითი ლიცენზიის გაცემის საფუძველი ექნება. თუმცა, ეს ლიცენზიაც მხოლოდ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დღემდე იმოქმედებს, თუ, რა თქმა უნდა, "ტორპედოს" სარჩელი დაკმაყოფილებული არ იქნება", - აღნიშნა ხეცურიანმა.

უფრო მსუბუქი, თუმცა, მაინც პრობლემები აქვთ "თბილისის" და თბილისის "დინამოს" წარმომადგენლებს. ეს პრობლემებიც ფინანსური ხასიათისაა, რის გამოც ამ ეტაპზე ვერც "თბილისმა" მიიღო ლიცენზია, თუმცა, აპელაციის გზით ამ საკითხის გადაჭრის გაცილებით უკეთესი შანსი აქვს.

"რაც შეეხება თბილისის "დინამოს" და პირველლიგელ "ბორჯომს", ამ კლუბებმა პირობითი ლიცენზია მიიღეს. ეს იმას ნიშნავს, რომ "დინამოს" და "ბორჯომის" მიერ წარმოდგენილ ფინანსურ დოკუმენტაციაში არსებული პრობლემები შედარებით უმნიშვნელო ხასიათისაა და ამ გუნდებს ხარვეზების აღმოსაფხვრელად ვადა 21 მაისამდე გავუხანგრძლივეთ. დარწმუნებული ვარ, "დინამოც" და "ბორჯომიც" ჩაეტევიან ვადებში და პრობლემა მოიხსნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ აპელაციის შესატანად დროც არ დარჩებათ", - გამაფრთხილებელი ხასიათის შეტყობინება უფრო "დინამოს" მისამართითაა, რადგან პირველლიგელ "ბორჯომს" ამ ეტაპზე უეფას ტურნირები დიდად არ აღელვებს.

უმაღლესი ლიგის გუნდებმა - "ლოკომოტივმა", "ვიტ ჯორჯიამ", "ზესტაფონმა" და პირველლიგელებმა - "ამერმა" და "სპარტაკმა" უპრობლემოდ გაიარეს ეს პროცესი და მიიღეს კიდეც ლიცენზიები.

"დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "ლოკომოტივის", "ვიტ ჯორჯიას", "ზესტაფონის", "ამერის" და "სპარტაკის" ხელმძღვანელობებს. ამ კლუბებმა საჭირო ვადებში შეძლებისდაგვარად მოწესრიგებული დოკუმენტაცია წარმოგვიდგინეს ყველა პარამეტრის მიხედვით და ლიცენზიებიც დამსახურებულად მიიღეს", - განაცხადა კომიტეტის თავმჯდომარემ.

კიდევ ერთი სიახლე: სფფ-ს ლიცენზირების კომიტეტმა შექმნა ვებგვერდი, რომლის მისამართია w ამ ვებგვერდის საშუალებით ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ლიცენზირების პროცესთან დაკავშირებით. ვებგვერდს უფრო მოცულობითი დატვირთვაც აქვს. კერძოდ, იგი ფუნქციონირებს ექსტრანეტის ფორმატში. ეს იმას ნიშნავს, რომ კლუბებს შეეძლებათ ლიცენზირების კომიტეტს ყველა საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით მიაწოდონ.

ფორმულა 1

## ვინ მოირგებს ბარსელონას?

გიგა გურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც მიხაელ შუმახერმა ჩაგდებული სამი ეტაპის შემდეგ "სან მარინოს დიდი პრიზი" მეორე შედეგით დაასრულა, სამეფო რბოლის გულშემატკივრებს საბაბი მიეცათ, "ფერარის" მრბოლი ჩემპიონატის ფავორიტად შეერაცხათ. ამასობაში სკუდერიელთა თვალისჩინი ტიფოზთა გასაგონად საპირისპიროს აცხადებს: "ესპანეთის დიდი პრიზზეც" ფავორიტი "რენოს" ესპანელი მრბოლი ფერნანდო ალონსო იქნებაო.*



*დაეწევა თუ არა "ფერარი" "რენოს" ბარსელონაში გამოჩნდება*

"სან მარინოს დიდი პრიზის" შემდგომი კვირა მიხაელ შუმახერისთვის საკმაოდ დაძაბული და საქმიანი გამოდგა. აქეთ ორდღიანი გამოცდა, იქით სპონსორის - "ვოდაფონის" სარეკლამო რგოლების გადაღებაში მონაწილეობა, ფიტნეს ვარჯიშები... რამდენიმე დღეში კი ბარსელონა "ესპანეთის დიდ პრიზს" უმასპინძლებს, რომელსაც, აქედანვე ცნობილია, ბევრი მოსეირე ეყოლება. მიზეზი ადვილი მისახვედრია: მიხაელ შუმახერისა და "ფერარის" მწყობრში შესვლა და, შესაბამისად, ჩემპიონატის ლიდერთან ალონსოსთან დუელის პერსპექტივა.

"იმოლაზე" ჩვენ მართლაც შეგვეძლო გამარჯვება, - ამბობს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, - მაგრამ ბარსელონაში ფავორიტად ფერნანდო მიმაჩნია. "იმოლაზე" ბრწყინვალედ გამოვიდა და გამარჯვებათა რიცხვი სამამდეც გაზარდა. ასე რომ, ჩემპიონატს მნიშვნელოვანი უპირატესობით უდგას სათავეში".

ცნობილია, რომ ბარსელონას ტრასასა ყველაზე უკეთ "ფერარის" ერგება. ამის მოტივად იმას ასახელებენ, რომ მიხაელი "ესპანეთის დიდ პრიზზე" ტრადიციულად კარგად გამოდის.

"რენოშიც" აცხადებენ, რომ ბარსელონას ტრასა მათთვის უფრო შესაფერისია, ვიდრე "იმოლა". ამასთან, "რენოს" გულშემატკივრები იმითაც იქადნებიან, რომ მათ გუნდში გადაიარაღება მოხდა - ბარსელონაში ფრანგთა განკარგულებაში გაცილებით ძლიერი ძრავა იქნება ("რენოს" ახალი ძრავა წინამორბედზე 4 კილოგრამით მსუბუქი და 15 ცხენის ძალით ძლიერია).

"არაფერია გასაკვირი იმაში, რომ "რენო" ძალას უმატებს, რადგან "იმოლაზე" მიხაელის "ფერარი" სარბოლო რიტმით წამით უფრო სწრაფი იყო "რენოზე", - ამბობს გერმანელი ექსპერტი ჰანს-იოახიმ შტუკი.

მიხაელ შუმახერისა და ფერნანდო ალონსოს წყალობით "სან მარინოს დიდი პრიზი" ავსტრალიის, მალაიზიისა და ბაჰრეინის "დიდი პრიზებისგან" მართლაც გამორჩეული იყო. "რენოს" საჯინიბოს შეფი ფლავიო ბრიატორე აქედანვე იფშვნეტს ხელებს და გერმანელისა და ესპანელის დუელის გამეორების მოლოდინშია: "თუ მიხაელი და ფერნანდო ასეთივე სულით განაგრძობენ ბრძოლას, მაშინ მეგა-სეზონის მომსწრენი გავხდებით. ეს იქნება სენასა და პროსტის დუელის მსგავსი რამ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს კლასიკურ ფილმს ვუყურებდე".

მართალია, შუმახერს "ესპანეთის დიდი პრიზის" მოგების მთავარ პრეტენდენტად ალონსო მიაჩნია, მაგრამ მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი: "იმოლაზე" რბოლა ფანტასტიკური იყო, რომელმაც სტიმული შეგვმატა. "სან მარინოს" დიდ პრიზამდეც ვამბობდი: ტიტულისთვის სერიოზული ბრძოლა იწყებამეთქი...

ჩვენ მზად ვართ ბარსელონაში საბრძოლველად. ჩვენი პაკეტი ყველა სფეროში საკმაოდ ძლიერია. ახლა მისი შემდგომი გაუმჯობესებაა საჭირო...

დარწმუნებული ვარ, ამჯერად რამდენიმე გუნდი ძალზე ძლიერი იქნება. ადრეული წარმატებების გათვალისწინებით, ფავორიტად "რენოა" მიჩნეული, მაგრამ ძლიერები იქნებიან აგრეთვე "მაკლარენ-მერსედესი" და "BAR-ჰონდა". გასათვალისწინებელი ვართ ჩვენც - ბარსელონაში გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ".

და კიდევ, როდესაც ძალთა თანაფარდობაზეა საუბარი, ისიც უნდა გავითვალსიწინოთ, რომ ალონსოს სამშობლოში უწევს რბოლა, რაც გარკვეულწილად ზრდის ჩემპიონატის ლიდერის წარმატების შანსს, თუმცა, იმავდროულად მშობლიურ კედლებში რბოლა ფსიქოლოგიურ წნეხსაც მატებს. ამბობს კიდეც, შესაძლო წარუმატებლობაც კი ვერ გამომიყვანს წონასწორობიდან ვერც მე და ვერც ჩემს გუნდსო.

"თუ მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სახელით გამოდიხარ, იმარჯვებ შენ ან შენი მეწყვილე, - აცხადებს ფერნანდო ალოსნო. - მაგრამ ჩვენ კიდევ ახალგაზრდა გუნდი ვართ. მეოთხე წელიწადია, რაც "რენო" დამოუკიდებლად ასპარეზობს ფორმულა 1-ში. ჩვენ ვაღწევთ პროგრესს და ბევრს ვაოცებთ. თუ ჩემპიონატს მოვიგებთ, ბრწყინვალე იქნება, თუ არადა მსოფლიო ამისგან არ დაიქცევა. სულ 23 წლის ვარ. ასე რომ, წინ საკმაო დრო მაქვს.

*სეზონის დაწყების წინ "ფერარისთან" ტიტულისთვის ბრძოლა ოცნება იყო".*

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 5 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ლიბერტადორესის თასი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "დეპორტივო კუენკა" (პერუ)
14:05 რუსეთის თასი. ნახევარფინალი. "ამკარი" - "ხიმკი". საპასუხო მატჩი
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პსვ - "მილანი". საპასუხო მატჩი
18:00 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ესპანეთის ჩემპიონატი. "ბარსელონა" - "ალბასეტე"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 საუიკენდო მატჩების ანონსი
20:15 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
20:45 ლიბერტადორესის თასი. "ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) - "დეპორტივო კუენკა" (პერუ)
22:30 "2:1". ტოქშოუ
23:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:25 თავისუფალი დარტყმა
00:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" რომში
12:15 "სპორტისიმო"
13:35 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
14:05 კალათბურთი. FIBA-ს ყველა ვარსკვლავთა მატჩი. გადაცემა კვიპროსიდან
15:50 "ვატერპოლე"
16:20 "2:1". ტოქშოუ
17:20 "არქივის რჩეული". ამერიკული ფეხბურთი. Super Bowl XXXIII. 1999 წელი. შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:15 "მოტოვებული კვირა"
21:00 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:30 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
23:00 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი ევროპულ სეკვეიუში და რუსეთის დიდი პრიზი ევროპული პროგრამით
00:10 ახალი ამბები
00:25 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა

**EUROSPORT**

10:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია
11:45 ფეხბურთი - გ-ო-ო-ო-ლ!!!
12:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ფეხბურთი - უეფას თასი
18:00 ფეხბურთი. ევროპის 17 წლამდელთა ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 ფეხბურთი - გ-ო-ო-ო-ლ!!!
20:00 ფეხბურთი. ევროპის 17 წლამდელთა ჩემპიონატი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
21:45 ფეხბურთი - უეფას თასი
22:45 ფეხბურთი - უეფას თასი
23:00 ფეხბურთი. უეფას თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ფეხბურთი - უეფას თასი
01:15 ფეხბურთი - უეფას თასი
01:45 ახალი ამბები
02:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

1

იურიდიული ოფისი ,,გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

2

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

3

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური ,,ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური ,,მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური ,,თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური ,,წერეთელი";
5. მეტროს სადგური ,,სამგორი II";
6. მეტროს სადგური ,,ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური ,,გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური ,,დელისი");
8. მეტროს სადგური ,,ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური ,,დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**მაისურაძე ლია**

გვაქვს ოროთახიანი ბინა მთაწმინდის რაიონში, (თბილისი). ერთი ოთახი მინდა დავიმტკიცო, ერთი დედამ და დამ. ბინა დედის სახელზეა და არ არის პრივატიზირებული. ოთახებს აქვს ცალ-ცალკე შესასვლელი. თქვენს გაზეთში ეწერა, რომ სახლმმართველობები გაუქმდა, მე კი სწორედ მათ გამო ვერ ვახერხებ ბინის დამტკიცებას - მთხოვენ უაზრო და უსაშველო საბუთებს და თანხებს. გთხოვთ, განმიმარტოთ: 1) სად შეიძლება გავაკეთო პრივატიზირება და რა ღირს? 2) სახლმმართველობის გვერდის ავლით შემიძლია თუ არა დავიმტკიცო ერთი ოთახი (რა დოკუმენტი მოვიშველიო, როცა ცნობას მომთხოვენ სახლმმართველობიდან)? 3) ჩემი მშობლების (მამა დაღუპულია) ოროთახიანი ბინის ერთი ოთახის დასამტკიცებლად რომელ სამსახურებს უნდა მივაკითხო და რა საბუთები მჭირდება.

ქალბატონო ლია,

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1-ლი თებერვლის დადგენილების თანახმად, საცხოვრებელი სახლები (ბინები) საკუთრებაში გადაეცათ იმათ, ვისაც იგი ჰქონდათ დაკავებული. ამისათვის კი საჭირო იყო და არის ბინის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების დადება იმ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან, ვისაც ეკუთვნოდა ბინა. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოში (ტექ.ინვენ.ბიუროში) სამი თვის განმავლობაში ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების დღიდან. საცხოვრებელი სახლის (ბინის) საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება დადებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნული დადგენილების თანახმად ბინა გადაეცემოდათ მითითებულ პირებს საერთო საკუთრებაში. თქვენ შეგიძლიათ, გააფორმებთ რა აღნიშნულ ხელშეკრულებას, განსაზღვროთ თითოეული თქვენგანის წილის ოდენობა. "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" კანონის 25-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად:

**მუხლი 25. საზღაური სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ხელშეკრულების დამოწმებისათვის**

2. ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დამოწმებისათვის საზღაური ერთი ლარია.

**ნოდარ გადილია**

შეკითხვა 1. მოქმედი ობიექტის ხელმძღვანელ ზემდგომ ორგანოს სასამართლოს გადაწყვეტილებით შეჩერებული აქვს უძრავი-მოძრავი ქონების პრივატიზირება. მაინტერესებს ამ დროს აქვს თუ არა მას უფლებამოსილება დაუდოს ხელშეკრულება ლიზინგის წესით (ფინანსური იჯარა) მისადმი დაქვემდებარებულ ობიექტის ადმინისტრაციას? შეკითხვა 2. აუქციონზე გატანილი უძრავი ქონების (მოქმედი წარმოების) შეძენისათვის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივს რა უპირატესობა ენიჭება?

**ბატონო ნოდარ,**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარის განცხადების საფუძველზე აუკრძალოს მეორე მხარეს რაიმე ქმედების განხორციელება:

**მუხლი 198.** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები

1. საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო.

2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:

ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;

ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;

გ) მოპასუხის დავალდებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;

დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;

ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება;

ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;

ზ) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება, როცა ამ საბუთს ედავება მოვალე სასამართლო წესით;

თ) მოპასუხისათვის მისი საცხოვრებელი ან სამყოფელი ადგილიდან გაუსვლელობის ხელწერილის ჩამორთმევა.

3. სასამართლოს შეუძლია, გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

ამრიგად, გამოიტანა რა გადაწყვეტილება სასამართლომ, იგი მასში მიუთითებდა იმაზე, თუ რა ქმედებების განხორციელება ეკრძალება მხარეს. რაც შეეხება საწარმოს პრივატიზაციისას მუშა-მოსამსახურეთა უფლებებს, "სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით:

**მუხლი 5. მუშაკთა სოციალური გარანტია და შეღავათი**

"1. საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (პრივატიზების ინიციატორის მიუხედავად), მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, იკრძალება:

ა) საწარმოს რეორგანიზება ან ლიკვიდაცია;

ბ) საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა;

გ) ძირითადი ფონდების გაყიდვა ან გაცვლა, ქირით ან იჯარით გაცემა, გირაოში ჩადება, მათ გამოყენებაზე ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების მოქმედების შეცვლა ან შეწყვეტა.".

.2. საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები, მაგრამ არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებათ:

ა) იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს;

ბ) იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში;

გ) პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ;

დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები;

3. საწარმოს მყიდველი ვალდებულია საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში მუშაკებთან დადოს ხელშეკრულება, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

4. საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკების ერთდროული დახმარების ოდენობა და მათი შრომითი მოწყობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა რამ შეღავათს კანონი არ ითვალისწინებს. თქვენ თუ დააკმაყოფილებთ საპრივატიზაციო პირობებს, შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ პრივატიზაციაში.

**ტეფნაძე ლეილა**

ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი. მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი, ვარ შრომისუუნარო. მამაჩემი წავიდა თავშესაფარში, მისი პენსია ერიცხება სახელმწიფოს. ბინა ჩემი ნასყიდობით პრივატიზირებულია ჩემს სახელზე. მინდა ამოვწერო, მიწევს ჯიბრს. როგორც პირველი ჯგუფის ინვალიდს მეკუთვნის მთელი რიგიი შეღავათები, მისი ჩაწერა მიქმნის დაბრკოლებას. ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ვარ 28 ლარი პენსიის ანაზარად. გთხოვთ, მირჩიოთ, როგორ მოვიქცე?

ქალბატონო ლეილა,

საქართველოს კანონის "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ" მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 5.**

1.რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება, პირადობის (ბინადრობის) მოწმობა და საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის დამქირავებლის წერილობით თანხმობას შესაბამისად საკუთრების ან ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს პირის სახელი, გვარი, ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და განცხადების წარდგენის თარიღი.

ამრიგად, თუ ბინა თქვენი საკუთრებაა, თქვენი უფლებაა, თუ ვის ჩაწერთ მასში. თქვენ შეგიძლიათ, მოითხოვოთ, რომ მშობელი ამოწერილ იქნას ბინიდან. ამისათვის კი უნდა მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს.

**ქეთევან არზიანი**

საფინანსო-სავაჭრო კომპანიაში "გრანდი" - ზურაბ ჭანტურიძესთან 1994წ. 24 ოქტომბერს შევიტანე 100 - ამერიკული დოლარი. ხელშკრულების დარღვევის გამო და თანხის მითვისებისათვის იგი დააპატიმრეს. სასამართლომ მამუკა ნოზაძის თავმჯდომარეობით მას 5-7 წლამდე მიუსაჯა. აღმასრულებელმა ასე განმიცხადა, თქვენს მოვალეს ზ.ჭანტურიძეს ქონების მოძიების შედეგად არანაირი უძრავ-მოძრავი ქონება არ ერიცხება და სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის "ბ" პუნქტის შესაბამისად უარი მითხრეს 100 ა.შ.შ. დოლარზე. სააღსრულებო დეპარტამენტი საერთოდ გასაუქმებელია, იმიტომ რომ მათი გულგრილი დამოკიდებულება კარგად ჩანს საქმისადმი. თუ თქვენთვის ცნობილია რაიმე უძრავი-მოძრავი ქონება ზ.ჭანტურიძის შესახებ - გვაცნობეთო. ზ.ჭანტურიძეს ჰყავს მშობლები და დედ-მამისშვილები საკუთარი 2 სართულიანი სახლით გარდაბანში, სოფელი განთიადი. 100 დოლარი ვერ ამოიღეს მათგან ან საერთოდ ციხედანაც გამოუშვეს ალბათ და თავისუფლად დადის ხალხისგან მითვისებული დოლარებით. ვის უნდა მივმართო აღნიშნულ საკითხზე, მეკუთვნის თუ არა ჩემი კუთვნილი 100 დოლარის დაბრუნება.

ქალბატონო ქეთევან,

საქართველოს "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონის 35-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ ქვეპუნქტის თანახმად, თუ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი, რომლიდანაც შეიძლება მოხდეს გადახდევინება, სააღსრულებო საბუთი უბრუნდება კრედიტორს. ამრიგად, თუ თქვენს მოვალეს არ ჰქონდა რაიმე ქონება, აღმასრულებელი ამ მუხლის შესაბამისად დაგიბრუნებდათ სააღსრულებო ფურცელს. სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. ამრიგად, თუ თქვენი მოვალე შეიძენს რაიმე საკუთრებას, მაშინ შეძლებთ გადაწყვეტილების აღსრულებას.

**ცისანა ტოგონიძე**

ფიზიკურ პირთა ჯგუფს (რვა კაცს) გადაეცა საკუთრებაში კიკეთის სააგარაკო კოტეჯები და მიწის ფართობი. არსებობს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა თავისი ნომრით, რომელიც ინახება ერთი ქონების მართვის სამინისტროში, მეორე საჯარო რეესტრში, მესამე აქვთ ამ რვა კაცს 1ც. მე ვიყიდე ერთი კოტეჟი, რადგან მფლობელი არის რვა კაცი როგორ გადავიფორმო 1 კოტეჯი.

ქალბატონო ცისანა,

აღნიშნული ქონება წარმოადგენს რა საერთო საკუთრებას, მესაკუთრეების თანხმობით შეიძლება მისი განკარგვა. ამრიგად, თქვენ ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დადოთ მითითებულ პირებთან, რომლებიც არიან კოტეჯების და შესაბამისი მიწის ნაკვეთების მესაკუთრენი, დაამოწმოთ ნოტარიუსთან და გაატაროთ საჯარო რეესტრში.

**ლეილა მიქაუტაძე**

მყავს მეორე ჯგუფის ინვალიდობის მეუღლე, რომელიც იღებდა "იუსაიდის" დახმარებას შუქზე. დღეს ასეთი დახმარება აღარ არის. გთხოვთ, გაგვიმარტოთ მიზეზი.

ქალბატონო ლეილა,

აღნიშნული დახმარება ფინანსდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ამრიგად, მის ნებას წარმოადგენდა თუ რომელ ქვეყანას, რომელ სოციალურ ფენას და რა ვადით გაუწევდა დახმარებას. თქვენ შეგიძლიათ ინფორმაცია თუ როდიდან შეწყდა მითითებული დახმარების გაწევა, შეიტყოთ "თელასში".

**ლეილა მიქაუტაძე**

ძვირფასო რედაქცია, მაინტერესებს ერთი რამ, პედაგოგებს, რომლებსაც ჰქონდათ ერთჯერადი დახმარება გაზის ვაუჩერების სახით, რატომ შეგვიწყვიტეს?

ქალბატონო ლეილა,

მითითებულ დახმარებას აფინანსებდა თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო, კერძოდ ქალაქის მერია. ამრიგად, თქვენ შეგიძლიათ აღნიშნული საკითხის ირგვლივ ინფორმაცია მოიპოვოთ ქალაქის მერიაში. იგი, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა, ვალდებულია თქვენ განცხადებაზე გაგცეთ კონკრეტული პასუხი.

**ალექსი ბეჟიაშვილი**

საგადასახადო ანგარიშფაქტურით ნაღდ ანგარიშზე ვიყიდე საკანცელარიო საქონელი შემდგომო გაყიდვის მიზნით. მოგვიანებით გაირკვა, რომ ინდ.მეწარმეს, რომლისგანაც შევისყიდე საქონელი, ჰქონდა დავალიანება ბიუჯეტთან, რის გამოც აღნიშნული საგადასახადო ანგარიშფაქტურით გათვალისწინებული ჩასათვლელი დ.ღ.გ. ხელმეორედ გადამახდევინეს, წინააღმდეგ შემთხვევაში (საგადასახადო სამსახურის განმარტებით) ახლა მე მექნებოდა დავალიანება ბიუჯეტთან და შესაბამისად პრობლემები შეექმნებოდათ ჩემს მყიდველებს. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვალდებული იყო თუ არა საგადასახადო სამსახური ჩამოერთვა ინდ. მეწარმისათვის ანგარიშფაქტურის გამოწერის უფლება ბიუჯეტის დავალიანების დაფარვამდე და თუ ეს არ გააკეთა, მაშინ ჰქონდა თუ არა უფლება ჩემზე მოეხდინა იმავე საგადასახადო ორგანოს ზემოქმედება დ.ღ.გ.-ს ხელმეორედ გადახდევინების მიზნით?

ბატონო ალექსი,

1997 წლის საგადასახადო კოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, დ.ღ.გ.-ს გადახდის ვალდებულება ეკისრებოდა გამყიდველს. ხოლო გადაიხადეთ რა აღნიშნული თანხა, 114-ე მუხლის ბოლო წინადადების თანახმად (დ.ღ.გ.-ს ჩათვლას დაექვემდებარება საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დ.ღ.გ.-ს თანხა), თქვენ ჩაითვალეთ მის გადამხდელად. საგადასახადო ორგანო კი საგადასახადო კოდექსის თანახმად ვალდებულია უზრუნველყოს გადასახადების ამოღება.

**დავით ფაჩუაშვილი**

დიდი სამამულო ომის მონაწილეები და მასთან გათანაბრებული პირები ცოტანი ვართ დარჩენილები ამ ქვეყნად. ნუთუ მთავრობას არ აქვს საშუალება ამდენი ინვესტიციების და პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხებიდან გაგვიწიონ რაიმე დახმარება ან მოგვიმატონ პენსიები დიდი სამამულო ომის დამთავრების 60 წლის თავთან დაკავშირებით?

ბატონო დავით,

ჩვენ კონსულტაციას ვიძლევით სამართლებრივ საკითხებზე. რაც შეეხება, თუ როგორ განკარგოს სახელმწიფომ საკუთარი ფულადი სახსრები, ამას წყვეტს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება.

**დავით ფაჩუაშვილი**

საქართველოს პრზიდენტმა ბატონ მ.სააკაშვილმა თავისი 12 მარტის გამოსვლაში განკარგულება გასცა, რომ 20 ლიტრი საწვავი მიეცეს ყველა ოჯახს მიწის დასამუშავებლად. ქალაქში მცხოვრები სამამულო ომის მონაწილეები და მასთან გათანაბრებული პირები ვისაც გვაქვს სოფლად მიწის ნაკვეთები და ვამუშავებთ-ვთესავთ^ ამ ნაკვეთებს, თუ მივიღებთ ამ დახმარებას?

ბატონო დავით,

თქვენ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, კერძოდ სოფლის საკრებულოს ანდა მის გამგებელს, რომელიც, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვალდებულია თქვენს მიერ განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, გასცეს თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია.

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

სახელი ______ მისამართი

გვარი ______

ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______

სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______ თარიღი______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" უქმნის ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**მოხოვეთ შეავსოთ ბარკოდით ბლანკი უფასოდ**

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ წებოვანი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, გარდა ამისა გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გამოსადეგი უნდა იყოს ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

## TV პროგრამა



ცხვირის გარეთა ხვრელი

კოლუმბიის დედაქალაქი

მეტყველების ნაწილი

ტყის მსხალი

სამაგიდო თამაში

*** ჩარლზი

კორეული ავტომობილი

სოფი ლორენის ნამდვილი გვარი

კოლუმბია ალბომი

ქართული ასო

საკუთარი აზრი

*** სოფელი

ძველი კვერცხი

მთავარი სისხლძარღვი

*** ლუიჯი

ქართული დახახლება

*** კუზანოვა

წინა სკანვორდის პასუხები:

# TV პროგრამა

5 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** დოკ. ფილმი "ფაშიზმი და ფეხბურთი" (ბი-ბი-სი) **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.55** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ღმერთის საჭურველი-2" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **18.30** პატრული **19.00** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** სერიალი "მატრიოშკები" **00.00** მხ. ფილმი "შიში და ძრწოლა" (18) (სილვი ტუსტიუ) **02.15** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ბერლინზე შეტევის დასაწყისი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "საარჩევო" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" **16.30** დოკ. ფილმი "მიდვეი - სიცოცხლის კუნძული" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "მომხიბვლელი უფლისწული" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ბერლინზე შეტევის დასაწყისი" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ჩვენი ეზო" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "საიდუმლო აგენტები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" მე-3ს. **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება **23.10** კრიმ. სერიალი "სთშ" მე-4 ს. **00.00** მხ. ფილმი "შენ სულელი ხარ" (გ)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "კარიბის თავგადასავლები" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. ფილმი "ზეციური სპილოს დაცემა" **21.20** აფხაზეთის ტელევიზია **22.00** კინოსეანსი "სისი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **12.20, 17.10, 02.25** იმედის მელოდიები **12.40, 15.20, 01.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "კიკბოქსიორი-5" (მ. დაკასკოსი) **15.00, 16.45, 18.00, 19.00, 22.00, 01.05** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-2" **22.55** "ათასიდან ერთი შანსი" **23.25** მხ. ფილმი "მუქარა" (15) (ჯ. ანდრინიკა) **01.45** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "ბანკები" **11.25** კომედია "გურუ" **13.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი გმირი" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **14.50** თრილერი "პელიკანების საქმე" **17.05** მუსიკა **17.55** მულტფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მხ. ფილმი "არამზადას ცოლი" **22.35** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** ბოევიკი "განგსტერები" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ЗВЕЗДА ЭПОХИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Кирилл Лавров в фильме **"ВОЗМЕЗДИЕ". 14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"НА УГЛУ, У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** Криминальная Россия. "Диагноз - квартира". **19.50** Сериал **"НА БЕЗЫМЯННОЙ ВЫСОТЕ".** Закл. серия. **21.00** Время. **21.30** Сериал **"ЗВЕЗДА ЭПОХИ".** Закл. серия. **22.40** "Писатель и вождь. Константин Симонов". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Вернусь с победой". **00.30** Док. фильм "Стальной удар". **01.00** Вайнона Райдер в фильме **"ПРЕРВАННАЯ ЖИЗНЬ".** 1967 год. 19-летняя Сюзанна попадает в психиатрическую клинику с диагнозом "пограничное состояние". Инициаторами госпитализации были родители, обеспокоенные душевным состоянием дочери, но согласие на стационарное наблюдение она подписала сама. Восемнадцать долгих месяцев девушка пытается разобраться в себе и окружающем мире, понимая, наконец, что хочет вернуться к нормальной жизни. Но попасть в больницу, оказывается, намного легче, чем выйти из нее... **03.20** Мэрилин Монро в фильме **"СЕМЬ ЛЕТ ЖЕЛАНИЯ".** Верный муж и прекрасный отец впервые за семь лет брака остается один в Нью-Йорке. Этажом выше в его доме проживает одинокая милашка-блондинка, которую играет сама Мэрилин Монро. Муж решает поближе познакомиться с соседкой. Но чувство долга ломает все его холостяцкие замыслы. В итоге он пулей летит к жене за город. Так что же интересного в этом фильме? Все, что происходит между этим "средним американцем" и Мэрилин Монро. Эти мучения понятны каждому. А так как на месте несчастного - не вы, то происходящее очень смешно.

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Тайны разведки. **10.55** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..." 13.40** Худ. фильм **"БИТВА ЗА МОСКВУ".** Фильм 2-й. **"ТАЙФУН". 1**-я с. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ЭКСПЕДИТОР". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..." 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ЕГО ЗВАЛИ НЕ НИКИТА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 23.50** Чрезвычайное происшествие. **00.15** Джек Николсон в детективе **"КИТАЙСКИЙ КВАРТАЛ".** Бывший полицейский, а ныне преуспевающий частный сыщик Гиттес, оказывается втянутым в запутанную историю. К нему пришла молодая дама, представившаяся миссис Малрэй, супругой главного инженера водоканала Лос-Анджелеса, и наняла его следить за своим неверным мужем. Через короткое время при трагических обстоятельствах гибели Малрэя выяснилось, что это была лжесупруга Малрэя, а его настоящая жена - Эвелин Малрэй явно скрывает какие-то важные детали о смерти мужа... **02.55** Бильярд. **03.10** Джордж Хамильтон в мелодраме **"ПОХИЩЕННЫЙ". 1**-я с. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# ფოტოტალანტების ძიებაში ევროპა გვეხმარება

ირმა კახურაშვილი

გქონდეს ციფრული აპარატი, არ ნიშნავს იყო ფოტოგრაფი. ფოტოგრაფი, ალბათ, არც მაშინ ხარ, როცა ფოტოგრაფომანია გიპყრობს. ფოტოხელოვანთა აზრით, არაპროფესიონალ ფოტოგრაფთა რიგების შევსებას ხელს ციფრული კამერების ხელმიწვდომობა უწყობს. სინამდვილეში კი, ჭეშმარიტი ფოტოგრაფები არც ისე ბევრი არიან. იმისათვის, რომ ფოტოგრაფობის პრეტენზია ნაკლებად ჰგავდეს ცრუ ამბიციას, უკვე მეოთხე წელიწადია დამწყები და ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის ევროსაბჭოს ეგიდით ევროპის მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში სხვა ქვეყნების პარალელურად სპეციალური კონკურსი საქართველოშიც იმართება.

ფოტოგამოცდილების გაზიარების კონკურსის ისტორია ზუსტად ათ წელიწადს მოითვლის. მასში ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები მონაწილეობენ. საქართველო ამ ფოტოფერხულში მეხუთე წელია ჩართულია. წლევანდელ ფოტოკონკურსში მონაწილეობას 35 ქვეყანა იღებს.

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისაც უყვარს და ესმის ფოტოგრაფია.** მკაცრად მხოლოდ ორი რამ განისაზღვრება - ასაკი და ფოტომასალის თემა. კონკურსანტის ასაკი 24 წელს არ უნდა აღემატებოდეს. რაც შეეხება თემატურ მოთხოვნილებას, ის კულტურული მემკვიდრეობის ფარგლებს არ უნდა გასცდეს, ანუ ფოტო არქიტექტურას, თეატრს, ქვეყნის ტრადიციებსა და სხვას უნდა ასახავდეს.

როგორც წესი, კონკურსი გაზაფხულზე ცხადდება, საუკეთესო ნამუშევრებს კი ადგილობრივი ჟიური აფასებს. ჟიურის წევრები - ფოტოგრაფები, ხელოვნებათმცოდნეები, ისტორიკოსები და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები არიან. უცხოეთში გასაგზავნ ფოტოებს სწორედ ისინი არჩევენ. ოქტომბრის დასაწყისში ბარსელონაში დიდი გამოფენა ეწყობა. ყველაზე საინტერესო ფოტოები სპეციალურ კატალოგში შედის. კატალოგში მოხვედრა (სხვათა შორის, ის ძალიან მაღალი ხარისხისაა) დამწყები ფოტოგრაფისთვის პრესტიჟული და პერსპექტიულია. კატალოგი სპეციალიზირებულ ბიბლიოთეკებში ვრცელდება.

ევროსაბჭოს პროექტის კოორდინატორ გიორგი ჯაშის განცხადებით, საქართველოში გამართული კონკურსი 29 აპრილს დასრულდა და მასში 50-ზე მეტი ახალგაზრდა მონაწილეობდა. შედეგები დღეს გამოცხადდება. ახლო მომავალში კი გამარჯვებულები უცხოეთში გაემგზავრებიან.

"უკეთესი იქნებოდა ხარჯები საკუთარ თავზე სახელმწიფოს აეღო, მით უმეტეს, რომ ასეთი სახის ფოტოკონკურსები ძალიან იშვიათია. ბევრმა ახალგაზრდამ რაღაც მწვერვალს უკვე მიაღწია და მისთვის სასურველი კონტრაქტი გააფორმა," - ამბობს გიორგი ჯაში.

"24 საათის" ფოტოგრაფ ბესო გულაშვილის თქმით, კონკურსში გამარჯვება ახალგაზრდა ფოტოგრაფებისთვის ნამდვილი ტრამპლინია. საქართველოდან გაგზავნილი არც ერთი ფოტო არ დაწუნებულა და უკან არ დაბრუნებულა. "თუმცა იმასაც ვიტყოდი, რომ ბაქოელი და ერევნელი ახალგაზრდები მეტად აქტიურობენ. არადა, საქართველოში ფოტომოყვარულთა რაოდენობა არც ისეთი მცირეა. თბილისში რამდენიმე ფოტოსკოლაა, ანუ ინტერესი არსებობს. კონკურსზე წარდგენილ ფოტონამუშევართა სიხალვათეს ამ სფეროში არსებული საინფორმაციო ვაკუუმი განაპირობებს," - მიიჩნევს ბესო გულაშვილი.

## განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია გადავარჩინოთ ბავშვების საქართველოს ოფისი აცხადებს ტენდერს სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის გამოსავლენად. დაინტერესებულ კომპანიებისათვის სატენდერო პირობების და მასალების გაცემა ჩაბარება იწარმოებს 2005 წლის 5 მაისიდან. მისამართი: თბილისი, ბარათაშვილის 8, 4 სართული., ტელეფონი 93 11 08, წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას დაბეჭდილ კონვერტებში, ზურაბ ეფრიკაშვილის სახელზე, წარწერით სატენდერო დოკუმენტაცია. წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 18 მაისი.

**საკონტაქტო პირი: ზურაბ ეფრიკაშვილი, ადმინისტრაციული მენეჯერი**

# სოთბის კლიენტებს კანდინსკი არ აინტერესებთ



სოთბის სახლის აუქციონის იმპრესიონიზმის და თანამედროვე ხელოვნების განყოფილების თანამშრომლებს იმედი გაუცრუვდათ. სამშაბათს საგაზაფხულო ვაჭრობის გახსნაზე გამოტანილ ვასილ კანდინსკის "ორ მხედარსა და მწოლიარე ფიგურაში" (1909-1910), რომელიც აუქციონის მთავარ ლოტად მოიაზრებოდა და მისგან 15-დან 25 მილიონამდე დოლარის მოგება იგეგმებოდა, მხოლოდ 11,25 მილიონი შესთავაზეს. ამის გამო ნახატი სოთბის მფლობელობაში დარჩა.

თუმცა აუქციონი სხვა მხრივ მეტნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა. მაქს ბეკმანის "ავტოპორტრეტმა ბროლის ბურთით" (1936) და პაბლო პიკასოს "ქალმა ალჟირიდან" (1955) მოსალოდნელ შედეგებს მიაღწია. ბეკმანის პორტრეტის გაყიდვა 10-15 მილიონ დოლარად იგეგმებოდა და აუქციონიდან თითქმის 17 მილიონად წავიდა. პიკასო კი სოთბის ყველაზე ძვირ ლოტად იქცა. ნახატი 18,5 მილიონ დოლარად გაიყიდა.

სოთბის იმპრესიონიზმის და თანამედროვე ხელოვნების განყოფილების ერთ-ერთი წარმომადგენლის, დევიდ ნორმანის თქმით, აუქციონის შედეგი იმ ზოგიერთი ექსპერტის გადამეტებულ ოპტიმიზმს მოწმობს, რომლებიც ლოტებს აფასებენ. არტ-ბაზარზე ფასები ისევ მაღალია, თუმცა მათ ზედა ზღვარს უკვე მიაღწიეს და ამიტომ ფასები თანდათან დაბლა იწევს.

საერთო მოგებამ დაახლოებით 91 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც სოთბის თანამშრომლების კიდევ ერთი იმედის გაცრუების მიზეზი გახდა. აუქციონის დაწყებამდე სავარაუდო მოგების ქვედა ზღვარი 127 მილიონ დოლარს შეადგენდა. 65 ლოტიდან თითქმის მესამედი გაუყიდავი დარჩა.

# "შანელი" გამოფენას აწყობს

მეტროპოლიტანის ხელოვნების მუზეუმში კოსტიუმების ინსტიტუტმა გამართა წვეულება, რომელსაც ჟურნალისტებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე "წლის წვეულება" უწოდეს - "შანელის" მოდის სახლმა მოაწყო რეტროსპექტივა და "წლის ფართიც" ასე შედგა.








ცხადია, მთავარი "ინგრედიენტები" ვარსკვლავები იყვნენ. ყველას "შანელი" ეცვა. გალა-საღამოს უძღვებოდა ნიკოლ კიდმანი, რომელიც "შანელი №5"-ის სარეკლამო სახეა. მისი თანაშემწეები იყვნენ კარლ ლაგერფელდი და ანა ვინტური - ჟურნალ "ვოგის" მთავარი რედაქტორი. სტუმრებს შორის კი იყვნენ: ლიამ ნისონი და ნატაშა რიჩარდსონი, შერილ ქროუ, ჯესიკა სიმპსონი, დები მერი-კეიტ და ეშლი ოლსენები, ელაია ვუდი და მერილინ მენსონიც კი. ამ უკანასკნელს შავი სამხედრო ლაბადა ეცვა, ტუჩზე მუქი პომადა ესვა, თვალზეც - შავი ჩრდილები. ჟურნალისტებს კი ეუბნებოდა: "მინდა ის დრო დავიბრუნო და განვიცადო ხელახლა, როცა ხელოვნება და მოდა ერთმანეთს კვეთდა, როცა სალვადორ დალი და ელსა შაპარელი ცდილობდნენ, ადამიანებისთვის ეს ეგრძნობინებინათ".

ამასობაში ჟურნალისტებს თვალს ჭრიდა დონალდ ტრამპის საცოლე, რომელსაც კოკო შანელის ტრადიციულ ფერებში - შავსა და თეთრში იყო გამოწყობილი და მართლა ახსენებდა ყველას კოკოს ოქროს ხანას. "შანელის" კაბები ეცვათ "ვოგის" რედაქტორ ვინტურსაც და მსახიობ ნაომი უოტსსაც, ოღონდ, მათი არჩევანი თეთრი ფერი იყო.

კარლ ლაგერფელდი კი გალა-საღამოზე ყველას გულითადად მასპინძლობდა, პრესას კი უხსნიდა: "მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში არ არსებობს მეორე მსგავსი პრეცენდენტი, როცა მოდის სახლი უძლებს დროს, ცოცხლობს ას წელიწადს და მაინც სტილურობისა და მოდურობის სათავეში რჩება".

მსგავსი პრეცედენტი მხოლოდ "შანელს" ეკუთვნის. გამოფენა მეტროპოლიტან მუზეუმში დღეს იხსნება.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







